CYAN BLACK

# სიმართლისა და კანონის პატივისცემა შეჭველად გადაჭრის ყველა იმ პრობლემას, რამაც ქვეყანა ასე დააუძლურა.

## ცესკო

### 7-პროცენტიანი ბარიერი მხოლოდ სახელისუფლო ბლოკმა გადალახა



**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭიაბერაშვილმა გუშინ საპარლამენტო არჩევნების 20 საათისათვის არსებული წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა.**

ამ დროისათვის ყველაზე მაღალი პროცენტი – 74,90 აქვს სახელისუფლო საარჩევნო ბლოკს „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები“, მეორე ადგილზე რჩება, თუმცა ამჯერად ბარიერს მიღმა, ბლოკი „მემარჯვენე ოპოზიცია მრეწველები – ახლები“, რომლებსაც ამომრჩეველთა ხმების 6,40% აქვთ მიღებული, მნიშვნელოვნად დაწინაურდა და 4,83%-ით მესამე ადგილზე გადაინაცვლა მოძრაობამ „თავისუფლება“ (კონსტანტინე გამსახურდია), მეოთხე ადგილზე 4,47%-ით არის „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, მეხუთე ადგილზეა „ჯუმბერ პატიაშვილი – პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა“, რომელსაც ამ დროისათვის ხმების 2,85% აქვს მიღებული, შემდეგ 2,63%-ით მოდის ბლოკი „ედპ – ტრადიციონალისტები“, ყველა დანარჩენ პარტიას კი ჯერჯერობით 1%-ც კი არ მიუღია, 0,1%-მა ყველას წინააღმდეგ მისცა ხმა.

**ინტერ-პრესი.**

## SIC!

### საიუბილეო საღამო 9 აპრილს გაიმართება

**საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების 65 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო დაგეგმილი 31 მარტის ნაცვლად, ოპერის თეატრში 9 აპრილს გაიმართება.**

ეროვნული თანხმობის კომისიის ხელმძღვანელი, სახელმწიფო მინისტრი გურამ აბსანძე ამ ფაქტს მასსა და პრეზიდენტის მეუღლეს მანანა არჩვაძე-გამსახურდიას შორის არსებული „მცირედი გაუგებრობით“ ხსნის.

“ზვიად გამსახურდია იყო საქართველოს პრეზიდენტი და სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, რომ მისი როლი და დამსახურება დაფასებული იქნას. ზვიად გამსახურდიას იუბილეს აღნიშვნაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორეც, რომელიც პანაშვიდს გადაიხდის, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტი და სავარაუდოდ, ზვიად გამსახურდიას შვილებიც“, – განაცხადა აბსანძემ სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ პრესკონფერენციაზე.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, მას ჰქონდა მცდელობა გარკვეული მოლაპარაკება ეწარმოებინა ზვიად გამსახურდიას მეუღლესთან საიუბილეო ღონისძიებებთან დაკავშირებით, თუმცა შეთანხმება ვერ შედგა.

ამ ეტაპზე ცნობილია, რომ საიუბილეო ღონისძიებები გაიმართება აბაშაში, ზუგდიდში, თელავსა და ქუთაისში.

**ინტერ-პრესი.**

თუ მას შეცდომები ჰქონდა, ეს იყო დიდი პატრიოტისა და გამორჩეულად პატიოსანი ადამიანის შეცდომები

იხ. მე-4 გვ.



## გიხაროდეთ!

### არჩევნების დღეს დაიბადა

**ის იყო ხმის მისაცემად წასვლას ვაპირებდით, რომ ჩემს მეუღლეს ლიკა დიდიძეს მუცელი ასტკივდა. სასწრაფოდ № 5 სამშობიარო სახლს მივაკითხეთ. ორ საათში ჩემი ბიჭიც დაიბადა.** მოვბრუნდი და საარჩევნო უბანში ჩემი მოქალაქეობრივი პოზიცია გამოვხატე. 28 მარტი და ეს არჩევნები მარად კეთილმოსაგონარი იქნება ჩვენი ოჯახისათვის, ამ დღეს ხომ ჩემი მეორე შვილი ირაკლი დაიბადა. უფროსი ბესო – ორი წლისაა და დედას და ძმას მოუთმენლად მოელის.



დიდი მადლობა ჩვენი სიხარულის გაზიარებისათვის.

**სოსო რუსიტაშვილი.**

**ლიკა და სოსო, მეორე შვილის შეძენას გილოცავთ. ბედნიერებას და ულევ სიხარულს გისურვებთ.**

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

# საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №73 (4802)



სამშაბათი, 30 მარტი, 2004 წელი. ფასი 50 თეთრი.

## არჩევნების კვალზე

### მხოლოდ 1000 ხმა

**წინასწარი მონაცემებით, ქვემო ქართლის მხარეში „დემოკრატიული აღორძინების კავშირმა“ მხოლოდ 1000 ხმა მიიღო. რუსთავში კი „აღორძინებას“ ერთმა პროცენტმა, ანუ 500-მა ამომრჩეველმაც კი არ დაუჭირა მხარი.**

ამ ორგანიზაციის რუსთავის ოფისის ხელმძღვანელი ალექსანდრე აბაშიძე აცხადებს, რომ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის დროს დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. აქამდე ჩატარებულ არჩევნებზე „აღორძინება“ რუსთავში ხმათა 2-3 პროცენტს იღებდა, ამიტომ გუშინდელი შედეგები რუსთაველი „აღორძინებისთვის“ მოულოდნელი არ ყოფილა.

ალექსანდრე აბაშიძე ამის მიზეზად მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელისუფლების მიერ წარმოებულ ასლან აბაშიძის საწინააღმდეგო კამპანიას ასახელებს.

### პრესა და არჩევნები

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის წევრების მოსაზრებით, აჭარის გარდა, ქართულ მასმედიას ჰქონდა საშუალება თავისუფლად გამოეხატა საკუთარი აზრი, თუმცა სახელმწიფო ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებებში ძალზედ დიდი ყურადღება ეთმობოდა ხელისუფლებას და მის მხარდამჭერ პარტიებს.**

იხ. მე-2 გვ.

## დღის განწყობილება



თავისუფალი სკამები.

თამუნა ოხიკიანის ფოტო.

## პრეზიდენტი

### მიხეილ სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა ცესკოს წევრებს და აჭარის მოსახლეობას



**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე მადლიერებით მოიხსენია საარჩევნო კომისიების წევრები, რომლებმაც, მისი აზრით, ქვეყანაში არსებული ურთულესი პრობლემების მიუხედავად, მოახერხეს და მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების მშვენიერი მაგალითი უჩვენეს.**

**პრეზიდენტის საგანგებო მადლობა დაიმსახურა აჭარის მოსახლეობამაც.**

„აჭარის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული პოლიტიკური ზეწოლის მიუხედავად, არჩევნების ტოტალური გაყალბება აჭარაში ველარ მოხერხდა“, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა და მოვლენების ამგვარი განვითარება აჭარის მოსახლეობის გამბედაობითა და თავდადებით ახსნა.

ამავდროულად, საქართველოს პრეზიდენტი კვლავ კატეგორიულად მოითხოვს აჭარაში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შექმნილი უკანონო სამხედრო ფორმირებების განიარაღებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილი არ გამორიცხავს, რომ კანონიერების აღსადგენად ცენტრალურ ხელისუფლებას კონსტიტუციით მინიჭებული ყველა უფლებისა და საშუალების გამოყენება მოუწიოს. „კანონის უზენაესობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნდა დამყარდეს“, – განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა.

**ინტერ-პრესი.**

## რეაქცია

### მალე ვიგრძნობთ არჩევანის სიკეთეს

**„ჩვენ ნათლად გავიგეთ ის, რაც სურს ხალხს... საქართველოს მთავრობა გადავა მუშაობის ინტენსიურ რეჟიმზე. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ 24 საათის განმავლობაში, რათა ქვეყანაში განხორციელდეს სერიოზული დემოკრატიული რეფორმები... ჩვენ ბევრად უფრო მეტი ნიჭიერი ადამიანი უნდა მოვიზიდოთ ხელისუფლებაში...**

**28 მარტს აჭარაში გარდატეხა მოხდა. ხალხს არ შეეშინდა. გამოვიდა, მისცა ხმა. ამომრჩეველთა აქტიურობა ყველაზე მაღალი აჭარაში იყო...“**

***საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის 2004 წლის 28 მარტს წარმოთქმული სიტყვიდან.***

იხ. მე-3 გვ.



## პოზიცია

### ხალხი შედეგების მიხედვით შეაფასებს

**როგორც დამკვირვებლები და ექსპერტები აცხადებენ, არჩევნები და ხმის მიცემის პროცედურა წინა არჩევნებთან შედარებით, ნორმალურად წარიმართა. დღეს უკვე იმის თაობაზე მიმდინარეობს დისკუსია, იქნება თუ არა საქართველოს ახალი პარლამენტი ერთპარტიული, და გადალახავენ თუ არა შვიდპროცენტიან ზღვარს ოპოზიციური პარტიები. ვნახოთ, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ. დღეს კი უკვე გამართული არჩევნების თაობაზე თავის აზრს გვიზიარებს საქართველოს გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი.**

იხ. მე-3 გვ.

## ალავერდი!

### ფიქრები ბარიერთან

არჩევნების შემდეგ ძირითადი სასაუბრო თემა საარჩევნო ბარიერია. ლაპარაკობენ გაუთავებლად, კამათობენ ხმის ჩახლეჩამდე, შიმშილობენ მორიგ ტრაპეზამდე...

მთელ ამ დოღსა და მარულას (პოლიტიკურს!) ავსებს ფიქრები ბარიერთან.

მაგალითად, ასეთი:

„რა ვუყო, ახლა, ამ ოპოზიციას, — გადავალახინო ბარიერი და შევუშვა პარლამენტში თუ დავტოვო „გაღიმებულები“? არადა, რას იტყვის დემოკრატიული მსოფლიო. მართლა თურქმენბაში ხომ არა ვარ, ბოლოს და ბოლოს? ერთი-ორი დღე კიდევ ვიფიქრებ...“

„რა ვქნა, კაცო, რა წყალში ჩავვარდე? თუ დამტოვეს გარეთ, ხომ მომკლავენ ჩემი სპონსორები? რა იმედებს ვაძლევდი, მეც კარგი ვინმე ვარ, არ ვიცოდი ვისთან მქონდა საქმე?“

„კი მაბრალებენ რაღაც-რაღაცეებს, მაგრამ მაინც ობიექტურობა უნდა გამოვიჩინო. არადა, აღებულ ვალდებულებებს ეხუმრები? რაღაცით მაინც მიმანიშნოს ამ დალოცვილმა, გულში რომ მღერის ამირანივით. ყოველდღე რომ პრესკონფერენციებს მართავს ჩემსავით, მე რა გავაკეთო, არ უნდა მითხრას? შეჯამდება ყველაფერი და მერე ნახე ჩემი უბედურება...“

„ალბათ, ისევ მე ამირჩევენ, ბოლოს და ბოლოს ორწლიანი გამოცდილება მაქვს. ნეტა, კიდევ ერთმა პარტიამ მაინც გადალახოს ბარიერი, ცოტა დაბალანსდებოდა, თორემ რას გაუგებ ამ... უჰ ფიქრშიც ვერ ვბედავ სიმართლის თქმას...“

„არა, ამას ნამდვილად მოველოდი, მაგრამ ასეთი უბედურება თუ დამატყდებოდა თავს, რას ვიფიქრებდი? ახლა რა გაუძლებს ამათ, ნამდვილად ვერ გადავურჩები რევოლუციას. ეს მინდა ახლა? თან, დიპლომატიური პასპორტიც ჩამომართვენ...“

„მე კი ვიქნები დეპუტატი და დანარჩენებს თავში ქვა უხლიათ. რა მოვასწარი? მაგრამ, იმუნიტეტი თუ გააუქმეს, მერე რა წყალს მივცე თავი?..“

„ნამდვილად გავგიჟდები. ოჯახშიც დავკარგე პატივისცემა: დილას ცოლმა საუზმეც კი არ მომიმზადა — წადი და იშიმშილე, იქნებ შეგიცოდონ და შეგიშვანო...“

„ჩვენ მაინც არაფერი გვეშველება და, რაც უნდათ, ის უქნიათ, ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს...“

ასე ფიქრობენ საქართველოში ბარიერთან.

**ბონდო მძინარაშვილი.**



## მაღალ ეშელონებში

### „დემოკრატია აზრთა ჭიდილია“

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებლად მყოფი საერთაშორისო მისიების ხელმძღვანელები მიიღო. პარლამენტის ბიუროს ოთახში შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა.**

შეხვედრის დაწყებამდე საერთაშორისო დამკვირვებლების მისიების ხელმძღვანელთა უმეტესობამ კომენტარისგან თავი შეიკავა.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ევროპარლამენტის წევრმა დიმიტრიუ ვოლჩიჩმა განაცხადა, საქართველოში 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები მსოფლიო სტანდარტების მიხედვით შეიძლება ნორმალურად შეფასდეს.

იხ. მე-2 გვ.

## ინფორმაცია

### მეორე ტური გაიმართება

ჭიათურის რაიონში საპარლამენტო არჩევნები პროპორციულთან ერთად, მაჟორიტარული წესითაც ჩატარდა. არჩევნებში ხუთი კანდიდატი იყრიდა კენჭს. როგორც „ინტერ-პრესს“ ჭიათურის საარჩევნო ოლქში განუცხადეს, არჩევნებმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა და მეორე ტურის გამართვა გარდუვალია.

მეორე ტურში ერთმანეთს „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი ნუკრი ჭუმბურიძე და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი თენგიზ მოცრაძე დაუპირისპირდებიან.

ჭუმბურიძემ 28 777 ამომრჩევლიდან 4 407 ხმა მიიღო, ხოლო მოცრაძემ – 4 782.

### ევროსტრუქტურების მონაწილეობის პერსპექტივა

ევროკავშირის სპეცწარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მოგვარების საკითხებში ჰეიკი ტალვიტიემ გუშინ სოხუმის ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრებზე გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების მიერ შემუშავებულ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროგრამაში ევროსტრუქტურების მონაწილეობის პერსპექტივა განიხილა.

ჰეიკი ტალვიტიეს განცხადებით, ევროკავშირი წელს აფხაზეთში რამდენიმე ჰუმანიტარულ და დაპირისპირებულ მხარეებს შორის ნდობის აღდგენისკენ მიმართულ პროგრამებს განახორციელებს.

მან იმედი გამოთქვა, რომ ევროკავშირისა და სხვა ევროსტრუქტურების მონაწილეობა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში ხელს შეუწყობს რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას.

### 20 ათასი პასპორტი – ჩვენი მოქალაქეებისთვის

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოში გუშინ საფრანგეთიდან 20 ათასი ცალი საზღვარგარეთის პასპორტი ჩამოვიდა.

როგორც „ინტერ-პრესს“ საპასპორტო და მოქალაქეთა რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს უფროსმა შოთა ასათიანმა განუცხადა, ბიურო საფრანგეთიდან ეტაპობრივად დებს ხელშეკრულებებს პასპორტების დამზადების შესახებ.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, დღეიდან საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს კანონის თანახმად, უპრობლემოდ შეეძლება პასპორტის მიღება.

### არაუგვიანეს 6 აპრილისა

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინ კოდორის ხეობაში ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნების ახალი თარიღი განსაზღვრა. ცესკოს დადგენილებით, აჭარის, გენწვისის და ჩხალთის საარჩევნო უბნებში კენჭისყრა არა უგვიანეს 6 აპრილისა უნდა ჩატარდეს.

კენჭისყრის ჩატარების ზუსტ თარიღს ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისია დაადგენს, რომელშიც კოდორის ხეობის აღნიშნული უბნები შედის.

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

## დღის ანეკდოტი

**საუბარი გაზაფხულის მზიან დღეს:**

**– ყური მიგდე, ვანიჩკა, გუშინ გოგო ვნახე მაყვლისთვალება, ლოყები თურამაულის ვაშლივით, ტუჩები – გაპობილი ბროწეული, ტანი – მწიფე მსახლი. ეს, ალბათ, სიყვარული მეწვია?**

**– რა სიყვარულზე ლაპარაკობ. გაზაფხულია, ავიტამინოზის დროა – წადი, ხილი ჭამე.**

## თაობა



„ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ...“

ჯემალ კასრაძის ფოტო.

## უკანასკნელ საათს

**ნატოს თვითმფრინავები F-16 გუშინ საღამოს ლიტვის აეროდრომ ზოკნიაიზე დაეშვნენ. ისინი დაიწყებენ ბალტიის ქვეყნების საჰაერო სივრცის პატრულირებას. ამავდროულად, რუსეთი ნატოს ადეკვატური საპასუხო ზომების მიღებით ემუქრება.**



**ესპანეთის ხელისუფლებამ სარაგოსის აეროპორტიდან ასაფრენად გამზადებული სამხედრო მოსამსახურეები უკან დააბრუნა.**



**ახალ კონტინგენტს უნდა შეეცვალა ერაყში გაგზავნილი სამხედროები. ესპანეთის თავდაცვის სამინისტროში კომენტარს არ აკეთებენ.**

## ამინდი დღეს

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | – ცვალ. მოღრ. | ღამით +8, | დღისით +15 |
| ბათუმი | – მცირე მოღრ. წვიმა. | ღამით +8, | დღისით +12 |
| სოხუმი | – ცვალ. მოღრ. | ღამით +7, | დღისით +11 |
| ფოთი | – ცვალ. მოღრ. წვიმა. | ღამით +8, | დღისით +12 |
| ქუთაისი | ცვალ. მოღრ. | ღამით +8, | დღისით +12 |
| გორი | – ცვალ. მოღრ. | ღამით +7, | დღისით +11 |
| თელავი | – მზიანი ამინდი. | ღამით +8, | დღისით +14 |

## ლარის კურსი

39 მარტიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.6270 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.0050 | ლარი |
| ევრო | 1 | 2.4246 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0704 | ლარი. |

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

**– მარ ომის ინვალიდის ქვრივი. ჩემი ქალიშვილი გათხოვილია თბილისში და ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობს. ვაჟი შრომის II ჯგუფის ინვალიდია, პენსიონერი; ჰყავს სამი მცირეწლოვანი შვილი და თავად საჭიროებს დახმარებას. 25-ე წელია მარტო ვცხოვრობ, უწინ მეძლეოდა დახმარება და მომიხსნეს, მითხრეს: – შვილები გყავთ და იმათ გარჩინონო.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა დახმარება?**

**იამზე დალაქიშვილი.**

– კანონის თანახმად, მარტოხელად ითვლებიან და სოციალური დახმარება ენიშნებათ იმ პენსიონერებისაგან შემდგარ ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობენ მარტო, არ მუშაობენ და პენსიას იღებენ თვეში 14 ლარის ოდენობით და არ ჰყავთ კანონით ვალდებული მარჩენალი ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

ვინაიდან თქვენ გყავთ შრომისუნარიანი ქალიშვილი, სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული დახმარების დანიშვნას ვერ იპოვებთ.

**ირინე ღლონტი.**

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

## ინტერპანორამა

**შვეიცარიის ხელისუფლებამ ანგარიშები გაუყინა „იუკოსის“ რამდენიმე თანამფლობელს, რომელთაც რუსეთის გენპროკურატურა გადასახადების დამალვას, თაღლითობას და სხვა დანაშაულობების ჩადენას ედავება.**



**პაკისტანელმა სამხედროებმა მოკლეს ბენ ლადენის დაზვერვის უფროსი. ავღანეთის საზღვარზე 12-დღიანი სპეცოპერაციის დროს მოკლეს 60, შეიპყრეს 162 ექსტრემისტი, რომელთაგან ბევრი უცხოელი დაქირავებულია. მათ შორის ჩეჩნები, უზბეკები, არაბები და პუშტუნები არიან.**



**თალიბთა ლიდერი მულა ომარი ამერიკელთა ავიადარტყმების შედეგად დაიჭრა. მისი ოთხი პირადი მცველი დაიღუპა. ერთ-ერთი ყველაზე საშიში ტერორისტი გადარჩა, თუმცა ორი თვის მანძილზე გადაადგილება არ შეეძლება.**



„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

CYAN BLACK

მაღალ ეშელონებში

# „დემოკრატია აზრთა ჭიდილია“

(ნინო ბურჯანაძე)



რაც შეეხება მის პოზიციას საქართველოს პარლამენტის ეროპარლამენტთან დაკავშირებით, ვოლნიჩმა განაცხადა, რომ ოპოზიციურ პარტიებს კარგად ეშმათა მოეწყოთ, რათა მომავალ პარლამენტში მოხვდნენ. „დემოკრატია აზრთა ჭიდილია“, – განაცხადა ვოლნიჩამ.

მისივე თქმით, ეუროსაბჭოს დელეგაციას აჭარაში ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით ცოტა ინფორმაცია გააჩნია. ამიტომ ამ შესახებ კომენტარის გაკეთება ჯერჯერობით არ შეუძლია.

„როგორც ვიცი, ქვეყნის პრეზიდენტის ადმინისტრაცია [illegible] „რა თქმა უნდა შესაძლებელია იქნება, მაგრამ ამ შენიშვნებს [illegible]“, – განაცხადა ვოლნიჩმა.

„მიუხედავად საქართველოს [illegible]“, – განაცხადა ვოლნიჩმა.

პარლამენტის თავმჯდომარე [illegible] ელოდებიან.

ინტერ-პრესი.

# მაინცდამაინც არ იზიდავს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ქვეყანაში ერთპარტიული პარლამენტის არსებობის შესაძლებლობას არ გამორიცხავს, თუმცა იმედი აქვს, რომ 7-პროცენტიან ბარიერს ერთი პარტია მაინც გადალახავს.

როგორც გუშინ ჟურნალისტებს ბურჯანაძემ განუცხადა, [illegible]

[illegible] – აღნიშნა მან.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, [illegible]

„თუ ეს ხალხი ჩათვლის საჭიროდ, სიმართლე თქმას, ამას აუცილებლად გააკეთებს“, – დასძინა ნინო ბურჯანაძემ.

ინტერ-პრესი.

შეფასება

# მათიას იორში იწონებს, ბრიუს ჯორჯი ეთანხმება



**ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაცია 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებს საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს და აცხადებს, რომ არჩევნები გამჭვირვალე და თავისუფალი იყო.**

ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელის მათიას იორშის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ხარვეზები არჩევნების ორგანიზებაში შეიმჩნეოდა, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებმა საკმაოდ მშვიდ და ნორმალურ ვითარებაში ჩაიარა და შეიძლება ითქვას, „დემოკრატიისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იყო“.

ამავე დროს იორში უკმაყოფილოა იმით, რომ არ მოხერხდა 7-პროცენტიანი ბარიერის დაწევა და ცესკოს პარიტეტული წესით დაკომპლექტება.

გუშინ სასტუმრო „შერატონ-მეტეხი პალასში“ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე იორშის შეფასება სავსებით გაიზიარა ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაციის წარმომადგენელმა ბრიუს ჯორჯმა. მისი აზრით, არჩევნები საკმაოდ კარგად ჩატარდა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის, – აჭარაშიც, „თუმცა გარკვეულ გართულებებს მაინც ჰქონდა ადგილი“.

ამავდროულად, ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაცია რეკომენდაციას აძლევს საქართველოს ახალ ხელისუფლებას, იზრუნოს ქვეყანაში ოპოზიციის განვითარებაზე და ხელი შეუწყოს ისეთი გარემოს შექმნას, რომელშიც ოპოზიციური აზრის გამოთქმა და ოპოზიციური ძალების გაერთიანება-მოქმედება შეზღუდული არ იქნება.

ინტერ-პრესი.

ოპოზიცია

**არჩევნები ჩატარდა, არჩევნები შედგა! ოფიციალური შედეგების გამოცხადებამდე ელექტორატის ცნობისმოყვარეობა ეგზიტპოლმა დააკმაყოფილა. თუმცა, მოულოდნელი და „ელვა“ არაფერი უთქვამს. და თუკი ეგზიტპოლი მართალი გამოდგა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დათვლილი ხმათა რაოდენობა მის მონაცემებს დიდად არ ჩამოუვარდა, საქართველო დემოკრატიული განვითარების გზას უსათუოდ აცდება, რადგან უოპოზიციო პარლამენტი თავისთავად ერთმმართველი და თავნება ხდება. იმის თქმა კი, რომ ოპოზიციონერობას სწორედ ამ ფრთიდან არჩეული დეპუტატები გასწევენ საზოგადოებისთვის შეთავაზებული დამამშვიდებელი აბია, აქაოდა, ოპოზიცია გვყავსო.**

# ჰამლეტ ჭიპაშვილს სჯერა, რომ „აღორძინებას“ კიდევ აქვს შანსი



იქნებოდა თუ არა „აღორძინება“ ერთ-ერთი მძლავრი ოპოზიცია პარლამენტში გასვლის შემთხვევაში? უეჭველად, მაგრამ გავა? საეჭვოა. როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ჰამლეტ ჭიპაშვილი ამბობს: ცენტრალურმა ხელისუფლებამ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ აქტიური ანტიპროპაგანდით ისეთი იმიჯი შეექმნა აჭარის ლიდერისა და „აღორძინებისთვის“, თითქოს ისინი სხვა ქვეყნიდან მოგზავნილი ავანტიურისტები არიან და საქართველოს განადგურება სურთ. ან რუსეთისკენ, ან კიდევ თურქეთისკენ უნდათ ამ რეგიონის წაყვანა.

ეს საინფორმაციო საშუალებებითა თუ სატელევიზიო არხებით ხორციელდებოდა.

**არჩევნები მაინც ბრძოლაა და ბუნებრივია, ერთი მხარე მოწინააღმდეგის ზურგზე დასაცემად მის ხელთ არსებულ ყველა ხერხს გამოიყენებს. შენ რაღას ღონობ?**

**ფიქრობს თუ არა ბატონი ჰამლეტი, რომ მათი მხრიდან სუსტად წარმართული, ფაქტობრივად, წარუმართავი წინასაარჩევნო კამპანია (არ ჰქონდათ სატელევიზიო კლიპი, არანაირი სააგიტაციო ბუკლეტი, თუნდაც პლაკატები) შეცდომა იყო და მეტი არაფერი?**

— წინასაარჩევნო კამპანიისთვის, ალბათ, სხვანაირი პოლიტიკისა და ტაქტიკის შემუშავება იყო საჭირო. ბევრი შეცდომაც დავუშვით, ამანაც იმოქმედა ელექტორატზე. რატომღაც სხვათა კრიტიკის შედეგად მიღებულ რეიტინგზე ვიყავით ორიენტირებული.

რაც შეეხება მთლიანად საქართველოს ელექტორატს, სატელევიზიო შოუებად ქცეულმა ამდენმა დაჭერებმა შიშის სინდრომი დანერგა საზოგადოებაში. ამით კი უთხრა მათ: თუ თქვენ მხარს არ დაუჭერთ მმართველ პარტიას, ცუდად იქნება თქვენი საქმეო. მერე რა, რომ ეს სპეციალურად არც საქართველოს პრეზიდენტს განუცხადებია და არც ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს. ქვეტექსტად სწორედ რომ შიშის ზარი რეკდა.

ჰამლეტ ჭიპაშვილი ყურადსაღებსა და მნიშვნელოვანს უწოდებს იმასაც, რომ ჩვენთან ხდება ის, რაც კანონიდან გამომდინარე მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ შეიძლება მოხდეს, როდესაც პრეზიდენტი (რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენმა კანონმა მისცა უფლება) და აღმასრულებელი ხელისუფლების უკლებლივ ყველა წევრი, მინისტრებიდან დაწყებული ჩვეულებრივი მოხელის ჩათვლით, ასე აქტიურად იყო ჩართული წინასაარჩევნო კამპანიაში. გამუდმებული მოგზაურებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, 28 მარტსაც კი, არჩევნების დღეს, მიხეილ სააკაშვილი ხვდებოდა საქართველოს მოსახლეობას. ერთ-ერთი შეხვედრის დროს კი აშკარად ანტიაჭარული განწყობაც გამოხატა, რაც არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრეც კი არ შეიძლება, არათუ არჩევნების დღეს, მით უფრო პრეზიდენტის მხრიდან.

არ არის მიღებული და აუცილებელი, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა რომელიმე პარტიის მიმართ, სიმპათია ან ანტიპათია გამოხატოს. ასეა მთელ მსოფლიოში.

**— მაინც რა თქვა მან?**

— მოუწოდა, რაც შეიძლება მეტ თბილისელს მიეღო მონაწილეობა, რადგან ამით შექმნილიყო სასურველი ბალანსი, რათა აჭარაში არ მიეღო ხმები „აღორძინებას“, ეს აჭარის საკითხს გადაწყვეტსო. ასეთი პირწავარდნილი წინასაარჩევნო კამპანიის შედეგად, ცხადია „აღორძინება“ დაზარალდებოდა. ისედაც ძალთა თანაფარდობა ძალიან არაბალანსირებულია, თუნდაც იმიტომ, რომ აჭარის ავტონომიაში 400 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს, დანარჩენ საქართველოში — გაცილებით მეტი. იმისათვის კი, რომ წინასაარჩევნო პროპაგანდა და ხალხის ზომბირება აწარმოოს, ბერკეტები ცენტრალურ ხელისუფლებას მეტი აქვს, ვიდრე აჭარის ხელისუფალს. აქ არის უთანასწორო პაექრობა. ეს პაექრობა კი სუსტი იქნება თუ ძლიერი, საქართველოს ხელისუფლებისათვის არა აქვს მნიშვნელობა, სასწორი ყოველთვის მაინც ცენტრის სასარგებლოდ გადაიხრება.

**კიდევ რამ ითამაშა ძალიან მნიშვნელოვანი როლი ნაციონალ-დემოკრატების ასეთ წარმატებულ სვლაში?**

ჰამლეტ ჭიპაშვილის აზრით — დღემდე მღელვარე რევოლუციის ტალღამ და კიდევ იმან, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ამ არჩევნებში არ მონაწილეობდა. ეს კი გამაფრთხილებელი მოქმედება და პროტესტის გამოხატულება იყო დღევანდელი ხელისუფლების ქმედებების მიმართ.

— არადა, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მათ მონაწილეობა მიეღოთ და გამოეხატათ თავიანთი ნებისმიერი პოზიცია საპარლამენტო არჩევნებში, ნეიტრალურ პოზიციაში დგომამ კი მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების და ამ საზოგადოებისათვის არასასურველი პარტიის, რომელსაც ნაციონალ-დემოკრატები ჰქვია, წისქვილზე დაასხა წყალი. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვი, რომ ასეთმა ხალხმა კარგი და პოზიტიური ნაბიჯი გადადგა და ეს წაადგება საქართველოს. გაცილებით უკეთესი იქნებოდა კატეგორიულად მიდგომოდნენ ამ საკითხს და მხარი დაეჭირათ სხვა, ნებისმიერი პარტიისათვის. მათმა ნეიტრალურმა დამოკიდებულებამ, თუნდაც პროტესტმაც კი, ხელი შეუწყო ნაციონალ-დემოკრატების აღზევებას. თუმცა, გამიზნულად თუ არაგამიზნულად, მარტო თბილისში ელექტროენერგიით უზრუნველყოფამ და დანარჩენი რეგიონების ჩაბნელებამ (გაზეთების ყიდვის საშუალება უმეტესობას არა აქვს) საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფა.

შემაშფოთებელს უწოდებს ბატონი ჰამლეტი საქართველოს პრეზიდენტის აგრესიულ განცხადებას აჭარის რეგიონის ხელისუფლების მიმართ. არა მარტო წინასაარჩევნო კამპანიის დროს, საერთოდ. არავინ იცის, თუ რაში გადაიზრდება ასეთი აგრესიული განცხადებები ხვალ, ზეგ, თუნდაც უახლოეს მომავალში. სრულიად მოსალოდნელია, მდგომარეობა ცენტრსა და რეგიონს შორის ისე დაიძაბოს, ამ კულმინაციური მომენტის გახსნა მერე ვეღარავინ შეძლოსო.

— მე ვისურვებდი, რომ ასეთი დაძაბულობა არ ყოფილიყო, ძალიან ხშირად აგრესიულ განცხადებას შეიძლება ძალიან ცუდი ქმედებაც მოჰყვეს. მარტო განცხადება არ კეთდება: 14 მარტს ქმედებაც ვნახეთ. საბედნიეროდ, იმ დღეს ყველაფერი კარგად დამთავრდა. მაგრამ... დროებით. არავინ იცის ეს დროებითობა როდემდის გასტანს, — აცხადებს აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, რომელსაც სჯერა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელისუფლების დავალებით მოქმედებდა: უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში, თუ სხვა პერიოდს არ მივაქცევთ ყურადღებას, დაბეჯითებით ამტკიცებდა იმას, რომ არჩევნების დღეს აჭარაში აუცილებლად იქნებოდა აყალმაყალი, აუცილებლად გააყალბებდნენ ბიულეტენებს, დაარბევდნენ საარჩევნო უბნებს.

— ამის გაცხადება უკვე საგანგაშო იყო და ჩვენ ვთქვით კიდეც ხმამაღლა ამის შესახებ. რატომ ეგონა ბატონ ჭიაბერაშვილს, რომ ეს ასე მოხდებოდა? იმიტომ, რომ მას ეს უნდოდა, ასეთი სურვილი ჰქონდა. სასურველს ის რეალობად მიიჩნევდა. უბედურება ის იყო, რომ იგივეს შეხმატკბილებულად იმეორებდნენ თავისუფლების ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლები, რომლებიც უკვე პარლამენტის წევრები არიან ნაციონალების სიით, და აჭარის დღევანდელი ხელისუფლების ოპოზიციაც.

არ გაუმართლათ. სიზმარი ზოგჯერ უკუღმა ახდება.

— 26 მარტს ბატონმა ასლანმა შემატყობინა, რომ აჭარაში, სადაც 276 ათასი ამომრჩეველია, მხოლოდ 220 100 საარჩევნო ბიულეტენი გაიგზავნა. ე. ი. აჭარას 51 900 ბიულეტენი დააკლეს. ეს კი კონსტიტუციური მოთხოვნის დარღვევაა, რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას არ აძლევ. ჩვენმა წარმომადგენლობამ მივმართეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, დიპლომატიურ კორპუსს, საქმის კურსში ჩავაყენეთ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში პლავენ ნიკოლოვი და ის დელეგაცია, რომელიც საქართველოში არჩევნების მონიტორინგს ახორციელებდა. შედეგად ნიკოლოვმა დაურეკა შვიმერს, რომელიც ესაუბრა საქართველოს ხელისუფლებას და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც დაპირდა, რომ 28 მარტს დილით გააგზავნიდა დამატებით საარჩევნო ბიულეტენებს. ასეც მოხდა. გააგზავნა, მაგრამ დრო იმდენად ცოტა იყო, რომ დაგვიანდა. იმას, ვინც ჩაიტანა, ალბათ ისეთი ინსტრუქცია ჰქონდა მიღებული, რომ არ გაევრცელებინა. ფაქტობრივად, ასე მოხდა: თითქოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეასრულა შვიმერის თხოვნა, მაგრამ რეალურად არ შეასრულა. ამას მოჰყვა ის, რომ ერთ-ერთი ოლქი ბიულეტენების არქონის გამო ოთხ საათზე დაიხურა. ამისათვის კი უნდა დაისაჯოს არა მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისია, არამედ ხელისუფლება, რომელიც ვითომ არ ერევა არჩევნებში, სინამდვილეში კი სწორედ ის არის ამგვარი ქმედებების მოთავე.

**— რას იზამს აჭარა თუ ვერ გადალახავს 7-პროცენტიან ბარიერს?**

— ძალიან ცუდი რამ მოხდება საქართველოში. როდესაც ლაპარაკია წარმომადგენლობაზე პარლამენტში, ამ ხელისუფლებას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა იმისათვის, რომ აჭარის წარმომადგენლობა ყოფილიყო პარლამენტში. არა მხოლოდ 6 მაჟორიტარი დეპუტატი, არამედ გაცილებით მეტი, ანუ მათ არ უნდა შეექმნათ ისეთი ბარიერები იმისათვის, რომ აღორძინებასათვის ვერ გადაელახა 7-პროცენტიანი ბარიერი. პირიქით, ხელი უნდა შეეწყოთ. როდესაც აფხაზეთის ფრაქციას შთამომავლობით არგუნეს პარლამენტში ყოფნა, რა დააშავა აჭარამ? — ასე სვამს კითხვას ბატონი ჰამლეტი. იგი არ ამბობს, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია და „აღორძინება“ თუნდაც 12 კაცით ვერ მოხვდება პარლამენტში და თუ მაინც ასე მოხდა, ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებენ. ძალით მარცხს არ შევეგუებით. გავაპროტესტებთ, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ქვეყანა მარტო ნაციონალების არ არის. მსოფლიოში არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთაც მივმართავთ და დარწმუნებული ვართ, სერიოზულ ყურადღებას მოგვაქცევენო, ასე სჯერა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს ჰამლეტ ჭიპაშვილს, რომელიც დაეჭვებული უცქერს იმ ბზარს, რომელიც ცენტრსა და რეგიონს შორის გაჩნდა და დღითი დღე ფართოვდება.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

კრიტიკული თვალით

# საერთაშორისო სტანდარტებისგან მაინც საკმაოდ შორს იყო

**ღსთ ქვეყნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ, რომელსაც დსთ აღმასრულებელი მდივანი იური იაროვი ხელმძღვანელობს, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით პრესას თავისი დასკვნები გააცნო.**

დამკვირვებელთა შეფასებით, საქართველოში 28 მარტის არჩევნები 2 ნოემბრის არჩევნებთან შედარებით, დემოკრატიულად და გამჭვირვალედ წარიმართა, თუმცა საერთაშორისო სტანდარტებისგან მაინც საკმაოდ შორს დგას.

უცხოელი დამკვირვებლების განსაკუთრებით უარყოფით დამოკიდებულებას ერთპარტიული პარლამენტის პერსპექტივა იწვევს და ოპოზიციური ძალების გარეშე დარჩენილი პარლამენტის არსებობას დემოკრატიისთვის საშიშ მოვლენად მიიჩნევენ. როგორც პრესკონფერენციაზე იაროვმა აღნიშნა, ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ფონზე, ისინი ამ მხრივ ბევრად უფრო პროგრესულ შედეგებს ელოდნენ.

სხვადასხვა საარჩევნო ობიექტზე დაფიქსირებული დარღვევების მიუხედავად, უცხოელი დამკვირვებლების თქმით, საერთო სურათი უცვლელი დარჩება.

მართალია, გუშინდელ პრესკონფერენციაზე საერთაშორისო მისიის წარმომადგენლებმა საარჩევნო მზადებასთან დაკავშირებით ცესკოს მიერ გაწეული მუშაობა საკმაოდ დადებითად შეაფასეს, მაგრამ დასძინეს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციების დახვეწის თვალსაზრისით ბევრი სამუშაოა გასაწევი.

დსთ-ს დამკვირვებლები ხელისუფლებას ურჩევენ, კიდევ ერთხელ გადახედონ საარჩევნო კანონმდებლობას და გაითვალისწინონ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც მათ საერთაშორისო ორგანიზაციებმა მისცეს.

ინტერ-პრესი.

არჩევნების კვალზე

## პრესა და არჩევნები

(პირველი [illegible])

როგორც დელეგაციის ხელმძღვანელობამ გუშინდელ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, აჭარის ხელისუფლებამ არ უცდია საარჩევნო კამპანიის პერიოდში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად საჭირო პირობები შეექმნა, რაც ნათლად აისახა ოპოზიციის მხარდამჭერი საარჩევნო ადმინისტრაციების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების დაშინებაში, რაც ზოგჯერ ძალისმიერ ხასიათსაც ატარებდა.

## არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდა

**გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიის მონაცემებით, სოფელ კრწანისში არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდა.**

ამ საარჩევნო უბანზე დაახლოებით 800 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. სოფლის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა და მოტივად ის გარემოება დაასახელა, რომ ხელისუფლება მათ „კუთვნილ მიწას არ აძლევს“.

არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ 15-მა კრწანისელმა მიიღო.

## სამცხე-ჯავახეთი გამონაკლისი არ ყოფილა

**სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საპარლამენტო არჩევნები მცირე დარღვევებით, მშვიდობიან ვითარებაში ჩატარდა.** ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის [illegible] 16 477 ადამიანმა ანუ 65 პროცენტმა მიიღო. აქედან 12 540-მა ხმა „ნაციონალურ მოძრაობა – დემოკრატებს“ მისცა.

არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო ოპოზიციური პარტიები, „ლეიბორისტების“ გამოკლებით, პროტესტს არ გამოხატავენ.

„სამართლიანი არჩევნების“ განცხადებით, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებზე დაფიქსირებული დარღვევები იმდენად უმნიშვნელოა, რომ არჩევნების შედეგებზე ვერ იმოქმედებს.

კომისიაში არც ერთი საჩივარი არ შესულა.

## შედეგების გაბათილებას მოითხოვენ

**ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის მამუკა ცაავას განკარგულებით, არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელთა მიერ საპარლამენტო არჩევნებზე დაფიქსირებულ დარღვევებთან დაკავშირებით მოკვლევა დაიწყო.**

როგორც „ინტერ-პრესს“ მამუკა ცაავამ განუცხადა, მოკვლევა მას შემდეგ დაიწყო, რაც ასოციაციის ხელმძღვანელმა თინათინ ხიდაშელმა დარღვევებთან დაკავშირებით საჯარო განცხადებები გააკეთა. პროკურორი არ გამორიცხავს კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებასაც.

როგორც „მედია-ცენტრში“ გამართულ პრესკონფერენციაზე თინათინ ხიდაშელმა განაცხადა, ორგანიზაცია მასშტაბური დარღვევების გამო მარნეულის რამდენიმე უბნის შედეგების გაბათილებას მოითხოვს. ხიდაშელი მიუთითებდა ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრის, საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა ბარათების დარიგების [illegible]

ინტერ-პრესი.

## ასეც უნდა მომხდარიყო

**გია თორთლაძეს, სახელგანთქმულ ალპინისტს, რომელიც ბლოკ „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების“ წევრია, 28 მარტს ქედის რაიონში შევხვდი:**

***— ბატონო გია, რითი ავხსნათ არჩევნების დღეს თქვენი აქ ყოფნა?***

— ალბათ, მოსმენილი გაქვთ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებები იმის თაობაზე, რომ იგი იდგება ყველა მისი მხარდამჭერის გვერდში და არ მიატოვებს მათ. ამ განცხადებამ, ცოტა ხნის წინათ, გაიჟღერა აჭარაშიც, სადაც შექმნილი ვითარება ბლოკ „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების“ წევრებს, ჩემი აზრით, ავალდებულებდა ასევე თანადგომა გამოეხატათ აჭარის მოსახლეობის მიმართ. ამიტომ, ჩვენი ბლოკის წევრებმა გადავწყვიტეთ ჩამოვსულიყავით ამ ძალიან ლამაზ მხარეში და ჩვენი აქ ყოფნით გაგვემხნევებინა ჩვენი მხარდამჭერები. მე ავირჩიე ქედის რაიონი, ერთ-ერთი ურთულესი. რაც შეეხება თავად არჩევნებს, მოქალაქეებზე ზეწოლის მიუხედავად, — მუქარა, მოსყიდვის მცდელობა და სხვა კანონდარღვევები, — არჩევნები მაინც შედგა. კანონდარღვევები, სამწუხაროდ, აქაც და აჭარის სხვა რაიონებში დაფიქსირებულია და ყველა კონკრეტულ ფაქტზე, ალბათ, იმსჯელებს ცენტრალური საარჩევნო კომისია. მთავარი მაინც ის არის, რომ 28 მარტს რეალურად გამოჩნდა — ჩვენი მხარდამჭერები აჭარაში არიან საგრძნობლად მეტნი, ვიდრე მოწინააღმდეგეები. ეს, ჩემი აზრით, აისახება კიდეც არჩევნების საბოლოო შედეგებში. [illegible]

გივი ჩიქოლაშვილი,
„სრ“ საკ. კორ.
ქედა.

დღის შეკითხვა

**საქართველოს ისტორიაში რიგით მეხუთე საპარლამენტო არჩევნები დასრულდა, ვისთვის მოსაწონი, ვისთვის დასაწუნი შედეგებით. ჯერჯერობით ბარიერგადალახული მხოლოდ სახელისუფლებო ბლოკია. არის თუ არა შედეგები რეალური, რამდენად მისაღებია ხმების ამგვარი გადანაწილება, ამაზე პასუხს თბილისის მოსახლეობისგან შევიტყობთ.**

# თქვენი აზრით, საპარლამენტო არჩევნების შედეგები რამდენად ასახავს პოლიტიკურ ძალთა განლაგების რეალობას?

**რევაზ ჭილაძე, პროფესორი:**
— ჩემი აზრით, რამდენიმე პარტიას უნდა გადაელახა 7-პროცენტიანი ბარიერი, მაგრამ, ჯერჯერობით, ვერ გადალახეს, რაც ძალიან საწყენია. ვფიქრობ, საბოლოოდ ასეთი სურათი არ უნდა მივიღოთ. მინდა დავიჯერო, რომ შედეგები რეალურია. უკეთესი იქნებოდა, ხუთი პარტია გასულიყო. თუმცა, საბოლოო შედეგები წინაა!

**ნატო ქარდავა, პედაგოგი:**
— შედეგები რეალურია, ხალხმა რაც ინება, ნათლად გამოჩნდა. ჩემი აზრით, არავითარი გაყალბება არ ყოფილა. ნაციონალური მოძრაობა ყოველგვარი გაყალბების გარეშე გავიდა — მე ასე მეგონა.

**ნინო იაშვილი, ლაბორანტი:**
— სააკაშვილის გუნდმა დამსახურებულად აიღო პირველი ადგილი. მე ერთ-ერთ საარჩევნო უბანში დამკვირვებლად ვიყავი. ჯერ საბოლოო შედეგები არ ჩანს. ვფიქრობ, ბარიერს გადალახავენ „ლეიბორისტებიც“, „თავისუფლებაც“.

**როლანდ ნიკოლაიშვილი, მშენებელი:**
— რაღაც პროცენტით ყოველთვის ყალბდებოდა არჩევნები, ეს ერთი ამაშიც ასე მოხდა. მაგრამ [illegible] ხალხის გული ახალ ხელისუფლებას, ამიტომ მისი გამარჯვება ლოგიკურია. ალბათ გაყალბების გარეშეც გავიდოდნენ „ნაციონალები“.

**ხანში შესული მამაკაცი (გვარის დასახელება არ ისურვა):**
— დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი მეტ-ნაკლებად ბინძურ თამაშებს გვთავაზობს. მათ შორის ერთადერთი წმინდა კოკო გამსახურდიაა. ზრდილობის გულისთვის მაინც უნდა გადაელახა მის პარტიას ბარიერი, კაცი შვეიცარიიდან ჩამოიყვანეს. პარლამენტში მას ეკუთვნოდა ადგილი როგორც გენეტიკურად, ასევე მემკვიდრეობით და ეროვნულობით. ხელისუფლებას უნდა [illegible]

**მაია მაისურაძე, სტუდენტი:**
— ვფიქრობ, პარლამენტში ადგილები რეალურად არ განაწილდა. არ შეიძლება პარლამენტი ერთპარტიული იყოს. ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. პარლამენტში უნდა გვყავდეს ოპოზიციაც.

**ცირა დილიშვილი, სტუდენტი:**
— ჩემი აზრით, „ნაციონალების“ გასვლა ლოგიკურია, მაგრამ იმედი მაქვს, საბოლოო შედეგებით სხვა პარტიებიც მოგვევლინებიან ბარიერგადალახულად, რადგანაც რამდენიმე მათგანს ხალხი რეალურად უჭერს მხარს.

**როგორც ვხედავთ, ხალხის აზრი არაერთგვაროვანია. ბევრი მათგანისთვის „ნაციონალების“ პირველ ადგილზე გასვლა მისაღებია, ზოგიც ფიქრობს, რომ აუცილებელია სხვა პარტიების გასვლაც, რათა არ მივიღოთ ერთპარტიული პარლამენტი. საბოლოო შედეგს რამდენიმე დღეში შევიტყობთ. იმედია, ის ყველასთვის მისაღები იქნება და წინა საპარლამენტო არჩევნების მსგავსად ამ შედეგებს აქციები და დიდი აჟიოტაჟი არ მოჰყვება.**

მაკა ჩიხლაძე,
სოფო გაგნიძე.

პოლიცია

## აკადემიის ახალი რექტორი

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ გუშინ კოლეგებს სამინისტროს აკადემიის ახალი რექტორი, 30 წლის ლევან იზორია წარუდგინა.

როგორც ბარამიძემ განაცხადა, ლევან იზორია გერმანიის ქალაქ გოტინგენის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, უშიშროების საბჭოსთან არსებული სამართალდამცველი ორგანოების სისტემის რეფორმის კომისიის კოორდინატორი, პროფესიონალი და პრინციპული იურისტია, „რომელსაც აფასებენ როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი სამართალდამცველები“.

ლევან იზორია სამართლის დოქტორი და გერმანიის „კონრად ადენაუერის“ სახელობის პოლიტიკური ფონდის წარმომადგენელია კავკასიაში.

სიტუაცია

## გია ჯოხთაბერიძე მეექვსე დღეა, რაც შიმშილობს

კომპანია „მაგთიკომის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის გია ჯოხთაბერიძის უდანაშაულობის დასამტკიცებლად მისმა ადვოკატმა საქმის შესასწავლად ფინანსურ-საგადასახადო ალტერნატიული ექსპერტიზა მოიწვია.

გიორგი ყავლაშვილმა „ინტერ-პრესთან“ საუბარში განაცხადა, რომ ექსპერტიზა დასკვნას მიმდინარე კვირის ბოლოს მოამზადებს. მისივე თქმით, კანონის თანახმად, საქმის მონაწილე ორივე მხარეს გააჩნია იმის უფლება, რომ ფინანსურ-საგადასახადო ალტერნატიული ექსპერტიზა დანიშნოს.

გია ჯოხთაბერიძე აცხადებს, რომ იგი უკანონო პატიმრობაში იმყოფება და მის მიმართ პოლიტიკური და ბიზნეს ანგარიშსწორება ხორციელდება. დაკავებული საერთო საკანში გადაყვანის შემდეგ, 24 მარტიდან შიმშილობს.

კონფლიქტის ზონა

## ვის ვარაუდობენ კანდიდატად?

შემოდგომისთვის დანიშნულ აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში, შესაძლოა, რუსეთის საგანგებო სიტუაციების მინისტრის სერგეი შოიგუს მეგობარმა ნოდარ ხაჯბამ მიიღოს მონაწილეობა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ერთიანი აფხაზეთის“ სოხუმში გამართულ დამფუძნებელ ყრილობაზე გამოიკვეთა, რომ ახლადდაფუძნებული მოძრაობა არსებული ხელისუფლების ოპოზიციას არ წარმოადგენს და მისი ლიდერები პოლიტიკაში მოღვაწეობის პრიორიტეტად აფხაზეთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას მიიჩნევენ.



სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ, რომელიც „ერთიანი აფხაზეთის“ ერთ-ერთ ლიდერად სახელდება, „ინტერ-პრესთან“ საუბარში დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აფხაზეთში შემოდგომისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებზე „ერთიან აფხაზეთს“ პრეზიდენტობის საკუთარი კანდიდატი ეყოლება.

მისივე თქმით, მოძრაობის მიზანს ვლადისლავ არძინბას საპრეზიდენტო ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით აფხაზეთში ხელისუფლების ცივილიზებული გზით შეცვლა წარმოადგენს.

შამბას განმარტებით, მოძრაობა „ერთიან აფხაზეთს“ მოქმედების კონსტრუქციული გეგმა აქვს შემუშავებული და აფხაზეთის ყველა რაიონში საკმაოდ ძლიერი პირველადი ორგანიზაციები ჰყავს საიმისოდ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების სერიოზული პრეტენზიები ჰქონდეს.

საპრეზიდენტო არჩევნებზე ახლადდაფუძნებული მოძრაობის სავარაუდო კანდიდატის დასახელებისაგან შამბა თავს იკავებს და აცხადებს, რომ მოძრაობის ლიდერებს ამ თემაზე არ უმსჯელიათ. თუმცა იგი მოძრაობის არც ერთი ლიდერის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებას არ გამორიცხავს.

ფაქტი

## იმამმა ნდობა ვერ გაამართლა

გუშინ აფხაზეთის მუსლიმანთა სასულიერო მმართველობის მე-3 ყრილობამ სოხუმის მეჩეთის იმამი, აფხაზეთის მუსლიმანთა მმართველობის თავმჯდომარის მოადგილე აგაზ რახმატულინი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ყრილობის მონაწილეებმა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს რახმატულინის საქმიანობა. მათი შეფასებით, მან ვერ გაამართლა ნდობა.

აფხაზეთის მუსლიმანთა სასულიერო მმართველობის ყრილობა გუშინ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ყოფილი ქართული დრამატული თეატრის (ამჟამად — მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის) შენობაში გაიმართა. მასში აფხაზეთში მცხოვრებმა 500-მდე მუსლიმანმა მიიღო მონაწილეობა.

ყრილობამ ხელმძღვანელად თურქეთის მოქალაქე, ამჟამად გაგრაში მცხოვრები აფხაზ მაჰაჯირთა შთამომავალი გაბლია აირჩია.

შემთხვევა

## ორი ადამიანი დაიღუპა

შიდა ქართლში, სოფელ რუისთან მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა და ორი მძიმედ დაშავდა. ერთ-ერთი ავტომანქანის მფლობელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

როგორც „ინტერ-პრესს“ საგზაო პოლიციაში განუცხადეს, ავტომანქანა „მერსედესი“ დაეჯახა ავტომანქანა „ვაზ 21099“-ს, რომლის მგზავრები მძიმედ დაშავდნენ. ყველა მათგანი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ორის გადარჩენა ვეღარ მოხერხდა.



„მერსედესის“ მძღოლმა ავტომანქანას ნომრები ახსნა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ აღნიშნული „მერსედესი“ თბილისიდან რამდენიმე დღის წინ იყო გატაცებული.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

## პოზიცია

(პირველი გვერდიდან)



# ხალხი შედეგების მიხედვით შეაფასებს

საპარლამენტო არჩევნები, როგორც ბატონი ნიკო განმარტავს, გაცილებით უკეთესად ჩატარდა, ვიდრე მანამდე ტარდებოდა. ამ პროცესმა შედარებით კარგად ჩაიარა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც, მაშინ როცა სხვა შემთხვევაში, იქ შედეგები შეიძლება რადიკალურად განსხვავებული ყოფილიყო. დღეს კი იქ ხმები რამდენიმე პარტიას: „ნაციონალურ მოძრაობა – დემოკრატებს“, „აღორძინებასა“ და სხვათა შორის არის გადანაწილებული. მთლიანობაში, თუ იმ დარღვევებსაც გავითვალისწინებთ, შეიქმნა ის რეალური სურათი, რაც მთლიანად ქვეყანაში არსებობს.

ჩვენების ჩატარებისათვის 30-პროცენტიანი ზღვარია განსაზღვრული. ამაზე მეტი ამომრჩეველი არჩევნებზე საქართველოში პრინციპში არც არასდროს მოდიოდა, ამიტომ ამ პროცენტულ მაჩვენებელს ტრაგედიად არ აღვიქვამ. უფრო ცუდი ის გახლავთ, რომ ქვეყანაში არიან ისეთი პოლიტიკური ძალები, პარლამენტში რომ მოხვედრილიყვნენ, ცუდი არ იქნებოდა, რადგან როცა რომელიმე პარტიას დიდი უპირატესობა აქვს, ტრადიციულად ჩვენთან ცუდად მთავრდება. თუნდაც წინა პარლამენტის დროს საკონსტიტუციო უმრავლესობა მაშინდელ სახელისუფლებო ბლოკს ჰქონდა, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა დაიშალა. ასევე იყო გამსახურდიასდროინდელ პარლამენტშიც, როცა ხელისუფლებას ძალზე დიდი უპირატესობა აქვს, ეს შიდა პოლიტიკურ რყევებს იწვევს ხოლმე. ამიტომ ოპოზიციის არსებობა მას ასეთი ექსცესებისაგან იცავს.

მხარის დასაჭერად. ეს განსაკუთრებით იგრძნობა რეგიონებში, სადაც სახელისუფლებო მომენტი კვლავ მნიშვნელოვანია. რაც შეეხება ოპოზიციას, ამ შემთხვევაში იგი არ გამოიყურებოდა ისე ეფექტიანად, როგორც ორ ნოემბერს. მაშინ, როცა კრიტიკის ქვეშ იყო მოქცეული ხელისუფლება, ოპოზიცია შინაგანად ბევრად უფრო მისაღები იყო ხალხისთვის. დღეს კი ხელისუფლება იმდენად ახალია, რომ, ბუნებრივია, კრიტიკული მუხტი დაკარგული იყო.

საერთოდ კი, ერთხელ და სამუდამოდ დავადგინოთ, რამდენი ამომრჩეველი გვყავს. ის სისტემა კი, როდესაც კაცი თვითონ უნდა მივიდეს საარჩევნო უბანში და აღერიცხოს, ბევრ შემთხვევაში ეფექტიანად არ მუშაობს. ამ შემთხვევაში ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგება.

მას შემდეგ, რაც ჩაწერის ინსტიტუტი გაუქმდა, ძნელია მოსახლეობის მიგრაციის გაკონტროლება, განსაკუთრებით, რაიონებში. ამიტომ ეს საკითხი გადასაწყვეტია, ოღონდ საამისოდ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი. როგორ, რა ფორმით, ეს მოსაფიქრებელია, თორემ მუდმივად სადავო იქნება.

რაც შეეხება იმას, რომელი პარტიები გავლენ პარლამენტში სახელისუფლებო ბლოკის გარდა, აუცილებლად გადალახავს ბარიერს მემარჯვენე ოპოზიცია, დღეს ამის რეალური სურათი უკვე ჩანს. ასევე ვფიქრობ, გავა „აღორძინებაც“, რადგან იგი მიუახლოვდა შვიდპროცენტიან ზღვარს. ასე რომ, ჩვენ დაახლოებით ისეთ კონფიგურაციას ვიღებთ, როგორიც წინა პარლამენტის დროს იყო. მაშინ, როგორც იცით, სამი პარტია, სახელისუფლებო ძალა, მრეწველები და „აღორძინება“ იყო. დღესაც შესაძლებელია ანალოგიური კონფიგურაცია მივიღოთ იმ განსხვავებით, რომ ამ პარლამენტში სახელისუფლებო ძალას შედარებით მეტი წარმომადგენელი ეყოლება.

მე ვვარაუდობ, რომ ეს არ იქნება ერთპარტიული პარლამენტი, იგი უკვე მრავალპარტიულია, რადგან „აღორძინებას“ პარლამენტში უკვე ექვსი მაჟორიტარი დეპუტატი ჰყავს, „მრეწველებს-ახლებს“ – შვიდი, ასე რომ, შეიძლება პარლამენტში 30-35-კაციანი ოპოზიციური ჯგუფი ჩამოყალიბდეს, თუმცა სახელისუფლებო ძალას დიდი უპირატესობა ექნება და ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა შეეძლება. მე სხვაგვარ სურათს ვერ ვხედავ.

როგორც ბატონი ნიკო ლეკიშვილი შენიშნავს, ქვეყანაში, სადაც ბოლო ოთხი თვის განმავლობაში, სამი არჩევნები ჩატარდა, გარკვეული ნიჰილიზმი შეინიშნება. მეორეს მხრივ, ალბათ, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა არჩევნებისადმი ნდობაც დაკარგა, თუმცა 55-პროცენტიანი აქტივობა ცოტა არ გახლავთ, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუციით უკვე საპარლამენტო არ-

– მე ვფიქრობ, – ამბობს ბატონი ნიკო, – ეფექტიანი ოპოზიციის არსებობა პარლამენტში აუცილებელია, რადგან ჩვენ დღეს ისეთ მდგომარეობაში ვართ, როცა შეცდომების დაშვება პრაქტიკულად უნდა გამოირიცხოს. ამიტომ, მე მგონია, თუ მართლა ვინმეს გადალახული აქვს (როგორც ახლა ჩანს, ორი თუ სამი ასეთი ძალა არსებობს), მათ მაქსიმალურად სჭირდებათ ხელის შეწყობა.

იმის თაობაზე, თუ რატომ არ უნდა აძლევდეს ხელს ხელისუფლებას პარლამენტში ოპოზიციური ძალების მოხვედრა ბატონი ნიკო განმარტავს: 1999 წელს ხელისუფლებამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ ორ ძალაზე მეტი არ შეეშვათ პარლამენტში და სახელისუფლებო ბლოკს ჰქონოდა საკონსტიტუციო უმრავლესობა. შესაძლებელია, ეს მომენტი ახლაც ასრულებს მნიშვნელოვან როლს, მაგრამ ქვეყანაში დღეს რეალობაც ისეთია, რომ საზოგადოებაც არ არის მზად ოპოზიციისთვის

დღეს ოპოზიცია არ არის ისეთი ძლიერი და მას სადავო ნაკლებად აქვს, რადგან სახელისუფლებო ბლოკის უპირატესობა მკაფიოდ იყო გამოკვეთილი, მაგრამ ადგილობრივ არჩევნებზე ეს ასე იოლად არ ჩაივლის. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წინა არჩევნებთან შედარებით, ახლა სიებთან დაკავშირებით პრობლემები ნაკლები იყო, მაგრამ ეს დამშვიდების საფუძველს არ იძლევა.

მართლაც ხელისუფლების მუშაობაში სრულფასოვნად რომ აისახოს საზოგადოების ყველა ფენის ინტერესი, პარლამენტში ოპოზიციის ყოფნა აუცილებელია. ამას, ბატონ ნიკო ლეკიშვილთან ერთად, ბევრი პოლიტიკოსი და პოლიტოლოგიც ადასტურებს. საქართველო პატარა ქვეყანაა, აქ კარგიც და ცუდიც ხელისგულზეა დადებული და ნათლად ჩანს. ხალხი ყველაფერს ხედავს, აანალიზებს, თუმცა, ეს, ალბათ, მაინც ჩვენი მენტალობის ბრალია, ყოველთვის პრაგმატულ გადაწყვეტილებას ვერ ვიღებთ, ეს გასაკვირი არც არის, რადგან ჩვენ ახლა ვსწავლობთ და ვეჩვევით დამოუკიდებლად ცხოვრებას, იმას, რომ ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოდეს. ამ ღირსების შეგრძნების ყოველ ჩვენგანში ჩამოყალიბებას დრო სჭირდება. მე ვფიქრობ, ეს დრო უსაშველოდ არ გაიჭიმება.

**შოთა მაჭარაშვილი.**

## რეაქცია

(პირველი გვერდიდან)

# მალე ვიგრძნობთ არჩევანის სიკეთეს

**მართლაც, გუშინწინდელმა არჩევნებმა კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახა, თუ რაოდენ ენდობა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ხელისუფლებაში მოსულ ძალებს. ხალხის ნდობა ძალიან ძნელი მოსაპოვებელია. მაგრამ, ამასთან, იოლად დასაკარგიც. დღეს უკეთესი მომავლის მშენებლობის რწმენა დიდია, ახალგაზრდული ენერგია და შემართება იგრძნობა ქვეყანაში.**

**გუშინწინდელი პარლამენტის არჩევნები ახალი სისხლის გადასხმის პროცედურა იყო ქვეყნისათვის. ეს სისხლი კი მგზნებარე და ამასთან, რევოლუციურია.**

**აშკარა შემართება და ოპტიმიზმი იგრძნობა ყველგან. ყოველი დიდი საქმეც ახალგაზრდობაში კეთდება (ცნობილი გამოთქმაც: „თუ ორმოც წლამდე არაფერი გაგიკეთებია, ვერც შემდეგ შეძლებ რამეს“), თანაც, ჩვენი პრეზიდენტის ყოველი გამოსვლა აღებს ადამიანთა გულებს და ზუსტ, ადეკვატურ სახელებს არქმევს ყველაფერს.**

**მისმა ასეთმა მაღალმა რეიტინგმა განაპირობა მისი თანამებრძოლების, თანამოაზრეების მოსვლა საკანონმდებლო ორგანოში. ამასვე აღნიშნავს საუბარში „დემოკრატი“ ედვარდ სურმანიძე:**

– პრეზიდენტისადმი ნდობამ უმაღლეს მწვერვალამდე ასწია მოსახლეობაში მისი რეიტინგი. გავიხსენოთ იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები, დიდი ხანია, რაც მასავით 96-პროცენტიანი მხარდაჭერა არავის ჰქონია.

მისი გუნდის ესოდენი წარმატება ამითაა გამართლებული. ხალხმა დაინახა, რომ მის რჩეულ, ღირსეულ პრეზიდენტს ზურგიც ასევე ღირსეული, სუფთა და მებრძოლი უნდა ჰყავდეს, რათა განახორციელოს ყველა ის რეფორმა და დაპირება, რაც ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მოქალაქეებს სასიკეთოდ წაადგება.



**– ბატონო ედვარდ, თქვენი აზრით, ახლადმოსული პარლამენტისთვის ეს მართლა შესაძლებელი იქნება?**

– დღევანდელ პირობებში – კი. თქვენ ნახავთ, ხალხი რა მალე იგრძნობს თავის მიერ გაკეთებული არჩევანის სიკეთეს. პარლამენტის მუშაობის მომავალი ოთხი წელიწადი იქნება დიდი, სასიკეთო ძვრების ეპოქა. კეთილდღეობა უნდა იგრძნოს მოსახლეობამ არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხრივ. ეს წლები იქცევა უამრავი საჭირბოროტო პრობლემის გადაჭრის ქვაკუთხედად.

**– არ შემიძლია არ გკითხოთ აჭარაში გამართული არჩევნების შესახებ. როგორია თქვენი აზრი?**

– ამ უახლესი ათი, თუ თხუთმეტწლიანი პერიოდის განმავლობაში ეს იყო პირველი, მე ვიტყოდი, თავგანწირული სულისკვეთებით ჩატარებული არჩევნები აჭარის ტერიტორიაზე.

ამ არჩევნებმა გააქარწყლა მითი იმის შესახებ, თითქოს აჭარის ხელისუფლებას ამომრჩეველთა 95 პროცენტი უჭერდა მხარს. ეს მითი, როგორც ველოდით, მათ მიერ შეთხზული აღმოჩნდა, რადგან იქ არჩევნების შედეგებმა 25 პროცენტიც კი ვერ აჩვენა – ადგილობრივი, აჭარის ხელისუფლება ამ საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა. იგი დაამარცხა სწორედ „ნაციონალ-დემოკრატებმა“ ანგარიშით: ორით ერთი.

**– თუმცა, ამ საპასუხისმგებლო კამპანიის დროს იქ იყო პრობლემებიც...**

– დიახ, გამოცხადებული იყო კომენდანტის საათი, საგანგებო მდგომარეობა. მიკროავტობუსებში ჩამსხდარი ე. წ. რაზმები მოსახლეობას აშანტაჟებდნენ... მიუხედავად ასეთი რეპრესიული მანქანის, ძალის მოქმედებისა, „აღორძინება“ მაინც დამარცხდა. და ეს არის, მე ვიტყოდი, წინა კარი ხვალინდელი დღისათვის.

**– რას აპირებთ სამომავლოდ აჭარაში?**

– უნდა დაინიშნოს ვადამდელი ადგილობრივი არჩევნები. უნდა მოვიდნენ ახალი ადამიანები, ისინი, ვინც ხელს კი არ შეუშლიან, არამედ უზრუნველყოფენ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პროგრესული რეფორმების განხორციელებისთვის მხარდაჭერას.

მე გეუბნებით, ხალხი სულ მალე იგრძნობს თავისი არჩევანის სიკეთეს.

**ყველაფერ ამას ბატონი ედვარდი დიდი რწმენით ამბობს. თუ დააკვირდებით, „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატების“ უზარმაზარი ენერგია, ახლებური აზროვნება და ხედვა ავსებს საქართველოს მომავალ დღეებს.**

**სიმართლისა და კანონის პატივისცემა უეჭველად გადაჭრის ყველა იმ პრობლემას, რამაც ქვეყანა ასე დააუძლურა.**

**დადგა ქვეყნის გაჯანსაღების დრო. პარლამენტში, როგორც საქართველოს სარეანიმაციო პალატაში, კვალიფიციური დასტაქრები უნდა შეიკრიბონ.**

**საზოგადოება იმედით ელის მათ.**

**ნურც გაცრუებოდეს იმედი.**

**ლია ჭიღლაძე.**

## აქცია

# ლეიბორისტები თავს კვლავ დაჩაგრულად გრძნობენ

**28 ნოემბრის არჩევნების დასრულებისთანავე, საღამოს 8 საათისათვის ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა ცესკოს შენობასთან საპროტესტო აქცია მოაწყო.**

არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო ნათელაშვილმა იქ მისულ საზოგადოებას, ვინც მხარს უჭერს მათ პარტიას, საპროტესტო გამოსვლებისკენ მოუწოდა და ჩვეული ტრადიციულობით ხელისუფლების ლანძღვა გააგრძელა. მისი თქმით, არჩევნების ტოტალური გაყალბება მოხდა და ლეიბორისტები შიმშილობას დაიწყებენ, თუ მათი მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს.

ჯონდი ბაღათურიამ კი განაცხადა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ლეიბორისტები ჩვენს ხმებს დავიცავთო. გაყალბება უკვე ჩანს, ოფიციალური შედეგების პარალელურად ჩვენი შედეგები გვაქვს, ოქმები უბნებიდან. ჯერ ერთი, ამომრჩეველთა აქტივობა იყო დაბალი, ისინი უბნების დახურვის შემდეგ რაოდენობას გაზრდიან. ისევ გაყალბება მოხდება, რომლის ოსტატებიც არიან დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებიო. დიდი საშიშროება ამ მხრივ რაიონებშია. იქ ჩვენმა წარმომადგენლებმა დააფიქსირეს ტოტალური გაყალბება. ლეიბორისტულ პარტიას შედეგები ნორმალური ექნება, თუ ხმები არ წაგვართვეს, თქვა ბაღათურიამ და დასძინა, ეგზიტპოლების არ მჯერაო.

მართალია, აქციაზე ხალხმრავლობა არ იგრძნობოდა, მაგრამ აქ იყვნენ ცნობილი პოლიტიკური სახეები. პარლამენტარი ადა მარშანია, დიდი პოლიტიკიდან უკვე წასული კობა ამირხანაშვილი... „რუსთავი-2“-ის კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ როგორ მოხვდა ქალბატონი ადა ამ „გაუგებრობაში“, მარშანიამ უპასუხა, „რუსთავი-2“ თვითონ არის გაუგებრობაო. აქ რომ ლეიბორისტებს არ გაემართათ მიტინგი, მე გავმართავდი, წინასწარ დარწმუნებული ვიყავი, რაც მოხდებოდაო. ამ წლების მანძილზე სწორედ ის ხალხი აყალბებდა არჩევნებს, ვინც დღეს ხელისუფლებაში არიან, ისინი იყვნენ ამ საქმის დიდოსტატები, – თქვა ადა მარშანიამ.

ძალოვან უწყებებთან რა კავშირშია აწ უკვე ყოფილი პარლამენტარი კობა ამირხანაშვილი უცნობია, მაგრამ ამ ბოლო დროს ის ასეთ შეკრებებზე არასამოქალაქო ფორმით ხშირად ჩანს.

შეკითხვაზე, თუ რატომ ჩავარდა ასე სასტიკად ლეიბორისტული პარტია, მან მიპასუხა: გაოცებული ვარ იმით, რომ ლეიბორისტებს პრეტენზია აქვთ იმის გამო, რომ ბარიერი ვერ გადალახეს. ან როგორ გადალახავენ? როცა ოპოზიცია 2 ნოემბრის არჩევნებზე გამოვიდა და ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ გაერთიანებისაკენ მოუწოდა, მაშინ ლეიბორისტები ბუჩქებში შეიმალნენ. მაშინ მიიღო სწორედ ხალხმა გადაწყვეტილება. მაშინ დაასამარეს ლეიბორისტებმა თავიანთი რეიტინგი. მეორე საკითხია, ეს ხელისუფლება გაამართლებს თუ არა. მე მინდა, რომ გაამართლოს! მე კარგად ვარ მათთან, თავის დროზე მხარიც დავუჭირე. გამოსულიყვნენ ერთიანი ფრონტით, მაშინ ასე არ დაქუცმაცდებოდა ოპოზიცია. არ უნდოდათ, იმიტომ, რომ სიებში ადგილებს ყიდდნენ. ასე აკეთებდა მოქალაქეთა კავშირიც (ისე, ბატონი კობა ამირხანაშვილი იმ მოქალაქეთა კავშირის წევრი ბოლომდე იყო!)

მოკლედ კობა ამირხანაშვილმა ურჩია ლეიბორისტებს, სახლებში წადითო. მე თუ მივხვდი და წავედი, რატომ ვერ უნდა მიხვდნენ ისინი, რომ უნდა წავიდნენ? მოდის ახალი ძალა, მათივე წიაღიდან ახალი ტალღა უნდა მოვიდეს. რას გავედა ლეიბორისტების საარჩევნო სია ნოემბრის არჩევნებში! ახლა ცოტა გამოასწორეს, მაგრამ კარგად ვხედავთ, დღეს ამათი მხარდამჭერები სულ ესენი არიან ვინც აქ დგას. რეალობას თვალი უნდა გაუსწორო, წაგებაც და მოგებაც უნდა შეგეძლოს. ახლა იძახიან, გააყალბესო. კაცი მანახეთ, გავიდეთ და ვკითხოთ, ვინც მაგათ ხმა მისცა. ლეიბორისტებს სულ 4-მა პროცენტმა მისცა ხმა. მე წინა კვირას ტელევიზიით გამოვედი, თუ ეს ხელისუფლება არ გაამართლებს, ვარდები შენახული მაქვს ეკლების მხრიდან-მეთქი.

მე საერთოდ არ მიმიქცევია დღეს ყურადღება არჩევნებისათვის, აქ უბრალოდ, გამოვიარე და შევჩერდი. მე აპოლიტიკური გავხდი, იმიტომ, რომ სხვაგვარად ამორალური უნდა გავმხდარიყავი. ჰოდა, ვარჩიე აპოლიტიკური ვყოფილიყავი. როცა ადამიანი იქაც არის და აქაც არის, ეს ამორალურობაა. ჩემთვის მაღალი ზნეობა, „კაი ბიჭობა“ არის გადამწყვეტი. ეს გადაწყვეტილება შარშან მივიღე და ბოლომდე დავრჩი ამ გადაწყვეტილების ერთგული, რომ გითხრა, კალთები დამახიეს-მეთქი, არ ვიქნები მართალი. იმიტომ, რომ პირში მოქმელი არავის უყვარს. არჩევნები არის ხმები. ეს ხელისუფლება იმდენი ხანი იქნება, რამდენ ხანსაც ხალხი აიტანს. თუ ვერ აიტანს, დაემხობა. ძველი ხელისუფლების გადაყენება იყო ძნელი, თორემ დღევანდელი ხელისუფლების გადაყენება იოლი იქნება. ღმერთმა ნუ ქნას!

ხელისუფლებას ვუსურვებ, ზოგი რამ შეცვალოს: საკადრო საკითხი, ხმაურიანი დაპატიმრებები... ამას ვაფიქსირებ ღიად. მე პირველი ვიყავი ვარდების რევოლუციის დროს, ვინც დარბაზში შევიდა და ეს მეამაყება. ის ხელისუფლება უნდა დამხობილიყო. ეს ხელისუფლებაც დაემხობა, თუ კარგად არ მოიქცევა, – თქვა კობა ამირხანაშვილმა.

აქციაზე, მომიტინგეთა შორის ერთი ძალზედ აღელვებული, სოლიდური ასაკის ქალბატონი კამათობდა. იგი ლეიბორისტული პარტიის წევრი, საქართველოში მცხოვრები, ეროვნებით ბელორუსი სვეტლანა მორგუნოვა აღმოჩნდა. საუბრისას აღშფოთება ვერ დამალა: – ქვეყანა გვენგრევა. მე არ ვიცი, ეს ხალხი რას ფიქრობს, საქართველო სოროსის და შევარდნაძის დატოვებული ადამიანების ხელშია. სურთ ეს სუფთა ქვეყანა გაანადგურონ. მე ვხედავ ქართველი ხალხის უსუსურობას. საქართველოში უპატრონო ბავშვთა სახლში ვარ გაზრდილი. რომ ვუყურებ, როგორ აქცევენ საქართველოს, გული მტკივა. ბელორუსი ქალი როგორ უნდა ვყვიროდე საქართველოს ბედზე ასე ხმამაღლა, სად არის ხალხი! ხომ აშკარაა ყველაფერი. ამდენი სიყალბე არ შეიძლება! საქართველოს გადარჩენისათვის ყველამ ხმა უნდა ამოვიღოთ!



**აქციის დასასრულს ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა იქ მისულ ხალხს მადლობა გადაუხადა და მეორე დღეს საპროტესტო აქციაზე მოსვლისკენ მოუწოდა. ოღონდ როგორც გაირკვა, ლეიბორისტთა დაპირებული აქცია მეორე დღეს (ყოველ შემთხვევაში, დღის პირველ ნახევარში) ვერ ჩატარდა...**

**ნანა სულავა.**

### ინფორმაცია თემაში

#### თავის შეკავებას ურჩევენ

**ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი, საქართველოში სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი ბრიუს ჯორჯი 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შედეგად პარლამენტსგარეთ დარჩენილ ქართველ „ლეიბორისტებს“ საპროტესტო აქციების გამართვისგან თავის შეკავებას ურჩევს.**

**მისი განცხადებით, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში ქართველ ხალხს თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება ნამდვილად ჰქონდა და ის შედეგები, რაც დაფიქსირდა, გარკვეულწილად სამართლიანია და რევიზიას აღარ ექვემდებარება.**

**კარგი იქნება, თუ მომავალში ოპოზიციური პარტიები ეცდებიან გამსხვილებასა და გაერთიანებას, ვინაიდან 7-პროცენტიანი ბარიერის გადალახვა საკმაოდ ძნელია წვრილი და დაქსაქსული პარტიებისთვის.**

**ბრიუს ჯორჯის განცხადებით, ხელისუფლებამაც ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ქვეყანაში არსებობდეს და დამკვიდრდეს რეალური ოპოზიცია.**

## მოდარაჯე თვალი

### ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ველოდით

**28 მარტის არჩევნებზე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოსალოდნელი იყო. უფრო ხანში შესული ადამიანები აქტიურობდნენ, ახალგაზრდები კი, რატომღაც, შედარებით ფეხს ითრევდნენ.**

განსხვავებით წინა არჩევნებისგან, მარკირების პრობლემა თითქმის მოგვარებული იყო, მის დასხურებაზე არავის გამოუთქვამს პროტესტი. თბილისის ვარკეთილის უბნებში ყველაფერმა უხმაუროდ, ვარდების თანხლებით ჩაიარა. მაგრამ ერთს კი აღვნიშნავ: საარჩევნო უბნებში კომისიის თავმჯდომარე და წევრები, თითქმის უკლებლივ ყველანი ნაციონალური მოძრაობიდან იყვნენ.

დიდი მისნობა არ სჭირდებოდა იმის განჭვრეტას, რომ პრეზიდენტის პარტია გაიმარჯვებდა. ასეც მოხდა. სამწუხაროდ ოპოზიციური პარტიები ერთიანი ფრონტით არ გამოვიდნენ და დამარცხდნენ. ამდენად, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ველოდით.

**ნათია თვარაძე.**

### „თვეში ერთხელ“ გამართული არჩევნების ბრალიაო...

**ჩვეული სიდინჯით და თბილი იუმორით შეხვდნენ კახელები 28 მარტს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებს. მოდიოდნენ, სასურველ პარტიას ხმას მისცემდნენ და მერე იქვე, საარჩევნო უბნის წინ, ერთხანს საუბრით ერთობოდნენ, იყო სიცილი და ლაღობა.**

წინასგან შედარებით, მაინც დაბალი აქტივობა შეინიშნებოდა. მოსახლეობა მიზეზად „თვეში ერთხელ“ გამართულ არჩევნებს და საზაფხულო სამუშაოებს ასახელებდნენ. ყოველ სოფელში მოვლენილი იყვნენ საერთაშორისო დამკვირვებლები. ისინი მთელი დღის მანძილზე ბეჯითად აფიქსირებდნენ მოვლენებს.

ეს არჩევნები, ალბათ, გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს მრავალწლიანი გაყალბების ფონზე, რადგან მნიშვნელოვანი დარღვევები, ჩხუბი და აყალმაყალი, კერძოდ გურჯაანის რაიონში, მით უფრო ჩემს სოფელში – მუკუზანში, არ მომხდარა.

**ეკა ვაჩნაძე.**

### გვჯერა, იმედს არ გაგვიცრუებს, რაგინდ „ერთპარტიულიც“ იყოს

**უკვე ისტორიას ჩაბარდა ნალოლიავები 28 მარტი. არჩევნების დღემ, ასე თუ ისე, მშვიდობიანად ჩაიარა, თუმცა ექსცესები აქაიქ, რა თქმა უნდა, მოხდა.**

არჩევანი მართლაც დიდი იყო, მაგრამ სწორად გასაკეთებელი. როგორც ველოდით, 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებთან შედარებით სიტუაცია შეუდარებლად უკეთესი იყო. შეგეძლო ნორმალურად, უჩხუბრად, რიგის გარეშე მისულიყავი და მიგეცა ხმა, ერთი სიტყვით, პირადად ჩვენთან – ნაძალადევის რაიონის №4 საარჩევნო უბანში სრული ჰარმონია სუფევდა.



ოდინდელისგან განსხვავებით არ დატრიალებულა „კარუსელი“, სიაში არ შეგვხვედრია „მკვდარი სულები“, არც საარჩევნო ყუთების გატაცება დაფიქსირებულა.

ჩვენი რაიონის ყველა უბანზე სიტუაცია, როგორც ვთქვი, სტაბილური იყო. მთელი დღის მანძილზე სახელისუფლებო ბლოკი იგებდა. აშკარად იგრძნობოდა ხალხის მხარდაჭერა მის მიმართ.

თითოეული ჩვენგანი, ვინც მივედით და ჩვენი არჩევანი გავაკეთეთ, იმედით შევყურებთ ხვალინდელ დღეს, გვჯერა, რომ ახლადარჩეული პარლამენტი მართლაც კარგი იქნება და ყველაფერს გააკეთებს, რათა ჩვენი იმედები არ გააცრუოს, რაც არ უნდა „ერთპარტიული“ იყოს იგი.

**სოფიო გაგნიძე.**

## არჩევნები

# კონფლიქტის ზონაში

საპარლამენტო არჩევნები ჩათავდა და დასრულდა ვარაუდებისა და პროგნოზების ციებ-ცხელებაც.

დიდი და პატარა ლიახვის ხეობის ქართულ-ოსურ სოფლებში სხვა შედეგებს არც ელოდნენ: გაიმარჯვა „ნაციონალურმა“ მოძრაობა-დემოკრატებმა და მერე – როგორ! მიხეილ სააკაშვილის პარტიამ, როგორც მას ხეობაში უწოდებენ, ხმების 85,3 პროცენტი მიიღო.

– განსაკუთრებით იაქტიურეს თამარაშენის, ბელოთის, ქურთის, აჩაბეთის და კონფლიქტის ზონის სხვა სოფლების მოსახლეობამ. აქ არჩევნები ძირითადად სამხრობისთვის დამთავრდა, – ამბობს №85 ლიახვის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე შალვა ბალიაშვილი.

ოპოზიციურმა პარტიებმა პარლამენტში ვერ შეაღწიეს. „მემარჯვენე ოპოზიცია – მრეწველები, ახლებმა“ ხმების 5,4 პროცენტი მოიპოვეს, ლეიბორისტებმა – 3,7 პროცენტი. სხვებმა კიდევ უფრო ნაკლები.

და თუმცა საპარლამენტო არჩევნები დღეს უკვე ისტორიაა, დამარცხებული პარტიები ბრძოლის გაგრძელებას აპირებენ.

ხეობის ბაღ-მინდვრებსა და საბოსტნე ფართობებზე კი საგაზაფხულო სამეურნეო სამუშაოები მიმდინარეობს.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**



აჭარა

### „ჩვენი აჭარა“ უზენაესი საბჭოს ვადამდელ არჩევნებს ითხოვს

**გაერთიანებული ოპოზიცია „ჩვენი აჭარა“ არჩევნების მეორე დღესვე აჭარის უზენაესი საბჭოს ვადამდელ არჩევნებს ითხოვს. როგორც „ინტერ-პრესს“ „ჩვენი აჭარის“ წარმომადგენელმა კახა მიქელაძემ ბათუმში განუცხადა, ამის საფუძველს საპარლამენტო არჩევნების შედეგები იძლევა.**

**კახა მიქელაძის თქმით, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობით აჭარის მოსახლეობამ გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მიმართ. „მოსახლეობამ დაამტკიცა, რომ იგი მხარს უჭერს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კურსს და არ მოსწონს აჭარის რეგიონის ხელისუფლება.**

**„ჩვენი აჭარის“ წარმომადგენელთა მტკიცებით, აჭარის უზენაესი საბჭოს ვადამდელი არჩევნების ჩატარებისთვის საზოგადოებრივი აზრი უკვე მომწიფდა და მათი ორგანიზაცია „მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივ აზრს ახმოვანებს“.**

ოპოზიცია

### ესენი კი იწყებენ, მაგრამ აჰყვება ვინმე?

**„საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია“ ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობას იწყებს. ამის მიზეზად პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების მასობრივ გაყალბებას და ხელისუფლების მხრიდან „ლეიბორისტების“ პარლამენტსმიღმა დატოვებას ასახელებს.**

**როგორც ნათელაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მიხეილ სააკაშვილმა დიდი ხნის „დანაპირები“ შეასრულა და „ლეიბორისტული პარტია“ „ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში არ შეუშვა“.**

**„რაც არ უნდა მოხდეს, სამარცხვინო ხალხით დაკომპლექტებულ პარლამენტში შესვლაზე პარტია თავადაც უარს იტყვის“, – აღნიშნა ნათელაშვილმა და დასძინა, რომ „ლეიბორისტული პარტია“ „მართალი სიტყვის“ თქმას ქუჩიდან შეეცდება.**

**ნათელაშვილის განცხადებით, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების მსგავსი გაყალბება და უკანონობა შევარდნაძის დროსაც არ მომხდარა. „ქვეყანაში „საახოვიზმის“ ტირანია იწყება, რომელიც ოკეანის გაღმიდან სომხური და ებრაული ლობის მიერ იმართება. გარე ძალების უმთავრესი მიზანი ქართული კულტურის განადგურება, ეკონომიკის, განათლების გაჩანაგება და რწმენის შებღალვაა“, – აღნიშნა პარტიის ლიდერმა.**

### ლეიბორისტები შიმშილობენ

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობასთან „ლეიბორისტული პარტიის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის 15 წევრი შიმშილობის აქციას განაგრძობს. „ლეიბორისტები“ 28 მარტის არჩევნების შედეგების გაყალბებას აპროტესტებენ და მათი ხმების დაცვას ყველა მეთოდით აპირებენ.**

**აქციაზე იმყოფებიან ცესკოში „ლეიბორისტული პარტიის“ მიერ დანიშნული წევრი ბადრი ნიაური და ცესკოში პარტიის წარმომადგენელი, პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გელა დანელია.**

**როგორც „ინტერ-პრესს“ დანელიამ განუცხადა, ისინი არ დაუშვებენ მათი ხმების გაყალბებას, რადგან, მისი მონაცემებით, „ლეიბორისტულმა პარტიამ“ 28 მარტის არჩევნების შედეგად ამომრჩეველთა ხმების 15 პროცენტი მიიღო, თუმცა ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მათი ხმები გაყალბდეს. დანელიას მტკიცებით, ძირითადი დარღვევები კენჭისყრის დროს ხდებოდა. ოქმების გადაკეთების მცდელობას ადგილი ჰქონდა საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ და შემაჯამებელი ოქმების შედგენის დროსაც, თუმცა მისი თქმით, პარტიის აქტივისტებმა და პარტიის წარმომადგენლებმა საოლქო კომისიებს ამის საშუალება არ მისცეს.**

**„ლეიბორისტული პარტია“ უკან დახევას არ აპირებს და საკუთარი ხმების დაცვას როგორც სასამართლო გზით, ასევე საპროტესტო აქციებით შეეცდება.**

**„ლეიბორისტული პარტიის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის 20-მდე წევრი ცესკოთან წუხელ მთელი ღამის განმავლობაში იმყოფებოდა.**

კრიმინალი

### ნარკომანი პოლიციელი

**გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომელი, 26 წლის გიორგი ლონდარეიშვილი ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურამ ნარკოტიკების უკანონო მოხმარების ფაქტზე დააკავა.**

**როგორც „ინტერ-პრესს“ ქვემო ქართლის საოლქო პროკურორმა მამუკა ცაავამ განუცხადა, ლონდარეიშვილი „წითელი ხიდის“ საგუშაგოსთან დააკავეს. იგი ნარკოტიკული ნივთიერების „ჰეროინის“ ზემოქმედების ქვეშ იყო. ამასთან, დაკავებულს ამოუღეს 0,48 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი“.**

### 30 ლარად გაიყიდა

**ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურამ გუშინ პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე ყურაშვილი ქრთამის გამოძალვაში ეჭვმიტანილად სცნო.**

**ყურაშვილი თელეთის საგუშაგოზე სწორედ ქრთამის გამოძალვის ფაქტზე დააკავეს. ბრალდების არგუმენტებით ყურაშვილმა რამდენიმე დღის წინათ მოქალაქე დააკავა, რომელსაც მობილური ტელეფონი და საბუთები ჩამოართვა, მათი დაბრუნების სანაცვლოდ კი 30 ლარი მოითხოვა.**

**დაკავების დროს ყურაშვილს დანომრილი თანხა ამოუღეს.**

### დედოფლისწყაროში „აღორძინების“ წარმომადგენელი სასტიკად სცემეს

**„დემოკრატიული აღორძინების კავშირის“ წევრი, დედოფლისწყაროს ერთ-ერთი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ფრიდონ საბიაშვილი 28 მარტს გვიან ღამით საოლქო კომისიის შენობიდან გამოსვლის შემდეგ რამდენიმე დაუდგენელმა პირმა სასტიკად სცემა.**

**როგორც „ინტერ-პრესს“ არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისათვის“ თავმჯდომარემ ნანა კაკაბაძემ განუცხადა, ფრიდონ საბიაშვილი გუშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას პირველადი დახმარება აღმოუჩინეს, რის შემდეგაც ოჯახის წევრებმა უსაფრთხოების მიზნით საბიაშვილი საკუთარ სახლში გადაიყვანეს.**

**ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საიუბილეოდ

# თუ მას შეცდომები ჰქონდა, ეს იყო დიდი პატრიოტისა და გამორჩეულად პატიოსანი ადამიანის შეცდომები

## რამდენიმე შტრიხი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პორტრეტისათვის



პირველი. მიუხედავად ერისათვის, ქართველი ხალხისათვის დიდი უბედურების მომტანი მრავალი პრინციპული ხასიათის შეცდომისა, ზვიადი იყო თავისი ერის ბოლომდე ერთგული, ნამდვილი პატრიოტი, ერის სახელისა და დიდებისათვის თავდადებული მებრძოლი. ამ მაღალი თვისებებით მას, საეჭვოა, დღეს ვინმე შეედაროს.

მეორე. ზვიადი იყო უზადო პატიოსნებისა და სისპეტაკის, ამ უაღრესად დასაფასებელი თვისებების განსახიერება.

სამწუხაროდ, მას ამ მხრივაც იშვიათად თუ შეედრება ვინმე.

მესამე: ზვიადი იყო ცნობილი მეცნიერი, უაღრესად განათლებული პიროვნება. იგი ამ მხრივაც უნიკალური მოვლენაა.

კი, მაგრამ შეცდომები?

შეცდომები, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მართლაც იყო და ბევრი მათგანი ერის სასიცოცხლო ინტერესების საწინააღმდეგოდ წარიმართა. ამის პირველი და ძირითადი მიზეზი ის გახლდათ, რომ მას ნამდვილად არ გააჩნდა ქვეყნის პირველი პირისათვის ასე აუცილებელი, საჭირო პრაქტიკული გამოცდილება, და ეს გასაგებიცაა, მის მიერ განვლილ ცხოვრების გზას თუ გადავავლებთ თვალს. მეორე, მის გარემოცვაში აღმოჩნდა ძალიან ბევრი ისეთი პიროვნება, რომელიც ისე განსხვავდებოდა ზვიადისგან, როგორი განსხვავებაცაა სიმაღლეში ევერესტსა და ფუნიკულიორს შორის. ამიტომ, მათი რჩევები, – რა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივი მშენებლობის თვალსაზრისით, – არც ახლადშექმნილი დამოუკიდებელი საქართველოსა და არც მისი პრეზიდენტისათვის არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც იყო რაიმე სიკეთის მომტანი, რამეთუ მათთვის მთავარი გახლდათ თავისი ვიწრო კარიერისტული ინტერესები და, საბოლოო ჯამში, ამას ანაცვალეს კიდეც ყველაფერი, მათ შორის თვით ზვიად გამსახურდიას პიროვნება და სიცოცხლეც კი.

რა თქმა უნდა, სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ ეს ვაი-მოღვაწენი ახლაც მშვენივრად გრძნობენ თავს და დღეს, ბატონი ზვიადის ქვრივის ქალბატონ მანანა არჩვაძის ავტორიტეტს ამოფარებულნი, ისევ ძველებური ძალით იბრძვიან თავისი პირვანდელი მდგომარეობის როგორმე შენარჩუნებისა და ე. წ. სახელმწიფო კარიერისათვის. რომ არა მათი უნიჭო, წამქეზებლური რჩევები, ქალბატონ მანანა არჩვაძეს გააჩნია ყველა საჭირო თვისება, რომ აკეთოს ეროვნული საქმე. ამიტომ, ვთხოვ მას, ნუ აჰყვება ასეთი ჯურის ადამიანების არაფრის მომცემ, უკვე კარგა ხანია ყავლგასულ ამბიციებს, – იგი ხომ დიდი კონსტანტინე გამსახურდიას რძალი და საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეუღლეა!

ერთი სიტყვით, მე ბატონ ზვიად გამსახურდიას შეცდომებზე საუბრისას იმის ხაზგასმა მინდოდა, რომ მას, მართალია, არ აღმოაჩნდა ქვეყნის პირველი პირისათვის საჭირო ყველა მაღალი თვისება, მაგრამ აქ მთავარი მაინც ის არის, რომ **ეს შეცდომები არავითარ შემთხვევაში არ იყო ჩადენილი ბოროტი განზრახვით; ეს იყო ქართველი ერის დიდი პატრიოტისა და გამორჩეულად პატიოსანი ადამიანის შეცდომები, რაც, ვიმეორებ, გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის პირველი პირისათვის ასე აუცილებელი გამოცდილების უქონლობით, აგრეთვე ხელისუფლებაში იმ პერიოდში მოხვედრილი შემთხვევითი ადამიანების ამბიციებით, მის გარემომცველთა უნიჭო რჩევებით. ამასთან, გასათვალისწინებელია ამ შეცდომათა ხელოვნურად გამაღრმავებელ, სიტუაციის ყოველნაირად დამძაბავ იმ არაქართულ, არაეროვნულ ძალთა უდიდესი „ძალისხმევაც“, რომლებიც ვერანაირად ვერ შეურიგდებოდნენ და არც შერიგებიან საქართველოს სულით და ხორცით ქართველი კაცის ყოფნას!**

მე მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამი.

და განვლილმა 12 წელმაც ყველაზე მჭევრმეტყველურად სწორედ ეს დაადასტურა!

*მიმაჩნია, რომ სწორედ ამ პოზიციის დადასტურებაა საქართველოს პარლამენტის მიერ 2002 წლის მაისში მიღებული დადგენილება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელის უკვდავყოფის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაბიჯი გარკვეულად დაგვიანებულიც კი არის, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ბოლო პერიოდში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით ყოველმხრივ მისასალმებელია და ეს უთუოდ ხელს შეუწყობს ამ ისტორიული პიროვნების მიმართ საღი, ობიექტური აზრის დამკვიდრებას საქართველოს უახლეს ისტორიაში.*

**გრიგოლ ჟვანია,**
**პროფესორი.**

საზღვარი

# საქართველო-თურქეთი: მეგობარი ქვეყნების ჭეშმარიტი პარტნიორობა

**სამდღიანი სასაზღვრო სწავლება დასრულდა ახალციხის სიახლოვეს, საქართველო-თურქეთის საზღვარზე, რომელშიც მონაწილეობდნენ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სასაზღვრო სამმართველოსა და მოსაზღვრე არდაგანის ოლქის სასაზღვრო ბატალიონის პირადი შემადგენლობები (თითოეული მხარიდან 32 მესაზღვრე). საქართველო-თურქეთის სასაზღვრო უწყებების თანამშრომლობის გეგმის თანახმად, წლეულს სწავლება მეხუთედ გაიმართა. ქართული მხრიდან სწავლებას ხელმძღვანელობდა საქართველოს სასაზღვრო უწყების თავმჯდომარის მოადგილე, ბრიგადის გენერალი თენგიზ აბულაძე.**

სწავლებას წინ უსწრებდა ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე გამართული ქართველი და თურქი კოლეგების ამხანაგური შეხვედრები ფეხბურთში, ჭადრაკში, ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში. ქართველმა მესაზღვრეებმა მასპინძლის „მოვალეობები“ დაივიწყეს და სპორტის სამ სახეობაში სძლიეს თურქ მესაზღვრეებს, პირველობა კი მხოლოდ მაგიდის ჩოგბურთში დაუთმეს.

სწავლების დაწყებამდე თურქულ სასაზღვრო საგუშაგო „თურქგიორგზე“ მოეწყო თურქული ტექნიკისა და აღჭურვილობის დათვალიერება და პირადი შემადგენლობის საჩვენებელი მეცადინეობა.

სწავლება დაიწყო საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ, ზღვის დონიდან 1339 მეტრზე მდებარე მდინარე ფოცხოვისწყალის სიახლოვეს. სამეთაურო-სამეთვალყურეო პუნქტი თურქეთის ტერიტორიაზე იყო განლაგებული. სწავლების თემა რთულრელიეფიან საზღვარზე არსებული დღევანდელი პრობლემატიკის გათვალისწინებით შეირჩა. ქართველ და თურქ მესაზღვრეებს თავიანთი პროფესიული მომზადების დონე საქართველოდან თურქეთში კონტრაბანდული საქონლის გადინების აღკვეთის და თურქეთიდან ჩვენს ქვეყანაში არალეგალური მიგრაციის აღმოფხვრის საქმეში უნდა ეჩვენებინათ.

სწავლება საქართველოდან გადასული „დამრღვევების“ დაკავებით დაიწყო. მიღებული ინფორმაციის თანახმად, ორივე ქვეყნის სასაზღვრო საგუშაგოებმა გააძლიერეს სადაზვერვო საქმიანობა, თვალთვალი და განწესის მოძრაობის პერიოდულობა. მხარეებს შორის კავშირი ხორციელდებოდა რაციების დახმარებით. თურქეთის მხარის სათვალთვალო კოშკის გუშაგმა შენიშნა, რომ საქართველოს მხრიდან საზღვარს უახლოვდებოდა 5 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 2 მოქალაქე. მდგომარეობა ეცნობა საგუშაგოს უფროსს, რომელმაც გასცა მითითება შესაბამისი მოქმედების შესახებ. ჩატარებული მანევრების შედეგად, თურქეთის მესაზღვრეთა ოპერატიულმა ჯგუფმა „დამრღვევები“ დააკავა. ქართულ მხარეს კი საზღვრის „დამრღვევი“ თურქეთის 2 მოქალაქე უნდა დაეკავებინა, რომელთაც საქართველოში ნარკოტიკების შემოტანა სურდათ. ინფორმაცია ეცნობა ქართულ სასაზღვრო საგუშაგოს უფროსს. მისი მითითებით სასაზღვრო განწესმა გააკეთა საფარი და საქართველოში გადმოსული საეჭვო პიროვნებები ალყაში მოაქცია. „დამრღვევთა“ დაკავების შემდეგ მოეწყო კანონმდებლობით გათვალისწინებული შეხვედრა რეგიონული სამმართველოს უფროსსა და ფოსოფის გამგებელს შორის. გაფორმდა აქტები და მხარეებმა დამრღვევები ერთმანეთს გადასცეს. სწავლება საკმაოდ სანახაობითი გამოვიდა. მესაზღვრეები მოქმედებდნენ ოპერატიულად, შეთანხმებულად და უშეცდომოდ. როგორც აღინიშნა, საქართველო-თურქეთის საზღვრის ამ მონაკვეთზე ყველაზე ხშირად სწორედ ამგვარი სახის დარღვევებს აქვს ადგილი, ამიტომ სწავლება პრაქტიკულ ხასიათს ატარებდა. სწავლებას ესწრებოდა 17 კურსანტ-მესაზღვრე, რომლებიც ლილოს სასწავლო ცენტრში გადიან მზადებას. სასაზღვრო წარმომადგენლების გარდა, მას როგორც საქართველოს, ისე თურქეთის მხრიდან მოწვეული სტუმრებიც ადევნებდნენ თვალყურს. მათ შორის სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი და არდაგანის გუბერნატორი აიდინ გუჩლუ.

სწავლების ხელმძღვანელმა და სტუმრებმა საკუთარი აზრი გაგვიზიარეს.

**ბრიგადის გენერალი თენგიზ აბულაძე:** ეს სწავლება გამოხატულებაა ორ ქვეყანას შორის ჩამოყალიბებული კეთილმეზობლური და პარტნიორული ურთიერთობისა. როგორც ხუთწლიანმა პრაქტიკამ აჩვენა, ასეთი სწავლება ამართლებს. ყოველწლიურად იგი იხვეწება, რაც ორი ქვეყნის საზღვრის დაცვაზეც აისახება.

**სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი, ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი:** სასაზღვრო სწავლება მინდა შევაფასო როგორც წარმატებული. მსურს აღვნიშნო იმ მიღწევების შესახებ, რაც ქართველ და თურქ კოლეგებს საზღვრის დაცვის სფეროში გააჩნიათ. მე შევხვდი გუბერნატორსაც და ჩვენ ქართულ-თურქული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებაზე ვისაუბრეთ.

**არდაგანის გუბერნატორი აიდინ გუჩლუ:** სწავლება წარმატებით დასრულდა. სწავლებაზე მომეცა შესაძლებლობა, გავცნობოდი სამცხე-ჯავახეთის ახალ გუბერნატორს. ვფიქრობ, ასეთი ღონისძიებები გააღრმავებს ჩვენს ურთიერთობებს. ჩვენ სხვადასხვა საკითხებიც განვიხილეთ, მათ შორის ჩილდირ-აქთაშ-კარწახის ახალი გამტარი პუნქტის გახსნის შესახებ ვისაუბრეთ. თუ ახალი გამტარი პუნქტი მოკლე დროში გაიხსნება, ვფიქრობ, იგი დიდად წაადგება საქართველო-თურქეთს შორის სავაჭრო ურთიერთობების და ეკონომიკის განვითარების საქმეს.

თურქეთთან თანამშრომლობა-პარტნიორობა მხოლოდ ერთობლივი წვრთნებით არ გამოიხატება. სულ ახლახან ნატოს პროგრამით – „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ თურქეთის წარმომადგენლობამ ქართველ მესაზღვრეთა ორმოცკაციან ოფიცერთა შემადგენლობას ერთკვირიანი სემინარი ჩაუტარა, თემაზე – „საზღვრის კონტროლის უსაფრთხოება“. განიხილეს უკანონო მიგრაციის, ნარკოტიკებისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები. სწავლების დასასრულ ქართველ ოფიცრებს თურქულმა მხარემ სერტიფიკატები გადასცა.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ თურქული მხარე მზად არის, მომავალშიც აღმოუჩინოს დახმარება ქართულ მხარეს, გააგრძელოს კეთილმეზობლური და პარტნიორული ურთიერთობა.

შეიძლება ითქვას, რომ ორი ქვეყნის სასაზღვრო უწყებების ურთიერთობაში ერთგვარი დისონანსი მხოლოდ საზღვრის დამრღვევ თურქულ გემებს შეაქვთ, რომლებიც ხშირად არღვევენ საქართველოს ტერიტორიული წყლების საზღვრებს და უკანონო თევზჭერას ახორციელებენ აფხაზეთის აკვატორიაში. თუმცა, როგორც საქართველოს სასაზღვრო უწყებაში ამას წინათ ვიზიტად მყოფმა თურქეთის სანაპირო დაცვის სარდალმა, ადმირალმა ჰეპერმა განაცხადა, თურქული მხარე მზად არის, საქართველოსთან ერთად პრინციპულად იმუშაოს აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად. ამ შეხვედრაზე ქართული და თურქული სანაპირო დაცვის მხარეებმა გადაწყვეტილებაც მიიღეს, რომ საკანონმდებლო ბაზა დაუახლოვონ ერთმანეთს, რათა შესაბამისი ადმინისტრაციული სასჯელი დაეკისროთ დამრღვევ გემებს. ადმირალ ჰეპერის პირობა კანონდარღვევების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებების შესახებ, მხოლოდ პირობად არ დარჩა და ქართველ მენაპირეებს 11 მარტს, აფხაზეთის საზღვაო აკვატორიაში, სოხუმი-გუდაუთის ტრავერსზე, დარღვევების ფაქტზე დაკავებული გემების „პალარეისის“ და „კაპტან პალას“ დაკავების ოპერაციაში თურქულმა სანაპირო დაცვის კატარღამაც აღმოუჩინა დახმარება. გემები დააკავეს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამაფრთხილებელი სროლის შემდეგ. შემთხვევის ადგილზე თურქული სანაპირო დაცვის კატარღაც გამოჩნდა, რომლის ეკიპაჟი, საქმეში გარკვევისთანავე, უკანვე გაბრუნდა.

საქართველოსა და თურქეთის სანაპირო დაცვის სამსახურებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, მთელი სისრულით შედის ძალაში. ამგვარი თანადგომა, ალბათ, შედეგს გამოიღებს და საქართველოს ტერიტორიულ წყლებში თურქეთის დამრღვევი გემების რაოდენობაც შემცირდება.

**ეკა დონდუა.**



გული არ ივიწყებს

**თამარ ჩიჯავაძე**

# შენ და მე

ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტები უთუოდ სხვებიც არიან ჩვენში, მაგრამ ეს სამი შემოქმედი მე იმიტომ გამოვაცალკევე, რომ მათ პოეზიაზე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა – დავა თუ მოწონება, რომელიც ბოლოს მკითხველთა სიყვარულით მთავრდება. ეს ბუნებრივიც არის – ყოველ ახალს დიდი წინააღმდეგობა ეღობება. მოიგონეთ როდენის „ბალზაკი“, რომელმაც ერთ დროს კინაღამ შეაშინა ამერიკელი დამკვეთი მილიონერები თუ ფრანგები და გამოფენაზე გამოტანის უფლებაც კი არ მისცეს. დღეს კი აღნიშნული ქანდაკება მსოფლიოს ხელოვნების საგანძურშია...

ახლა უშუალოდ შოთა ნიშნიანიძის პოეზიის შესახებ.

რა თქმა უნდა, ამ პოეტის შესახებ მე გესაუბრებით ძირითადად იმ ლექსთა კრებულით, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოაქვეყნა 1964 წელს. მას უთუოდ კარგად იცნობენ ქართველი მკითხველები, ამიტომ ზედმეტი ციტირებებით თავს არ შეგაწყენთ.

კრებულში ხუთი განყოფილებაა და ბუნებრივია, რომ პირ[...]ველი ნაწილი „ერთი მუ[...]ჭა მიწა“, ყოველგვარ[...] იდეალიზაციის გარეშე[...] წარსულის მშვენიერ და[...] სურათხატებას იძლევა[...] იგი მართლაც ჭეშმარიტ[...] საგალობელია ჩვენი სის[...]ხლიანი ისტორიისა, რომლის შესახებაც, თუმ[...]ცა მრავალი დაწერილა, მაგრამ ხელოვნების უკ[...]ვდავებაც სწორედ ის არის, რომ ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედს აძლევს საკუთარ ჰორიზონტს, რომ საუკუნეების მიღმა დაინახოს სხვისგან დაუნახავი სურათები. წყალში ასარკული ბრძოლის სურათები „და ისრით დაკაწრული ციხე“.

საქართველოს ისტორია აფორიაქებული დღეებით და სოდომის ნგრევით მოვიდა დღემდე. ამიტომ მის დღევანდელ შვილს უფლება აქვს ცრემლნარევი მელნით იგონებდეს და წერდეს მის შესახებ. მე ეხედავ, რომ შოთა ნიშნიანიძე ნამდვილი ქართველია, რომელსაც ჩვენი დიდი წარსული რაღაც გრავიტაციული ძალით იზიდავს და ქრონიკული ტკივილებით განიცდის მას, როგორც მოუშუშებელ იარას. ნამდვილი შემოქმედი წარსულის სურათებსაც უნდა ამდიდრებდეს თავის თანამედროვეობას. დიდი ნიზამი საუკუნეობით იხედავა უკან და პოემა „ისქან დერნამეში“ ალექსანდრე მაკედონელზე წერდა საოცარ სტრიქონებს. შესანიშნავი ადამიანის გერონტი ქიქოძის თქმით, ჰიტლერელთა წინააღმდეგ საბრძოლველად ფუჩიკმა „ჩეხეთის ისტორიული წარსულიდან ჰუსიტების დიდი აჩრდილები გამოიწვია“.

დიახ, ეს სრული ჭეშმარიტებაა... საქართველო მარად უკვდავია. „ვაზით და ფრესკით ჩემი მხარე მარად იცნობა“ და სრულიად ზედმეტია, ამ ლამაზ სიტყვებს რაიმე კომენტარი გაუკეთო. პოეტს უნდოდა, აი ამ უკვდავ მხარეს „შეშველებოდა იმ საშინელ დროში“ და მისი ჩალისფერი დროის ჩრდილქვეშ მომკვდარიყო.

რომელი ერთი ლექსი დაგისახელოთ: „ციხე-ტაძართა საგალობელი“, „ხევსური“, „ცა ქუდად, მიწა ქალამნად“, „ხმალთა ქარაგმა“, თუ „მცხეთის ქალაქს მირონი დუღს“... ეს ისეთი ლექსებია, რომ ყოველი მათი სტრიქონი ციტირების ღირსია, მაგრამ ეს მეტად უხერხული იქნებოდა. სჯობს ისევ თქვენ გადაიკითხოთ ხელახლა.

ლექსთა მეტად თავისებურ წყობას, უბრალო სიტყვებს, მაგრამ მდიდარ პოეტურ სახეებს ჩვენ იმ საუკუნეებში გადაყავართ, როცა ქართველი ფეოდალები შადიმან ბარათაშვილის, ქაიხოსრო ჯავახიშვილის, იასე ქსნის ერისთავის თუ ნუგზარ ერისთავის სახით ჰყიდდნენ და ყიდულობდნენ საქართველოს, ქრისტიანულ რჯულს, რათა საკუთარი ძალაუფლება ჰქონოდათ ხელთ. კიკანათბერის ციხეში, ისე როგორც ლონდონის ნიუგეიტის საკნებში აბჯრიან რაინდებს, სულს ხდიდნენ ღირსეულ ქართველ მამულიშვილთ, სასიკვდილოდ დევნიდნენ კურთხეულ გიორგი სააკაძეს – გმირთა გმირს. გაიხსენეთ 1626 წელს ბაზალეთის ტბასთან ზურაბ ერისთავსა და გიორგი სააკაძეს შორის გამართული ომი. გაიხსენეთ, თუ სააკაძის მომხრობისთვის, როგორ დასაჯა საკუთარი ძმა ზურაბ ერისთავმა, „შეიპყრა გიორგი და აღმოხადნა თვალნი“...

გიორგი სააკაძე საქართველოს გაერთიანებისთვის იბრძოდა, მაგრამ მისი გეგმა უფრო პროექტი იყო, რომელსაც საზიზღარი ფეოდალების ხელში ახდომა არ ეწერა და იგი შვილთან ერთად საქართველოდან გადაიხვეწა, სადაც თავი მოჰკვეთეს. მაგრამ იულიუს ფუჩიკისა არ იყოს, ადამიანი არ პატარავდება იმის გამო, რომ თავს ჰ კვეთენ. ასეა გიორგი სააკაძის საქმეც. მისი სახელით დღესაც ვამაყობთ ქართველები და სუფრაზე ვმღერით ხოლმე კიდეც:

**რა ვუთხრა იმავ ქართველსა,**
**ვის ლხინი გაჰკვირვებია**
**და სააკაძე გიორგი**
**ერთხელ არ გახსენებია.**

მაგრამ ყოველივე ამ მძიმე დღეებმა გაიარა...

**ჩემო წინაპარო, პაუ რა გიქნია –**
**საუკუნეები შუბზე აგიგია! –**
**ციხე, ანძა, ხატი, საფლავები**
**დია –**
**მხარზე გაგიდევს და**
**ზღაპრად წაგიღია...**

დიახ, პოეტის მიერ ისტორიულ თემებზე დაწერილმა ამ შესანიშნავმა ლექსებმა მაიძულა მცირე ექსკურსი გამეკეთებინა წარსულში და ძირითად თემიდან ოდნავ გვერდზე გადამეხვია. გადავუხვიე და მგონი არც მეძრახვის, რადგან შოთა ნიშნიანიძის ლექსების წაკითხვამ წარსული მომაგონა, ტკივილები მაგრძნობინა.

ხარის პრობლემა დიდი ხანია დასმულია როგორც ქართულ ხალხურ, ისე კლასიკურ პოეზიაში. ხარი, შეიძლება ითქვას, ნამდვილი კერპი იყო ქართველი ადამიანისა და ეს არც გასაკვირია. ხარმა, ხმალმა და ვაზმა ჭეშმარიტად გადაარჩინა საქართველო. „გუთნის ტარი და ხმლის ტარი საჭეა ქართლის ცხოვრების“. ეს პრობლემა მე ისე სადად და ბრწყინვალედ გადაწყვეტილი ჯერ არსად წამიკითხავს ჩვენს პოეზიაში, გარდა ნიშნიანიძის კრებულისა, სადაც ეს ლექსი ერთ-ერთი უძლიერესთაგანია.

მკითხველს ჰგონია, თითქოს პოეტი წლების მანძილზე მეხრე იყო, თითქოს „წიქარას“ ზღაპარი მას ახდომოდეს ცხოვრებაში.

აღნიშნული ლექსი ტირილია არა მარტო ხარისა, არამედ მის მიღმა ამოფარებული ჩვენი სისხლიანი წარსულისა და ბოლოს ადამიანის დაუნდობელი ბუნებისა, როცა იგი ნაჯაფარ ხარს მადლობის მაგიერ წამოაქცევდა და დაკლავდა ხოლმე.

ბევრი პოეტი და ბევრი რიგითი ადამიანი ყოფილა მწერალთა კავშირის შენობაში და მინებში გამოკეტილ ვეფხვის თავს არაერთხელ ჩაშტერებია მრისხანე და ძლიერ თვალებში, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია, რომ მასზე რაიმე დაეწერა. თუმცა ეს არცაა გასაკვირი, რადგან ყველა ყველაფერს ერთნაირად როდი განიცდის. ახალგაზრდა პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ მასში დაინახა ის დიდი ნახტომი და აზიის სიცხით მოთახთახე ტანი, რაც ასე დამახასიათებელია ვეფხვის უძლიერესი ბუნებისათვის...

წიგნის მთლიანი მოსმენისას დავრწმუნდი, რომ შოთა ნიშნიანიძე ერთნაირი სიძლიერით ხატავს ისეთ მა[...]რადიულ თემას, როგორიც სიყვარულია, თუ ზოგადად ადამიანის რთულ ფსიქოლოგიურ განცდებს, მინიატიურებს...



სიყვარული მთავარი საფუძველია კაცობრიობის სიცოცხლის არსებობისა და შთამომავლობისა, „ოჯახში ჩვილის პირველი ნაბიჯებისა“, ამიტომ არც გასაკვირია, რომ პოეტს ამ საკითხისადმი მთელი ციკლი აქვს მიძღვნილი, რომელშიც ბევრი ღრმად გააზრებული და ტკბილი ლექსია შესული.

მინიატიურები საკმაოდ რთული პოეტური ჟანრია. ეს სირთულე იმით გამოიხატება, რომ ორიოდე სიტყვით პოეტმა უნდა დახატოს შთამბეჭდავი სახე, დაუვიწყარი სურათები. ნიშნიანიძეს კარგად შეუძლია ხატოს ასეთი სურათები, რასაც ამტკიცებს „ნაადრევი ნაყოფი“, „ცეცხლი“, „...დილა ატმებში შეყუჟულა“ და მრავალი სხვა. „სიტყვა მოქნილი სხობია“, – გვეფრთხილებს ნიზამი საუკუნეების სიღრმიდან და ეს მოქნილობა ნიშნიანიძის ყველა მინიატიურას თან სდევს.

მე ბევრს აღარ გავაგრძელებ, მეშინია, ამ ღრმად მოხუცმა ადამიანმა ისეთი რამ არა ვთქვა, რომ პოეტიც და მკითხველიც უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო, ან არაფრისმთქმელი მსჯელობით თავი მოვაბეზრო.

დავუმატებ, რომ შოთა ნიშნიანიძის სახით ქართულ პოეზიას მეტად საიმედო ძალა, მრავალმხრივი და ორიგინალური პოეტი ჰყავს, რომლის შემოქმედება დღითი დღე იზრდება. იგი არა მარტო კასტელივით ხატავს ჩვენს დიდ ისტორიულ წარსულს, არამედ თანამედროვეობასაც, ვაჟაკცურად მიმართავს:

**„შენი ახალი მეკვლე ვარ, შენი ახალი ჩუქურთმა“.**

დიახ, შოთა ნიშნიანიძე ერთ-ერთი უნიჭიერესი შემოქმედია, რომელიც თამამად უდგას მხარში ბევრ ჩვენს სახელოვან პოეტს. მის ლექსებში მე ვიგრძენი დიდი ეროვნული სითბო, რომელმაც დამარწმუნა, რომ ჩვენი კლასიკური პოეზია თავისებური გზით იზრდება და ვითარდება.

უნდა აქვე აღვნიშნოთ, რომ არსებობს რაღაც შორეული ნათესაური კავშირი შოთა ნიშნიანიძის და შედარებით უფროსი თაობის წარმომადგენლის, ნიჭიერი პოეტის მურმან ლებანიძის შემოქმედებას შორის. ეს კავშირი იმით გამოიხატება, რომ მათ პოეზიას ამკობს საოცრად თბილი, ნაზი, სრულიად ახალი პოეტური ხერხები, სახეები, ლექსის სამშენებლო სიტყვიერი მასალა, რაც ესოდენ დაყრდნობილია უმდიდრეს ქართულ ხალხურ პოეზიაზე, რომელიც ორი ნიჭიერი პოეტის აზროვნებაში თავისებურად გადმოხარშულა და მეტად უნაზესი ფორმა მიუღია. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა მათს პოეზიაზე.

ჩანს, რომ შოთა ნიშნიანიძე დროს არ ჰკარგავს და დაძაბულად მუშაობს, რადგან, მისი სიტყვისა არ იყოს, „სიცოცხლის ფასი უნდა ვიცოდეთ“, უნდა გამოვიყენოთ იგი და რაც შეიძლება წავართვათ მეტი შესაძლებლობანი.

– ბედნიერება იმის ხვედრია, ვინც ბევრს შრომობს, – ეუბნებოდა ლეონარდო და ვინჩი მოწაფეებს. ამ მხრივ ჩვენი ახალგაზრდა პოეტიც ბედნიერია, შრომობს და იმკის პოეტურ ბედნიერებას. იგი უკვე ლექსთა რვა კრებულის ავტორია.

მაპატიოს პატივცემულმა პოეტმა, რომ მის კრებულზე ძირითადად აქ ვამთავრებ საუბარს. ვიცი, რომ პოეტი მეტს მოელოდა ჩემგან, რომ მე მის ყოველ ლექსს სათანადოდ აეწონ-დავწონიდი და თითოეულ სიტყვაზეც კი რამეს ვიტყოდი, მაგრამ რა ძნელია, როცა საკუთარი თვალით ვერ კითხულობ და სხვისგან მოსმენილის მიხედვით აკეთებ დასკვნას რაიმე ნაწარმოებზე...

პირადად მე შოთა ნიშნიანიძეს არ ვიცნობ. მხოლოდ გაზაფხულზე მქონდა შემთხვევა, რომ ტელეფონით მესაუბრა მასთან, გადამეცა ჩემი დიდი კმაყოფილება მის ლექსებზე, რაც სწორედ იმ წუთში რადიოთი მოვისმინე.

მე ვიცი, რომ ჩემი გულახდილი საუბარი შოთა ნიშნიანიძესთან უკანასკნელია, მაგრამ უკანასკნელი არ იქნება პოეტის ის კრებული, რომელიც ჩემს შვილიშვილებს ხელში უკავიათ და გატაცებით მიკითხავენ.

**იპოლიტე ვართაგავა“.**

თვრამეტი თუ ცხრამეტი წლის შოთა არდადეგებზე იყო იმერეთში. ერთხელ მეზობელ სოფელში რომ მიდიოდა ნათესავის მოსანახულებლად, მოხუცი ებრაელი წამოსწევია და ერთად გაუგრძელებიათ გზა. ეს მოხუცი კულაშელი თალმუდისტი არონია (ალბათ არონი) ყოფილა, რომელსაც შოთასთვის ძალზე ბევრი საინტერესო რამ უამბნია. შოთა განსაკუთრებით გაოცებულა, როცა ამ უცნობ მოხუცს დედამისის მეზობლების სახელები ჩამოუთვლია. ისიც კი მოთხრა, ვის რა ფერის თვალები ჰქონდათ.

რაც მთავარია, არონიას უთქვამს: შენ ბეწვის ხიდზე გიწევს გავლა და ამაში ერთი მოხუცი დაგეხმარება, რომელიც შენზე გაზეთში რაღაცას დაბეჭდავსო. აი, ამ მოხუცად ჩათვალა შოთამ იპოლიტე ვართაგავა, ამიტომაც მიანიჭა შოთამ იპოლიტე ვართაგავას ამ შესანიშნავ წერილს განსაკუთრებული მნიშვნელობა. უბრალოდ დამთხვევაა იყო, თუ მართლა ახდა იმ თალმუდისტის სიტყვები, არ ვიცით. ერთი კი ნამდვილია, ამის შემდეგ ბევრი დაინტერესდა შოთას შემოქმედებით. ბევრი ძალზე საინტერესო წერილი თუ სტატია დაიწერა მის პოეზიაზე. მართლა წაუბორძიკებლად და უხიფათოდ გაიარა შოთამ ეს ბეწვის ხიდი და საყოველთაო აღიარებაც მოიპოვა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ არონს უთქვამს: შენ ბედნიერი კაცი ხარ, ცის გახსნას შეესწრებიო. ჩვენც ხშირად შევეცქეროდით ცას თალმუდისტის სიტყვების ახდენის მოლოდინში. ეს განსაკუთრებით რაჭაში ყოფნისას იყო. უსაშველოდ მაღალ ჩამუქებულ და ვარსკვლავებით გადაჭედილ ცას რომ შევყურებდით, ვამბობდით: თუ გასახსენელია, ალბათ ახლა გაიხსნება.

**(გაგრძელება იქნება).**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ 63-71.**

მიწა

# კარზეა ეკოლოგიური უბედურება

როგორც ადამიანს, ნიადაგსა და მცენარეებსაც ესაჭიროებათ კვება მცენარეული ორგანიკის სახით. სიცოცხლისათვის ეს ბიოლოგიური საფუძველი დაარღვიეს გარემოს დაცვის ყოფილ სამინისტროში, როცა ორგანული ნედლეულის – ტორფის მოპოვება აკრძალეს: მიწა თანდათან იფიტება ორგანული სასუქების მიუღებლობის გამო და ნაყოფიერებას კარგავს. შესაბამისად, მცენარეებიც კარგავენ იმუნიტეტს დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ. მარცვლეულის მოსავლიანობა და ბოსტნეული კულტურების ხარისხი წლითიწლობით უარესდება. აზოტიანი ქიმიური სასუქების დიდი დოზები სპობენ ნიადაგის მიკროფლორას, რომელიც ნიადაგში აღდგენით ფუნქციებს ასრულებს.

საქართველოს ნიადაგებში ორგანული სასუქის დეფიციტმა უკვე მიაღწია ათობით მილიონ ტონას. ჰუმუსის შემცველობა 1,5 პროცენტით შემცირდა. ამ დანაკარგების ალსადგენად კი მრავალი ათეული წელია საჭირო. მიწის ფონდი – წარმოების პირველი ძირითადი საშუალება – დეგრადაციას განიცდის.

საქართველოს მიწების გადარჩენისა და აგრარული სექტორის განვითარებისათვის სასწრაფოდ უნდა აღვადგინოთ ორგანული სასუქების წარმოება. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო ეკონომიკას უახლოეს ხანში სერიოზული პრობლემები შეექმნება.

**იური რამაზაშვილი,**
**ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, „კომპლექსური ორგანულ-მინერალური სასუქების“ ეკოლოგიური პროექტის დირექტორი.**

სიტყვა

# „რა პატარაა ეს სამყარო ჩემს საცხოვრებლად“

## დიდი პორტუგალიელი პოეტის კამოენსის პოეზია ქართულად ითარგმნა

რას ეუბნება პორტუგალიელი ლუის ვაჲ დე კამოენსის სახელი ქართველ მკითხველს?

სამწუხაროდ, ბევრს არაფერს, რადგან მის განსაცვიფრებელ პოეზიას ჯერ ქართულად არ ამოუდგამს ენა და არც გული გაუღია პოეზიის მოყვარული ქართველი მკითხველისთვის. არადა, წლეულს აღორძინების ეპოქის ამ გიგანტის დაბადებიდან 470 წელი სრულდება.

კამოენსი ის პოეტია, ვისი შემოქმედებაც, ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერის და კრიტიკოსის ავგუსტ შლეგერის თქმით, „ერთ ლიტერატურად ღირს“.

მით უფრო სასიამოვნოა, რომ დიდი პორტუგალიელის პოეზია ჩვენთვისაც ახლობელი გახდა. ცნობილმა პოეტმა ჯემალ ინჯიამ ამ ფრიად ძნელ, მაგრამ საშვილიშვილო საქმეს წარმატებით გაართვა თავი: თარგმნა პოეტის ასამდე სონეტი, ხოლო „ლუზიადების“ თარგმნა, მისი ვარაუდით, წლის დამლევამდე გასრულდება.

ამ დღეებში კი საქართველოს მწერალთა კავშირის გორის განყოფილებაში პორტუგალიელი პოეტის პოეზია ქართულად „დააჭაშნიკეს“ – ჯემალ ინჯიამ კამოენსის სონეტების ქართული თარგმანი წაიკითხა.

პოეტის შემოქმედების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა ზაურ წაქაძემ, ნუნუ ოთარაშვილმა, გიორგი მახარობლიძემ, ჩერმენ დუდათიმ და სხვებმა.

**გურამ ვაშაკიძე.**

ბატონებო, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!





# საგამოძიებო კომისია ჩვენებას მოითხოვს

**ამერიკის კომისია, რომელიც იძიებს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების გარემოებებს, აპირებს კვლავ მოსთხოვოს პრეზიდენტის მრჩეველს ეროვნული უშიშროების საკითხებში კონდოლიზა რაისს საჯაროდ ფიცის ქვეშ კვლავ მისცეს მოწმის ჩვენება.**

რაისმა უკვე მისცა ჩვენება კომისიის წევრებს, მაგრამ ეს მოხდა დახურულ კარს მიღმა და მან უარი განაცხადა გაეცა პასუხი კითხვებზე საჯარო მოსმენის დროს.

კონდოლიზა რაისი აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელთა რიცხვში, რომლებიც მკაცრად გააკრიტიკეს იმის გამო, რომ ვაშინგტონში 11 სექტემბრის მოვლენებამდე სერიოზულად არ აღიქვამდნენ მუქარას „ალ-ყაიდას“ მხრიდან.

კომისიის წინაშე გამოსვლისას, ამერიკის მთავრობის ყოფილმა კოორდინატორმა ანტიტერორისტული საქმიანობის საკითხებში რიჩარდ კლარკმა განაცხადა, რომ ბუშის ადმინისტრაციამ მთელი ყურადღება გაამახვილა სადამ ჰუსეინზე, ხოლო მუქარას „ალ-ყაიდას“ მხრიდან მართალია, ანიჭებდა გარკვეულ მნიშვნელობას, მაგრამ მაინც სათანადოდ არ აფასებდა.

თუმცა, თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა სატელევიზიო ინტერვიუში უარყო ასეთი ბრალდება. „თუ გადავავლებთ თვალს იმას, რაც გაკეთდა, დავინახავთ, რომ ჩვენ ამ ტერორისტული აქტების შემდეგ შევედით ავღანეთში და არა ერაყში“, — აღნიშნა მან.

კლარკის მიერ გამოთქმულ ამ კრიტიკულ შენიშვნებს არ დაეთანხმა სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელიც. „იმის თქმა არ შეიძლება, თითქოს მუქარამ „ალ-ყაიდას“ მხრიდან არ გამოიწვია როგორც ჩემი, ისე ადმინისტრაციაში მომუშავე ჩემი კოლექტივის შეშფოთება“, — თქვა მან.

კონდოლიზა რაისის ხელმეორედ გამოძახების შესახებ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ გახდა სასიამოვნო ახალი ამბავი თეთრი სახლისათვის, რომლის წარმომადგენლებმაც აღნიშნეს, რომ რაისი უკვე ესაუბრა კომისიის წევრებს დახურულ კარს მიღმა, ხოლო საჯარო ჩვენების მიცემას მას კონსტიტუცია უკრძალავს, რადგან რაისს უკავია პრეზიდენტის პრივილეგირებული მრჩევლის თანამდებობა.

თუმცა, გასულ უქმე დღეებში კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როცა საქმე გვაქვს მსგავსი მასშტაბის ტრაგედიასთან, ასეთი იურიდიული ბარიერები არ შეიძლება სერიოზულ დაბრკოლებად ჩაითვალოს.

ამავე დროს, კვირას კოლინ პაუელმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, რიჩარდ კლარკმა დაუსაბუთებლად გააკრიტიკა კონდოლიზა რაისი. „ვფიქრობ, არ ღირს დოქტორ რაისის დადანაშაულება, — თქვა სახელმწიფო მდივანმა. — ყველაფერი სურთ ისე წარმოაჩინონ, თითქოს რაისმა არ გააკეთა ის, რაც დავალებული ჰქონდა. ეს ასე არ არის“.

მიმომხილველთა აზრით, თეთრ სახლს, შესაძლოა, შეექმნას სერიოზული პრობლემები. ამერიკელები, პრინციპში მხარს უჭერენ კომისიას, ხოლო იმან, რომ რაისს არ სურს ჩვენების მიცემა ფიცის ქვეშ, შესაძლოა მორიგი დარტყმა აგემოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის რეპუტაციას.

# მეთანი მარსზე სიცოცხლის ნიშანია?

**მეთანი მარსის ატმოსფეროში, შესაძლოა, მოწმობდეს იმას, რომ პლანეტაზე დღემდე არსებობს სიცოცხლე, — აცხადებენ მეცნიერები.**

გაზი აღმოაჩინეს დედამიწაზე არსებულმა ტელესკოპებმა, ამ ცოტა ხნის წინათ კი მისი არსებობა დაადასტურეს ევროპის კოსმოსური სააგენტოს ორბიტული აპარატის მარსის ექსპრესის ბორტზე დამონტაჟებულმა ხელსაწყოებმაც.

მეთანი მარსის ატმოსფეროში დიდხანს ვერ „ცოცხლობს“, ამიტომაც, მისი შემცველობა გამუდმებით უნდა ივსებოდეს. საამისოდ არის ორი შესაძლებლობა — აქტიური ვულკანები, რომლებიც წითელ პლანეტაზე ჯერჯერობით ვერ აღმოაჩინეს, ან მიკრობები.

ასტრონომები წინათ უკვე იტყობინებოდნენ, რომ დედამიწაზე არსებული უმძლავრესი ტელესკოპების მეშვეობით მათ შეძლეს მარსის ატმოსფეროში დაეფიქსირებინათ მეთანის სპექტრული „ავტოგრაფი“.

ჰავაის კუნძულებზე არსებულმა ინფრაწითელმა ტელესკოპმა და ჩილეს ჯემინის სამხრეთმა ობსერვატორიამ გაზი გასულ წელს აღმოაჩინეს. იგივეს აცხადებდნენ სპეციალისტებიც, რომლებიც მართავდნენ „მარსის ექსპრესზე“ დამონტაჟებულ პლანეტარულ სპექტრომეტრს.

მარსზე მეთანის არსებობის დამატებით მტკიცებულებებს წარმოადგენენ ასტრონომთა კონსორციუმის შეხვედრაზე, რომელიც აპრილში გაიმართება.

მეთანის მოლეკულები მარსის ატმოსფეროში არასტაბილურია. თუ მისი მარაგი არ შეივსება, იგი წითელ პლანეტაზე რამდენიმე ასეულ წელიწადზე მეტ ხანს ვერ იარსებებდა.

ეს კი ნიშნავს იმას, რომ აღმოჩენილი გაზი აუცილებლად უნდა ახლდებოდეს.

შესაძლოა, მეთანი გამოიყოფა ვულკანური აქტიურობის შედეგად. გაზს შეიძლება გამოჰყოფდეს ამოფრქვეული ლავა, ან იგი, უბრალოდ, ჟონავდეს მარსის ზედაპირზე.

თუმცა, ამ ვერსიის დამტკიცება რთულია: მარსის ირგვლივ მოქმედმა ვერც ერთმა კოსმოსურმა აპარატმა ჯერჯერობით ვერ დააფიქსირა თუნდაც ერთი ვულკანი პლანეტის ზედაპირზე.

მაგრამ, თუ „ვულკანური ჰიპოთეზა“ დადასტურდება, ეს იქნება უაღრესად მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენა შორსმიმავალი შედეგებით. ვულკანის მიერ გამოფრქვეულ სიცხეს შეუძლია დაადნოს ყინულის გიგანტური ფენა, რომელიც მარსის ზედაპირის ქვეშ არის აღმოჩენილი, და შექმნას ისეთი პირობები, რომლებშიც თეორიულად შეიძლება სიცოცხლის ჩასახვა.

დედამიწაზე მეთანს აწარმოებენ ბაქტერიები წყალბადისა და ნახშირორჟანგისგან. დედამიწაზე არსებულ მეთანისწარმომქმნელ მიკრობებს არ სჭირდება ჟანგბადი და, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ასეთი ტიპის მიკროორგანიზმები, შესაძლოა, მარსზეც არსებობდნენ.

ორ ამერიკულ ტყუპისცალ-რობოტს, რომლებიც მიმდინარე წლის იანვარში დაჯდნენ წითელ პლანეტაზე, არ შეუძლიათ გაგვცენ პასუხი მეთანის წარმოქმნასთან დაკავშირებულ კითხვაზე, რადგან ეს აპარატები შექმნილია მხოლოდ გეოლოგიური კვლევა-ძიებისათვის.

სამაგიეროდ, მომავალში, მარსმავლების გაშვების დროს, მათში ჩაამონტაჟებენ სპეციალურ სენსორებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება მეთანის ანალიზის განხორციელება, რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ შევიტყოთ აქვს თუ არა მის წარმოშობას ბიოლოგიური ფესვები.

სხვათა შორის, ხელსაწყო, რომელსაც შესწევდა უნარი „შეესუნთქა“ მარსის ატმოსფერო, დამონტაჟებული იყო ბრიტანული „ბიგლ-2“ რობოტზე, მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ აპარატმა ვერ შეძლო წარმატებით დაჯდომა წითელ პლანეტაზე.



# ირლანდიამ ბოლო სიგარეტი მოსწია

**ირლანდიის რესპუბლიკაში ორშაბათიდან ამოქმედდა სამუშაო ადგილებში თამბაქოს წევის აკრძალვის შესახებ კანონი.** ამიერიდან იმ პირს, რომელსაც ანთებული სიგარეტით ხელში წაასწრებენ ლუდხანაში, რესტორანსა თუ ნებისმიერ სხვა დახურულ ნაგებობაში, რომლებშიც ადამიანები მუშაობენ, ელის 3 ათასი ევროს ოდენობის ჯარიმა. თუმცა, აკრძალვა არ ვრცელდება სასტუმროს ნომრებზე, საპყრობილეებზე, ინტერნატებისა და ფსიქიატრიულ კლინიკებზე.

ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვისათვის ბრძოლის აქტივისტები ზეიმობენ გამარჯვებას, მაგრამ რესტორნებისა და ლუდხანების მფლობელები შიშობენ, რომ ახალი კანონი მძიმე დარტყმას მიაყენებს მათ ბიზნესს, თანაც, ისინი ეჭვობენ, რომ შესაძლებელი იქნება ამ კანონის დაცვა.

დუბლინის ზოგიერთ ბარში უკვე გახსნეს ფასიანი მოსაწევი ადგილები, რათა თამბაქოს მწეველებმა არ დაარღვიონ ახალი კანონი.

თამბაქოს წევის აკრძალვის მომხრეები იმასაც აცხადებენ, რომ ახალი კანონის ამოქმედების შედეგად არ დაცარიელდება ლუდხანები, რადგან მათ ახლა არამწეველები მიეძალებიან.

როგორც ირლანდიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბერტი აჰერნმა განაცხადა, ამ ცოტა ხნის წინათ გამართული გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, რომ იმ პირთა თითქმის სამი მეოთხედი, რომლებიც ბოლო კვირის განმავლობაში თუნდაც ერთხელ მაინც იმყოფებოდა ლუდხანაში, არ ეწევა სიგარეტს. გარდა ამისა, თამბაქოს მწეველთა თითქმის 65 პროცენტი აცხადებს, რომ ახალი კანონი მათ არ შეუშლის ხელს იმაში, რომ ეწვიონ ლუდხანას და გადაჰკრან ერთი-ორი კათხა ირლანდიული ლუდი.

„თამბაქოს მწეველთან ერთ ოთახში ყოფნა ნიშნავს იმას, რომ ჩაისუნთქო სულ ცოტა 50 ისეთი ნივთიერება, რომლებიც, როგორც ითვლება, იწვევენ კიბოს, აგრეთვე სხვა ქიმიკატები, რომელთა ზემოქმედებითაც ადამიანს უწევს წნევა, ავადდება მისი ფილტვები და თირკმელები, — მიაჩნია პრემიერ-მინისტრს. — უმრავლესობამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება ამ საკითხის თაობაზე და ახლა ისინი ელიან მთავრობისგან ამ პრობლემის გადაჭრისათვის გამიზნულ ღონისძიებათა განხორციელებას“.

თუმცა, მრავალი ლუდხანის მფლობელი ძალზე სკეპტიკურად ეკიდება ამ სიახლეს და ზოგიერთი მათგანი იმასაც კი აცხადებს, რომ ისინი უგულებელყოფენ აკრძალვას.

გარდა ამისა, მიაჩნიათ ლუდის ბარების მეპატრონეებს, ახალი კანონის შესრულება, უბრალოდ, შეუძლებელი იქნება, განსაკუთრებით — უქმე დღეებში, როცა ლუდხანაში უამრავი ხალხი შედის და ამ ადამიანებს უბრალოდ ვერც კი წარმოუდგენიათ, თუ როგორ უნდა მიირთვან ლუდი ისე, რომ სიგარეტი არ გააბოლონ.




# თავდასხმა მინისტრზე

**ერაყის ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მოხდა თავდასხმა ერაყის დროებითი მთავრობის საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრზე ნისრიმ ბურვარიზე.**



პოლიციის მონაცემებით, ერაყის ქალაქ მოსულში შეიარაღებულმა პირებმა ავტომატური იარაღის ცეცხლი დაუშინეს ავტომობილების კოლონას, რომელთაგან ერთ-ერთში იმყოფებოდა ქალბატონი ნისრიმ ბურვარი.

ამ თავდასხმის შედეგად თვით მინისტრი არ დაშავებულა, თუმცა მისი სამი პირადი მცველი მოკლეს.

ნისრიმ ბურვარი ერაყის მმართველი საბჭოს მიერ არჩეულ ქვეყნის დროებით მთავრობაში ხუთი ქურთი მინისტრიდან ერთ-ერთია.

მისი უწყება, სამ სხვა სამინისტროსთან ერთად, მიმდინარე წლის 1 აპრილამდე უნდა დაექვემდებაროს ერაყელთა კონტროლს.

# აფეთქება ტაშკენტში

**სულ ცოტა ორი კაცი დაიღუპა და რამდენიმე დაშავდა ტაშკენტში მომხდარი აფეთქების შედეგად. გამოძიება განიხილავს ტერორისტული აქტის ვერსიას.**

როგორც რუსეთის საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, აფეთქება მოხდა ქალაქის ძველი ბაზრის მახლობლად მდებარე „ბავშვთა სამყაროს“ მაღაზიასთან.

უზბეკეთის შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებს ამ ფაქტთან დაკავშირებით ჯერჯერობით არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ.

ამავე დროს, ძალოვანი სტრუქტურების წყაროებმა „ინტერფაქსის“ სააგენტოებს აცნობეს, რომ განხორციელდა ტერორისტული აქტი.

ინფორმაცია ქალაქის სხვა რაიონებში მომხდარი აფეთქებების შესახებ არ დადასტურებულა.

„რესპუბლიკაში დაფიქსირდა ტერორისტული აქტების განხორციელების რამდენიმე მცდელობა. არიან დაკავებულები, რომლებიც უკვე იძლევიან ჩვენებებს“, — იტყობინებიან ძალოვან სტრუქტურათა წარმომადგენლები.

უზბეკეთის დედაქალაქში მიიღეს უშიშროების გაძლიერებული ზომები.

1999 წლის თებერვალში ტაშკენტში მოხდა აფეთქებათა მთელი სერია, რომელთა გამო პასუხისმგებლობა ქვეყნის ხელისუფლებამ დააკისრა უზბეკეთის ისლამური მოძრაობის დაჯგუფების წევრებს. როგორც ვარაუდობენ, ეს მოძრაობა დაკავშირებულია „ალ-ყაიდას“ ტერორისტულ ქსელთან.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**
**ზაზა ბეჟანიძემ.**



## ჰორიზონტს მიღმა

# მესამე თვალი

### „მაკროპულოსის საშუალება“

უამრავი ლეგენდა არსებობს მესამე თვალის შესახებ. ზოგი მათგანი სარწმუნოა, ზოგიც — ნაკლებად. მაგრამ ყველა სოლიდარულია ერთში: მესამე თვალი ადამიანის ორგანიზმის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ანტიკურ ფილოსოფოსებში მას უწოდებდნენ თავის ტვინის ცენტრში მდებარე სპეციალურ სარქველს, რომელიც არეგულირებს „სულის რაოდენობას“, ან იმ ცხოველმოქმედ ძალებს, რომლებიც ორგანიზმში კოსმოსიდან აღწევენ. ინდოელ გურუებს კი იგი დღემდე მიაჩნიათ ნათელჭვრეტის ორგანოდ.

მესამე თვალის ბროლი ფოტორეცეპტორებითა და ნერვული უჯრედებით უკვე ორი თვის ნაყოფს წარმოექმნება. ამის შემდეგ მესამე თვალს შეიწოვს ორგანიზმი. შესაძლოა, მესამე თვალი ჰქონდათ ჩვენს შორეულ წინაპრებს, მაგრამ თანამედროვე ადამიანებში იგი რედუცირებულია. მაინც, რა დარჩა? მთავარია, რომ დარჩა ეპიფიზი. სწორედ მას უერთდება ნერვები, რომლებიც მესამე თვალიდან მოდიან, და ეს კარგად ჩანს ცხოველებში.

ეპიფიზის აგებულება დაწვრილებით აღწერა და შეისწავლა აღორძინების ეპოქის ანატომმა ვეზალიუსმა, რომელმაც მას გირჩისებრი სხეული უწოდა. ლეონარდო და ვინჩის მიაჩნდა, რომ ამ ორგანოშია დაბუდებული ადამიანის სული. XVII საუკუნის ფრანგი ფიზიოლოგი და ფილოსოფოსი რენე დეკარტი ფიქრობდა, რომ ამ ორგანოს საშუალებით მართავს სული თავის ფიზიკურ სხეულს და სწორედ მისი მეშვეობით ხორციელდება იდეალური სამყაროს კავშირი მატერიალურთან. იგი გირჩისებრ ჯირკვალს — ეპიფიზს — უწოდებდა „ჩვენი სულის სამეფო ტახტს“. მაგრამ, XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამდეგის მეცნიერები სკეპტიკურად ეკიდებიან ასეთ მოსაზრებას.

იტალიელმა მეცნიერმა დ. პიერპაოლიმ 1994 წელს ცხოველთა ეპიფიზიდან გამოჰყო „ღამის ჰორმონი“, რომელიც აახალგაზრდავებს ორგანიზმს და ახანგრძლივებს სიცოცხლეს.

...ამ სენსაციურმა აღმოჩენამ მთელი მსოფლიო ააფორიაქა. ნუთუ, ნაპოვნია „მაკროპულოსის საშუალება?“ რამდენიმე წლის წინათ ამერიკაში „ღამის ჰორმონი“ სეზონის ჰიტად იქცა. ყოველ აფთიაქსა და ჯანსაღი კვების ნებისმიერ პატარა მაღაზიას, მყიდველის მიზიდვის მიზნით, აუცილებლად მიაჩნდა ვიტრინაში გამოეფინა აბრა წარწერით: „ჩვენ გვაქვს მელატონინი“ (ასეთივე წარმატებით ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია კისერზე დაიკიდოს აბრა მსგავსი წარწერით. ყოველ ჯანმრთელ ადამიანს ხომ აქვს საკმარისი რაოდენობით ეს ჰორმონი. გარდა ამისა, მას შეიცავს ბანანი, ბრინჯი, სიმინდი და სხვა პროდუქტები და იგი ორგანიზმს ეხმარება უჯრედებისათვის მავნე თავისუფალი რადიკალების წინააღმდეგ ბრძოლაში).

და აი, კიდევ ერთი სენსაცია. 2001 წლის ივლისში, ვანკუვერში, გერონტოლოგთა მსოფლიო კონგრესზე, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ჩრდილო-დასავლეთი განყოფილების სანკტ-პეტერბურგის ბიორეგულაციისა და გერონტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერებმა გამოაცხადეს, რომ ეპიფიზიდან შეძლეს გამოეყოთ გამაახალგაზრდავებელი ნივთიერება. ეს პრეპარატი მათ შეიყვანეს ბებერი მაიმუნების ორგანიზმში და აღმოჩნდა, რომ მისი ზემოქმედებით თვით „ბებრების“ ეპიფიზმაც დაიწყო „ღამის ჰორმონის“ გამომუშავება. ნორმალურად დაიწყო სხვა ჰორმონების გამოყოფაც, რამაც გააახალგაზრდავა მაიმუნები.

ასეთ ინფორმაციას დაუყოვნებლივ მოჰყვა რეაქცია. გერონტოლოგთა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტმა გლორია გუტმანმა მოისურვა სწვეოდა სანკტ-პეტერბურგს და ადგილზე გასცნობოდა ინსტიტუტის მუშაობას. უდიდესმა სამეცნიერო გამოცემამ „კაგერმა“ ითხოვა მოემზადებინათ მონოგრაფია რუსი მეცნიერების აღმოჩენის შესახებ. როტშილდის ფონდი აცხადებდა, რომ „კაცობრიობის ინტერესებისათვის“ უკეთესი იქნებოდა, თუ ეს გამოკვლევები განვითარდებოდა ლონდონშიც. არაბულ საამიროთა მთავრობის მინისტრმა შეიჰ საიდმა კი მეცნიერთა კოლექტივს შესთავაზა სრული შემადგენლობით გადასულიყო აბუდაბიში და მათ გულუხვ დაფინანსებასაც დაპირდა.

თუმცა, მეცნიერები არ ჩქარობდნენ გადაბარგებას არც თბილ ქვეყნებში, და არც ნისლიან ალბიონში.

### ბუდას ტვინის თიაქარი

ბატერიებს — თანამედროვე დინოზავრებს, რომლებიც ახალ ზელანდიაში ბინადრობენ, აქვთ რეალურად მოქმედი მესამე თვალი. იგი მრავალ გადაშენებულ რეპტილიას ჰქონდა. ნაპოვნია ამ ქვეწარმავალთა გაქვავე[illegible]გორც სხვა ფეხსახსრიანებს, თავზე ერთბაშად ორი „მესამე თვალი“ აქვს, ორივე — თავისი ბადურით და ბროლით. ფეხსახსრიანთა ეს თვალები მეტად მგრძნობიარედ აღიქვამენ იისფერი და ულტრაიისფერი გამოსხივების ზემოქმედებას.

ჯერ კიდევ საბჭოურ ეპოქაში ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებდა, რომ ტვინი აზროვნებს მასში შეღწეული კოსმოსური [illegible] როგორც [illegible] ბოზევის [illegible] ლი აზრო[illegible] სებულია [illegible] ციელდება [illegible] ნაწილაკე[illegible] სფეროსებრი ობიექტი, ატომი, უჯრედი, დედამიწა, ვარსკვლავი, გალაქტიკა — ახდენს კოსმოსური გამოსხივების კონცენტრაციას. თავის ქალის ქვეშ მდებარეობს მძლავრი კოსმიური ლინზა — თავის ტვინის მილიარდობით [illegible]რედი, რომელსაც გარს ერტყ[illegible] ელექტრონული ველები. კოსმოს[illegible] ენერგიის კონცენტრაცია ხდება თავის ცენტრში, სწორედ იქ, სადაც მდებარეობს ეპიფიზი.

სწორედ ეპიფიზიდან ხდება იმ სურათის პროექტირება, რომელიც ნათელმხილველის ცნობიერებაში აღიბეჭდება. ეს ხდება სწორედ ისე, როგორც კინოთეატრის ეკრანზე აღიბეჭდება გამოსახულება, რომლის წყაროა კინოდანადგარიდან გამოსული სინათლის სხივი. თხემის მესამე თვალის უქონლობის გამო, ასეთი ვირტუალური სურათის შექმნაში ჩვენი ჩვეულებრივი თვალები მონაწილეობენ, თუმცა, ისინი ჩვეულებრივი რეჟიმით მუშაობენ. გონებაში აღბეჭდილი სახე ტვინში ხვდება არა თვალების მეშვეობით, არამედ — თავის თხემიდან.

მაგრამ ნათელხილვის მექანიზმი ყოველთვის ასეთი როდი იყო. იგი ხელმეორედ წარმოიქმნა მას შემდეგ, რაც ადამიანებს გაუქრათ თხემზე არსებული რეალური მესამე თვალი. ჩვენს შორეულ წინაპრებს მხედველობის ორგანო განლაგებული ჰქონდათ სწორედ თხემზე, და არა შუბლზე, როგორც ამას ბევრი ფიქრობს. შუბლზე მისთვის, უბრალოდ, არ არის ადგილი.

ცნობილია, რომ ახალშობილებს ყიფლიბანდი რბილი აქვთ იმის გამო, რომ თავის ქალის ამ ადგილზე ძვლებმა ვერ მოასწრეს შეზრდა. მეორეს მხრივ, ადამიანებს, რომლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეწევიან მედიტაციას, იმავე ადგილზე, თანდათანობით უთხელდებათ თავის ქალა. ზოგიერთ ინდოელ იოგს საერთოდ განწოვილი აქვს ძვალი თხემზე. ალბათ, ასეთი ცვლილება უფრო აიოლებს კოსმოსური ენერგიის შეღწევას თავში. ბუდას მრავალ გამოსახულებას თუ დავაკვირდებით, სწორედ თხემზე შევნიშნავთ თმებით დაფარულ კოპს.

ბუდას მასშტაბის პიროვნებებს იმდენად დიდი აქვთ აზროვნების ინტენსივობა, რომ ტვინი პირდაპირ „გადმოდის“ თხემიდან. მედიკოსები ასეთ მოვლენას ტვინის თიაქარს უწოდებენ. თხემზე „გირჩის“ არსებობის მიხედვით განსაზღვრავდნენ უძველეს დროში ადეპტის გულმოდგინებას და მის ფსიქიურ დონეს.

თუმცა, ეს ხელს არ უშლიდა ზოგიერთ ცრუწინასწარმეტყველს ხალხის თვალში პატივისცემისა და აღიარების მოპოვების მიზნით, ხელოვნურად დაედგა თავზე დიდი კოპი. მრავალ აფრიკულ ტომში შამანები დღესაც იმაგრებენ თხემზე დახვეული თმებისგან დამზადებულ ხელოვნურ „ზვინს“ და რაც უფრო დიდია იგი, მით უფრო წარმატებულია მაგიური პროცედურა.

**ძველ ხალხს სწამდა: ფიზიკური სხეული არსებობს მანამ, სანამ მასში ცოცხლობს სული. ცოცხლობს, მაგრამ სად? ბერძნებს მიაჩნდათ ეპიფიზში — თავისებურ „ფიჭვის გირჩაში“, რომელიც თავის ცენტრშია განლაგებული. პეტერბურგელმა გერონტოლოგებმა, ეპიფიზიდან გამოჰყვეს ნივთიერება, რომელზეც დამოკიდებულია სიცოცხლის ხანგრძლივობა.**



2. ბუდას თავი (სამხრეთი ტაჯიკეთი, VII საუკუნე).

1. რომანოვების დინასტიის დიდი საიმპერატორო გვირგვინი. ძვირფასი თვლები თავმოყრილია თხემზე.

3. ადამიანის სავარაუდო წინაპარი. თავის ქალის ცენტრში მოჩანს მესამე თვალი.

4. ტრეპანაციის კვალი პირველყოფილი ადამიანის თავის ქალებზე.

### თანამგზავრული ანტენა ზურგზე

რელიგიური ცერემონიების დროს ქურუმები გამოდიოდნენ ძვირფასი თვლებით დამშვენებული თავსამკაულით. როგორც წესი, ყველაზე დიდი თვალი თხემზე იყო მოთავსებული. როგორც ჩანს, კოსმოსური ენერგია, რომელიც აღწევდა პატიოსანი თვლის კრისტალურ სტრუქტურაში, იყრიდა იქ თავს და სხივის სახით მიეწოდებოდა თხემს. ეს გახლდათ რაღაც ლაზერის მსგავსი. ტვინის სიღრმეში შედიოდა და აღწევდა ეპიფიზს. მასში ყალიბდებოდა გამოსახულება, რომელიც ნერვული იმპულსების სახით გადაეცემოდა ტვინის სტრუქტურებიდან თვალის ბადურას. ძვირფასი თვალი ასრულებდა ხელოვნური მესამე თვალის ბროლის როლს. ამ შემთხვევაში ბადურის ფუნქციას ეპიფიზი ასრულებდა. გვირგვინით თავზე მედიტაციის დროს წარმოიქმნებოდა სახე. ამ მომენტს ზოგჯერ გონების გაცისკროვნებასაც უწოდებენ. პარალელურად ქურუმებს ეუფლებოდა ტრანსის მდგომარეობა. ასე მუშაობდა ხელოვნური მესამე თვალი.

წირვა-ლოცვისას მღვდელმსახურები ოდითგანვე იყენებდნენ ძვირფასი თვლებით დამშვენებულ გვირგვინებს. მოგვიანებით მათ მიბაძეს მეფეებმა და დიდგვაროვნებმა, რომლებმაც თავიანთი გვირგვინები პატიოსანი ძვირფასი თვლებით შეამკეს. თუმცა, ყველა მონარქსა და დიდგვაროვანს როდი ჰქონდა შეგნებული, თუ რატომ აკეთებდა ამას.

ერთი ლეგენდის მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელს, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა სამყაროს მეფობაზე, ინდოელმა ქურუმებმა მოუწყვეს გამოცდა. მათ გარკვეულ დღესა და საათს შესთავაზეს მაკედონელს დაედგა თავზე უზარმაზარი ძვირფასი ქვებით შემკული გვირგვინი და დამჯდარიყო ტახტზე. ჭერის ვიწრო ღრიჭოში აღწევდა მზის სხივი, რომელიც სწორედ თხემზე მოექცა სამეფო ტახტზე მჯდომ მონარქს. ქურუმებმა ჩაიფიქრეს: თუ ალექსანდრე გაუძლებს ამას და ტახტზე თუნდაც რამდენიმე წუთს გაჩერდება, იგი შეიძლება მიიჩნიონ სამყაროს მეფედ, თუ ვერა — დაიღუპება. ლეგენდის თანახმად, მაკედონელმა ვერ გაძლო „სამყაროს ტახტზე“ დადგენილი დროის განმავლობაში, რადგან საშინელმა თავის ტკივილმა შეაწუხა. რამდენიმე დღის შემდეგ მხედართმთავარი უკურნებელი სენით აღესრულა.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვიცით, ამის გამო გარდაიცვალა მაკედონელი, თუ არა. მაგრამ ჯერ კიდევ 14 ათასი წლის წინათ, ან იქნებ უფრო ადრეც, ადამიანები აკეთებდნენ თავის ქირურგიულ ოპერაციას. თანაც, არა სამედიცინო მიზნით, არამედ რელიგიური მისტერიების დროს. ისინი თავის ქალის თხემზე ამოტეხდნენ ოვალური ფორმის ნახვრეტს. ჭრილობის შეხორცების შემდეგ, ტრეპანაციაგადატანილი ადამიანი, როგორც ჩანს, ქურუმი ხდებოდა. ასეთი ოპერაციების შესახებ მოწმობს ნამარხი თავის ქალები, რომლებზეც მკაფიოდ შეინიშნება ოვალური ნახვრეტები, ჯერ კიდევ სიცოცხლის დროს რომ არის შეხორცებული. არქეოლოგები პოულობენ ვულკანური მინისგან დამზადებულ ოვალური ფორმის საგნებს. ნაპოვნია, აგრეთვე, განსაკუთრებული ქირურგიული იარაღები და ადამიანების თავის ქალები, რომლებსაც აშკარად ეტყობათ ტრეპანაციის კვალი. ისინი ცხოვრობდნენ ძველ ეგვიპტეში, ამერიკის კონტინენტის ორივე ნაწილში და პლანეტის სხვა ადგილებში. სამედიცინო წიგნებში სიტყვა „ტრეპანაცია“ გაჩნდა გაცილებით გვიან — მხოლოდ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში.

როგორც ჩანს, უძველესი ადამიანები ჩინებულად იყვნენ ინფორმირებული მესამე თვალისა და ეპიფიზის შესახებ. მაინც, როგორ შეძლეს ადამიანებმა თანამედროვე იარაღებისა და ცოდნის გარეშე შეეღწიათ ასე ღრმად — ტვინის ცენტრში?

თანამედროვე სამეცნიერო მონაცემებზე დაფუძნებით (მოვიშველიოთ ცოტაოდენი ფანტაზიაც) შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ როგორ გამოიყურებოდნენ ჩვენი სავარაუდო წინაპრები, რომლებსაც თხემზე ჰქონდათ ასეთი საოცარი ორგანო. თუ ორი თვალი წინ იყურება, მესამე, ალბათ, ზემოთ უნდა იხედებოდეს. ვის უთვალთვალებდნენ ძველი ადამიანები ცაში, მტაცებელ პტეროდაქტილებს თუ მტრულ უცნობ მფრინავ ობიექტებს? მესამე თვალი, როგორც რადარი, აღიქვამდა კოსმოსური ნაწილაკების ნაკადს. თანაც, არც ის არის გამორიცხული, რომ მესამე თვალს შეეძლოს არაელექტრომაგნიტური ბუნების გამოსხივების დაჭერაც. ამ შემთხვევაში თხემის ორგანო ცოცხალი რადარიდან შეიძლება გარდაქმნილიყო იმქვეყნიურ სამყაროსთან კავშირის არხად.

სხვადასხვა ხალხის ლეგენდები ამტკიცებენ: ოდესღაც, უხსოვარ დროში, ცისა და დედამიწის ბინადარნი ადვილად ამყარებდნენ ერთმანეთთან ურთიერთობას. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მესამე თვალი მის პატრონს მარტო დაავადებათა დადგენაში, მომავლის წინასწარმეტყველებასა და დედამიწის სხვადასხვა უბნიდან თუ კოსმოსმიდან „ტელეპათემების“ მიღებაში არ ეხმარებოდა. უძველესი ადამიანები მესამე თვალით ჭვრეტდნენ იმქვეყნიურ სამყაროს და შეეძლოთ ხატოვანი აზროვნების მეშვეობით გასაუბრებოდნენ ცის ბინადრებს. როგორც ჩანს, იმ შორეულ დროს კოსმოსური კავშირი ნამდვილად კოსმოსური იყო, ადამიანის თავი კი თანამგზავრული ანტენის მსგავსად მუშაობდა. და ამქვეყნიდან წასვლაც არ იყო დიდი ტრაგედია, რადგან ადამიანები ბრუნდებოდნენ ზეცაში, რომელთანაც კონტაქტი მთელი სიცოცხლის მანძილზე ჰქონდათ.

მედიცინა ადამიანის ორგანიზმს დღემდე განიხილავს როგორც გარკვეული ორგანოების ნაკრებს. უახლესი გამოკვლევების წყალობით ნათელი ხდება, რომ ეპიფიზი ორგანიზმის მართვის ცენტრია. და ადამიანს თუ მართლაც აქვს სული, იგი სწორედ იქ, ეპიფიზშია ჩაბუდებული.

**ალექსანდრე ბელოვი,**
**„მოსკოვსკი კომსომოლეცი“,**
**2004 წლის 22 მარტი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 73, სამშაბათი, 30 მარტი, 2004 წელი.

სიახლე

# „პოლიციელი, მძღოლი, სამართალი“ საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანდა

**ამ დღეებში უკრაინის დედაქალაქ კიევიდან დაბრუნდა საქართველოს მძღოლთა უფლებების დაცვის არასამთავრობო ორგანიზაცია „პოლიციელი, მძღოლი, სამართალის“ პრეზიდენტი რობერტ იანტბელიძე, რომელმაც გვითხრა:**

– ჩვენი ორგანიზაცია, სომხეთის და აზერბაიჯანის მძღოლთა უფლებების დამცავ მონათესავე ორგანიზაციებთან ერთად, მუშაობს პროექტზე, რომლის მხარდაჭერაც ხორციელდება „ევრაზიის“ ფონდის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით. მისი მთავარი მიზანია სამხრეთ კავკასიის გზებზე მძღოლებისთვის იურიდიულ საკითხებში სრული მხარდაჭერა საგზაო პოლიციასთან რაიმე გაუგებრობის შემთხვევაში. არადა, მსგავსი გაუგებრობები ხშირად ხდება.

**– უკრაინაში ვინ მიგიწვიათ?**

– ამ პროექტის შესახებ ცნობილი გახდა ჩვენი უკრაინელი კოლეგებისთვის. გამოცდილების გასაზიარებლად ვეწვიეთ კიევს. უკრაინელმა მეგობრებმა მძღოლთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ფედერაციაში ასოცირებულ წევრად შესვლა შემოგვთავაზეს. ამით, არც მეტი, არც ნაკლები, საშუალება გვეძლევა, ჩვენი ორგანიზაციის წევრებს ვუშუამდგომლოთ და გავაწევრიანოთ მძღოლთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ფედერაციაში, მივცეთ მათ სპეციალური ბარათი, რომ ევროპის ტერიტორიაზე მანქანით მგზავრობისას უფასო იურიდიული მომსახურებით, სხვადასხვა ავტოგასამართ ობიექტებზე მნიშვნელოვანი ფასდაკლებით ისარგებლონ.

**– ეს, მართლაც, გამორჩეული, ჩვენი მძღოლებისთვის სასარგებლო სიახლეა.**

– გეთანხმებით. უკრაინელებმა შემოგვთავაზეს, აგრეთვე, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (IAA) მართვის უფლების გაცემის პრობლემის მოგვარებაც. საერთაშორისო მართვის მოწმობას მივიღებთ საზღვარგარეთიდან. ჩვენი დახმარებით, საქართველოს მოქალაქეებს, 15 დღეში შეეძლებათ მისი მიღება. ასეთი მართვის უფლების მქონე ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს უფლება ექნება ამა თუ იმ სახელმწიფოში არენდით გამოიყვანოს ავტომობილი. რაც მთავარია, მსგავსი მართვის მოწმობის გასაცემად არც გამოცდის ჩაბარება იქნება საჭირო და არც სხვა რაიმე შემოწმების პროცედურის გავლა. ეს იქნება ჩვენი ქართული მართვის მოწმობის თარგმანი. იგი გამოიწერება რვა ენაზე და იმოქმედებს მსოფლიოს 200-ზე მეტი ქვეყნის ტერიტორიაზე.



რობერტ იანტბელიძე.

საერთაშორისო მართვის უფლების სტანდარტი და კანონიერება დადგენილია ვენის საგზაო მოძრაობისა და უსაფრთხოების კონვენციის მიხედვით და 1968 წლის 19 სექტემბერს დამტკიცებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, რათა მოქალაქეებმა პოლიციის ბიუროკრატიულ აპარატთან პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, თავისუფლად შეძლონ მანქანით მსოფლიოს ქვეყნებში მოძრაობა. იგი შევსებული იქნება ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, რუსულ, არაბულ, ჩინურ, გერმანულ და იაპონურ ენებზე.

სიახლეს ვნერგავთ, აგრეთვე, ჩვენი ორგანიზაციის წევრებისთვის თბილისში: ყველას შეეძლება მნიშვნელოვანი ფასდაკლებით ისარგებლოს (წიგნაკის წარდგენის შემთხვევაში) ერთ სადაზღვევო კომპანიაში, ჩვენთვის გამოყოფილ სპეციალურ ავტოპროფილაქტიკაში, ბენზინგასამართ სადგურებში, თვით რესტორანსა და სილამაზის სალონშიც კი.

**– გამოდის, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „პოლიციელი, მძღოლი, სამართალი“ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საზღვარს გასცდა და მალე მსოფლიოს გზებსა და მაგისტრალებზე ქართველ მძღოლთა უფლებების დამცველად მოგვევლინება.**

– დიახ, ასეა. ამისთვის საჭიროა მხოლოდ ჩვენს ორგანიზაციაში გაწევრიანება და იმ სიახლეებისთვის მხარდაჭერა, რაც ბოლო ხანს ხდება საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციაში.

ესაუბრა
**სპარტაკ ქოზულია.**

გამოხმაურება თემაში

## რაც ადრე, მით უკეთესი

**გულდასმით გავეცანით ახლახან თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილს, – „ვასწავლოთ ბავშვებს საგზაო მოძრაობის წესები“, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაცია „პოლიციელი, მძღოლი, სამართალი“ დროულად და კანონიერად მოითხოვს აღნიშნული საგნის სკოლაში სწავლებას.**

**ჩვენი სკოლის პედაგოგთა სახელით, მხარს ვუჭერთ და მივესალმებით მის შემოღებას. რაც უფრო დროულად ვასწავლით მოზარდებს მოძრაობის წესებს, მით უფრო მეტ ხიფათს ავიცილებთ თავიდან.**

**ჯ. სულაძე,**
თბილისის 152-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

წიგნი

# მონოგრაფია — მრავალასპექტიანი სამეცნიერო გამოკვლევა




**ქართული საზოგადოებრიობის სამსჯავროზე წარსდგა სამეცნიერო მონოგრაფია „საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები“, რომლის ავტორია პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე დემურ გიორხელიძე.**

მონოგრაფია ეძღვნება საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის აქტიურ პრობლემებს. არსებული ვითარების ანალიზის საფუძველზე განხილულია ქართული ეკონომიკური მეცნიერებისათვის ნაკლებად შესწავლილი ისეთი საკითხები, როგორიცაა ეკონომიკის ინსტიტუციური პრობლემები, ინფორმაციული ეკონომიკის ძირითადი ტენდენციები და ეროვნული ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების ტრაექტორიაზე გასვლის აუცილებლობა პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლის გზით. დეტალურადაა განხილული ეკონომიკური ანალიზისათვის ისეთი უმთავრესი მაჩვენებლები, როგორიცაა პროდუქტიულობა, დასაქმების სფეროში არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები, სახელმწიფო ბიუჯეტისა და რეგიონების ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები.

ამ მრავალასპექტიანი გამოკვლევის სამეცნიერო რედაქტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი იაკობ მესხია წერს, რომ დემურ გიორხელიძემ მეცნიერული თეორიისა და პრაქტიკის შერწყმით საქართველოს ეკონომიკური განვითარების ისეთი ტრაექტორიების მოხაზვა შეძლო, რომელთა გათვალისწინება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში ეროვნულ ეკონომიკას ახალ პარადიგმებზე გაიყვანს.

წიგნი დაწერილია თანამედროვე კატეგორიებისა და კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით, რაც მკითხველისგან მოითხოვს გარკვეულ საწყის ეკონომიკურ ცოდნასა და ინტელექტის მობილიზებას, დაეხმარება სტუდენტებსა და ასპირანტებს, დააინტერესებს სამეცნიერო ეკონომიკურ საზოგადოებას, სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლებსა და საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკით დაინტერესებულ მკითხველს.

**ნანა ამაშუკელი,**
საქინფორმის კორ.


განცხადება

2004 წლის 20 აპრილს, დღის 2 საათზე, ქ. თბილისში ქინძმარაულის ქ. №15-ში მოწვეულია სს „მშენებელი-21“-ის აქციონერთა მორიგი საერთო კრება.

აქციონერთა საერთო კრების სააღრიცხვო თარიღად, დადგენილია 2004 წლის 29 მარტი.

**დღის წესრიგი:**

**1. 2003 წლის გაწეული მუშაობის შედეგები და 2004 წ. გეგმები;**
**2. აუდიტორის არჩევა;**
**3. წესდებაში ცვლილებების შეტანა;**
**4. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები.**

აქციონერებს, კრებაში თავიანთი მონაწილეობის უფლება, შეუძლიათ შეამოწმონ სს „მშენებელი-21“-ის აქციათა რეესტრის მწარმოებელთან – შპს „კაპიტელ-რეგისტრთან“ კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. №80, ტ. 23-03-84.

**სს „მშენებელი-21“-ის დირექცია.**


## სამშაბათი 30 მარტი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" 10.10 მხ. ფილმი "მოცეკვავე მანქანა" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.15 მხ. ფილმი "საღამოს ტანსაცმელი აუცილებელია" 16.50 არათბილისური ამბები 17.20 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 17.30 საქართველო და გარესამყარო 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 და არს მუსიკა 19.25 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი "სოლედადი" 22.10 დოკ. ფილმი 23.30 მხ. ფილმი "ლურჯი ფრინველი"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტსერიალი "შავი მეკობრე" 19.35 კინოსეანსი "ფორსაიტების საგა" 3-4 ს. 20.50 მითიური მხედრები 21.35 ისტორიანი 22.10 მხ. ფილმი "ლეგენდა ბაგირა ვანსზე"

07.00 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუტები" 09.40 სერიალი "შურისძიება" 11.00 სერიალი "ჯაშუში" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 "ტელელიპუტები" 18.20 არჩევნები-2004 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "შურისძიება" 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 22.50 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი "კალასი სამუდამოდ". მთ. რ-ში: ფანი არდანი, ჯერემი აირონსი.

08.00 ანონსი 08.05 დიალოგი 12.00 მხ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.30 მიუზიკჰოლი 15.15 მხ. ფილმი 17.20 ჯაზის საღამოები (განმ.) 17.30 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 14.35, 16.50, 02.55 იმედის მელოდიები 08.00 "იმედის" დილა 10.05 სერიალი "ტყუპები" 11.05 სპ. პროგრამა "გოლი" 11.30 "არტ-ბულვარი" 12.10 სერიალი "კლონი" 13.25 "ნბა"-ს ჟურნალი 14.05 სერიალი "შტოკინგერი" 1-ლი ს. 15.00, 16.00, 17.00 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი "შეკვეთილი მკვლელობა" 17.25 ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 02.40 ქრონიკა 18.05 სერიალი "ტყუპები" 19.35 სერიალი "კლონი" 20.30 ქართ. სერიალი "თენდება გვიან" 21.30 ლარის მახე 23.00 ერთხელ ჰოლივუდში 23.30 მხ. ფილმი "მკვლელი ჩვენს შორისაა" (ჟ. გაი) 01.45 სპ. პროგრამა "გოლი სერია A"

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი "ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "რედვოლი" 19.00 სერიალი "ველური მთვარე" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 21.00 მხ. ფილმი "სამი ფერი თეთრი" (ზბიგნევ ზამოხოვიჩი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი "რომეო და ჯულიეტა" (ლეონარდო დი კაპრიო)

12.00 მხ. ფილმი "სიმართლე კატებსა და ძაღლებზე" 13.30 "საქმე და ეკონომიკა" 14.30 მხ. ფილმი "ფორესტ გამპი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "მიზერი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "იმპერია" 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 ფილმი "ცეცხლის ქალა". მთ.რ-ში კრისტიან ბეილი, მეთიუ მაკკონახი. 17.00, 19.15, 22.35 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 "ბრავო" "ვენდეტა" მთ. რ-ში კრისტოფერ უოკენი, ხოაკინ დე ალმეიდა. 03.00 პაუზის გარეშე

08.00 პროგრამა "დილა" 09.30 დღის ამბები 09.45 პროგრამა "დილა" 10.15, 17.50 მუსიკა 10.30 სერიალი "მოჯადოება" 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45 დღის ამბები 11.50 ღამის მატარებელი 14.00 მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" 14.50 დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" 15.10 მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" 15.35 სერიალი "ზურგის ქარი" 16.35 დოკ. ფილმი "კუდიანი ამბები" მე-10ს. 17.00 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 18.00 მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" 18.30 მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" 19.00 სერიალი "ზურგის ქარი" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 22.00 სერიალი "მოჯადოება" 23.00 "ცხელი ცხრიანი" 23.50 სერიალი "ალმასები" მე-3ს. 01.00 მხ. ფილმი "მაკულატურა" (ჯონ ტრავოლტა).

## ოთხშაბათი 31 მარტი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" 10.10 მხ. ფილმი "ლურჯი ფრინველი" 11.15 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ქართული ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. სერიალი "საგნების ისტორია" 14.40 თქვენი უფლებები 15.15 მხ. ფილმი "შურისმაძიებლები-თამაში ორისათვის" 16.45 მღერის ეთერ კაკულია 17.20 საქართველო, დრო, მოვლენები 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 ენერგია 19.25 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი "სოლედადი" 22.15 მათი შვილები 23.30 მხ. ფილმი "ოსტატის შეხება"

19.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტსერიალი "შავი მეკობრე" 19.35 კინოსეანსი "ფორსაიტების საგა" 5-6 ს. 20.55 და არს მუსიკა 21.20 ჩვენი მისამართია 22.10 მხ. ფილმი "გამოაღეთ ფანჯრები"

07.00 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუტები" 09.40 სერიალი "შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.30 "ტელელიპუტები" 18.20 არჩევნები-2004 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "შურისძიება" 22.00 სერიალი "სოპრანოს კლანი" 22.50 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი "დოგვილი". მთ. რ-ში: ნიკოლ კიდმანი, სტელან სკარსგაარდი.

08.00 ანონსი 08.05 დიალოგი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სილუეტი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.30 ბალეტი 15.15 მხ. ფილმი 18.00 დოკ. ფილმი 19.45 გადაცემა - მურადა 20.00 მხ. ფილმი 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 17.20, 01.20 იმედის მელოდიები 08.00 "იმედის" დილა 10.05 სერიალი "ტყუპები" 11.05 სპ. პროგრამა "გოლი სერია A" 12.10 სერიალი "კლონი" 13.30 ლარის მახე 14.05 სერიალი "შტოკინგერი" 15.15 მხ. ფილმი "მკვლელი ჩვენს შორისაა" 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" 18.05 სერიალი "ტყუპები" 19.35 სერიალი "კლონი" 20.30 ქართ. სერიალი "თენდება გვიან" 21.30 "პირველი ნახევარი" 23.00 არტ-ბულვარი 23.30 მხ. ფილმი "შიშველი მახა" (ა. სანჩერი)

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი "ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "რედვოლი" 19.00 სერიალი "ველური მთვარე" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 21.00 მხ. ფილმი "სამი ფერი წითელი" (ირენ ჟაკობი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი "მულენ რუჟი" (ნიკოლ კიდმანი)

12.00 მხ. ფილმი "იმპერია" 13.30 მხ. ფილმი "სახიფათო ჩაძირვა" 15.00 მხ. ფილმი "იურული პერიოდის პარკი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "პაროლი ხმალთევზა" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "შთამომავლობა" 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 ფილმი "ოთხი ოთახი". მთ.რ-ში ტიმ როტი, ანტონიო ბანდერასი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 ქართ. მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 "ბრავო" "მისი თამაში" მთ.რ-ში დენზელ ვაშინგტონი, მილა იოვოვიჩი. 03.00 პაუზის გარეშე

08.00 პროგრამა "დილა" 09.30 დღის ამბები 09.45 პროგრამა "დილა" 10.15, 13.30, 17.50, 19.35, 20.20 მუსიკა 10.30 სერიალი "მოჯადოება" 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45 დღის ამბები 11.50 მხ. ფილმი "ყოვლისშემძლე ბრიუსი" 13.15 ცხელი ცხრიანი 14.00 მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" 14.50 ევროპის სტადიონებზე 15.10 მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" 15.35 სერიალი "ზურგის ქარი" 16.35 დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" 17.00 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 18.00 მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" 18.30 მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" 19.00 სერიალი "ზურგის ქარი" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 22.00 სერიალი "მოჯადოება" 23.00 ქართ. ფილმი "ფესვები" 01.00 მხ. ფილმი "შიშველი იარაღი".

## ხუთშაბათი 1 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მხ. ფილმი "ოსტატის შეხება" 11.45 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. ფილმი "წყვილები და დუეტები" 15.15 მხ. ფილმი "ძაღლი კეგლის თამაშისას" 16.30 დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 16.40 მუს. ფილმი "გიგი" 17.50 რამპა 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 ჯანმრთელობა 19.25 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი "სოლედადი" 22.10 დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" 23.30 მხ. ფილმი "რბოლები "ქვემეხის ბირთვი"

19.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტსერიალი "შავი მეკობრე" 19.35 კინოსეანსი "ფორსაიტების საგა" 7-8 ს. 20.50 დოკ. ფილმი "ავსტრალიური ზვიგენები" 22.10 მხ. ფილმი "რემბო-პირველი სისხლი"

07.00 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუტები" 09.40 სერიალი "შურისძიება" 11.00 სერიალი "სოპრანოს კლანი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.30 "ტელელიპუტები" 18.20 არჩევნები-2004 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "შურისძიება" 22.00 სერიალი "სოპრანოს კლანი" 22.50 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი "საბავშვო ექსპრესი". მთ. რ-ში: ნიკ მორანი, სამანტა ჯენესი.

08.00 ანონსი, დიალოგი 10.30 მხ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 15.15 მხ. ფილმი 18.00 ტელე-სინე ვიდეო 20.00 მხ. ფილმი 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ. ფილმი

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 16.50, 17.20, 01.40 იმედის მელოდიები 08.00 "იმედის" დილა 10.10 სერიალი "ტყუპები" 11.05 X -კლუზივი 12.10 სერიალი "კლონი" 13.30 "პირველი ნახევარი" 14.05 სერიალი "შტოკინგერი" 15.15 მხ. ფილმი "პეწი" (ი. დანკუნაიტე) 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.20 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" 18.05 სერიალი "ტყუპები" 19.30 სერიალი "კლონი" 20.30 ქართ. სერიალი "თენდება გვიან" 21.30 "ვაკაჭი-ნიუსი" 23.00 ესტაფეტა 23.30 მხ. ფილმი "ინკოგნიტო" (ჯ. პატრიკი)

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი "ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "რედვოლი" 19.00 სერიალი "ველური მთვარე" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 21.00 მხ. ფილმი "უბრალოდ კოცნა" (ტაი დისი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი "მოქალაქე კეინი" (ორსონ უელსი)

12.00 მხ. ფილმი "შთამომავლობა" 13.30 მხ. ფილმი "სერიოზული საქმე" 15.00 მხ. ფილმი "იურული პერიოდის პარკი 2" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "ჩიხში" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "ლტოლვილი მატარებელი" 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 ფილმი "ჩემი ბოსის ქალიშვილი". მთ.რ-ში ეშტონ კატჩერი, ტარა რიდი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 "ბრავო" "მოთხოვნა". მთ. რ-ში უეს ბენტლი, მილა იოვოვიჩი. 03.00 პაუზის გარეშე

08.00 პროგრამა "დილა" 09.30 დღის ამბები 09.45 პროგრამა "დილა" 10.15, 17.50 მუსიკა 10.30 სერიალი "მოჯადოება" 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45 დღის ამბები 11.50 მხ. ფილმი "შიშველი იარაღი" 14.00 მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" 14.50 "ევროპის სტადიონებზე" 15.10 მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" 15.35 სერიალი "ზურგის ქარი" 16.35 დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" 17.00 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 18.00 მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" 18.30 მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" 19.00 სერიალი "ზურგის ქარი" 20.00 "ქართული ფეხბურთი" 22.00 სერიალი "მოჯადოება" 23.00 ღამის მატარებელი 01.00 რუს. ფილმი "ბრილიანტის ხელი".

## პარასკევი 2 აპრილი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" 10.10 მხ. ფილმი "რბოლები "ქვემეხის ბირთვი" 11.40 დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 მხოლოდ კლასიკა 15.15 მხ. ფილმი "შერეკილები არდადეგებზე" 16.45 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 17.20 საქართველო, დრო, მოვლენები 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 "ისტორიანი" 19.25 "იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი "სოლედადი" 22.15 მრავალსახეობა 23.30 მხ. ფილმი "იასამნისფერი ტაქსი"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტსერიალი "შავი მეკობრე" 19.35 კინოსეანსი "ფორსაიტების საგა" 9-10 ს. 21.05 ენერგია 21.30 აფხაზეთის ტვ. 22.10 მხ. ფილმი "ნაპოვნი დრო" 1-ლი ნ.

07.00 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუტები" 09.40 სერიალი "შურისძიება" 11.00 სერიალი "სოპრანოს კლანი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 "ტელელიპუტები" 18.20 არჩევნები-2004 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "შურისძიება" 22.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 22.50 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი "ვარსკვლავთა კარიბჭე". მთ. რ-ში: კურტ რასელი, ჯეიმს სპეიდერი. 02.00 მხ. ფილმი "ვინ დაა-წუნარა ჩემი ცოლი". რეჟ: უგო ტონიაცი.

08.00 ანონსი, დიალოგი 10.30 მხ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 15.15 მხ. ფილმი 20.00 მიუზიკჰოლი 21.00 დოკ. ფილმი 22.15, 23.00 დიალოგი 00.00 მხ. ფილმი 02.00 ახალი ამბები

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 17.20, 17.55, 02.25 იმედის მელოდიები 07.45 "იმედის" დილა 10.10 სერიალი "ტყუპები" 11.05 სპ. პროგრამა "ასი" 11.35 ერთხელ ჰოლივუდში 12.10 სერიალი "კლონი" 13.30 საქმე N 14.05 სერიალი "შტოკინგერი" 15.10 მხ. ფილმი "ინკოგნიტო" 17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 02.05 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" 18.05 სერიალი "ტყუპები" 19.30 სერიალი "კლონი" 20.30 მხ. ფილმი "ფირი" (ტ. რობინსი) 23.00 X - კლუზივი 23.55 მხ. ფილმი "მოპარული გულები" (ს. ბალოკი) 01.35 "ნბა"-ს ჟურნალი

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი "ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "რედვოლი" 19.00 სერიალი "ველური მთვარე" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 21.00 მხ. ფილმი "მძღოლი ფრანკო ბერლანდი" (მატ შულცე) 22.45 არჩევანის ზღვარზე 00.00 ჩვენები დიდ ფეხბურთში 00.30 მხ. ფილმი "გრაფი მონტე კრისტო" (ჯეიმს კევაიზელი)

12.00 მხ. ფილმი "ლტოლვილი მატარებელი" 14.00 მხ. ფილმი "ჯერი მაგუაიერი" 17.000, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "განგსტერული ომები" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "წამომწყები" 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 14.10 მუსიკა 15.20 ფილმი "თოვლის დედოფალი". მთ.რ-ში ბრიჯიტ ფონდა, ჩელჩი ხობსი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.15 სოლო 02.00 "ბრავო" "ფრიდა" მთ.რ-ში სელმა ჰაიეკი, ალფრედ მოლინა. 03.45 პაუზის გარეშე

08.00 პროგრამა "დილა" 09.30 დღის ამბები 09.45 პროგრამა "დილა" 10.15, 17.50, 18.55 მუსიკა 10.30 სერიალი "მოჯადოება" 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45 დღის ამბები 11.50 ღამის მატარებელი 14.05 მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" 14.50 "ქართული ფეხბურთი" 15.10 მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" 15.35 სერიალი "ზურგის ქარი" 16.35 დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" 17.00 მხ. სერიალი "ჰორასი და თინა" 18.00 მულტსერიალი "ბანანების ზოოპარკი" 18.30 მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" 19.00 სერიალი "ზურგის ქარი" 20.00 "ბელისიმო" 22.00 სერიალი "მოჯადოება" 23.00 ცხელი ცხრიანი 23.50 სერიალი "ალმასები" მე-4 ს. 01.00 მხ. ფილმი "არიზონა სიზმარი" (ჯონი დეპი).


განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად საქართველოს პრეზიდენტის გამგებლობაში მყოფი სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტას“ მიერ წარმოდგენილი I კატეგორიის საქმიანობაზე:

„მიწა-ჰაერი“ მართვადი რაკეტების დემილიტარიზება საქართველოში“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

საპროექტო დოკუმენტაციების გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა. წ. 13 მაისს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრესცენტრში თბილისი, კოსტავას №68ა VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში თბილისი, ფალიაშვილის №87 ტ. 25-02-19.

საჯარო განხილვა შედგება 2004 წლის 13 მაისს 12 საათზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

**გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.**



განცხადება

2004 წლის 14 აპრილს 13 საათზე ტარდება სს „ჭიათურმანგანუმის“ კრედიტორთა საერთო კრება, ჭიათურის რაიონული სასამართლოს შენობაში, მისამართზე: ქ. ჭიათურა, გ. თხელიძის ქ. №41.

**დღის წესრიგი**

**1. სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის“ რეაბილიტაციის მმართველის არჩევა.**

დღის წესრიგთან დაკავშირებით სს „ჭიათურმანგანუმის“ კრედიტორებს შეუძლიათ წარადგინონ თავისი წინადადებები 2004 წლის 10 აპრილამდე.

რეგისტრაციასთან დაკავშირებით სავალდებულოა ყველა კრედიტორს ჰქონდეს საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, წარმომადგენლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა.

**ჭიათურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ტ. ტაბატაძე.**


**საქმე № 2ა-64-2004** **25 მარტი 2004 წელი** **ქ. რუსთავი**

# რუსთავის საქალაქო სასამართლო განჩინება

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე სოსო მუმლაძემ, ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე, განვიხილე სს „აზოტის“ რეაბილიტაციის მმართველის ა. შჩეგოლევის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1 მოადგილე ზ. სოსელიას განცხადებები სს „აზოტის“ კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრების გადადების შესახებ.

**დაადგინე:**

1. დაკმაყოფილდეს სს „აზოტის“ რეაბილიტაციის მმართველის ა. შჩეგოლევისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1 მოადგილის ზ. სოსელიას განცხადებები სს „აზოტის“ კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრების გადადების შესახებ;

2. სს „აზოტის“ კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრება ჩატარდეს 2004 წლის 20 აპრილს 11 საათზე. სხდომა ჩატარდება სს „აზოტის“ სააქტო დარბაზში შემდეგ მისამართზე: ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. №2, პირველი სართული;

3. აღნიშნული განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, აგრეთვე რუსთავის სასამართლოს საინფორმაციო დაფაზე;

4. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

**მოსამართლე ხელმოწერილია** **ს. მუმლაძე.**
**ასლი დედანთან სწორია**
**კანც. გამგის მოვალეობის შემსრულებელი** **ნ. კაპანაძე.**


**სააქციო საზოგადოება „სასტუმრო უზბას“ აქციონერთა საყურადღებოდ!**

სს **„სასტუმრო უზბას“** სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საზოგადოების აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2004 წლის 19 აპრილს ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი №4-ში 17 საათზე შემდეგი დღის წესრიგით:

**1. წლიური ანგარიშის დამტკიცება;**
**2. აუდიტის არჩევა;**
**3. წესდებაში ცვლილებების შეტანა საწესდებო კაპიტალის შემცირების გამო;**
**4. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებები;**
**5. სხვადასხვა.**

კრების სააღრიცხვო დღედ დანიშნულია 2004 წლის 9 მარტს.



სააქციო საზოგადოება **„აკ. პეტრე შოთაძის სახ. თერჯოლის საავადმყოფოს“** აქციონერთა კრება ჩატარდება 2004 წლის 16 აპრილს, 12 საათზე, სს „აკ. პეტრე შოთაძის სახ. თერჯოლის საავადმყოფოს“ შენობაში.

**დღის წესრიგი:**

**1. სს „აკ. პეტრე შოთაძის სახ. თერჯოლის საავადმყოფოს“ ინფექციური განყოფილების ყოფილი შენობის საწესდებო კაპიტალიდან ამოღება.**

**სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ლ. კვატაია.**


გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

კალათბურთი

# ხარობს სიკეთის ნერგი



**ალბათ, ცოტა თუ მოიძებნება ჩვენში ადამიანი ასე გახარებული ბადრი პატარკაციშვილი რომ ენახოს. არადა, განთქმულ მეცენატს საამისო საბაბი გასულ შაბათს ნამდვილად ჰქონდა – მისი ძალისხმევით ფეხზე წამოყენებულმა თბილისის „დინამომ“ ეროვნული თასის II გათამაშების ფინალში დრამატული ბრძოლა მოუგო უხერხულ მეტოქეს – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს – 75-72 და დრაჟენ ბრაიკოვიჩის თავკაცობით მოპოვებულ ქვეყნის ჩემპიონობას კიდევ ერთი ტიტული მიუმატა.**

აღსანიშნავია, რომ ამ სეზონში გამართული ექვსი შეხვედრიდან თითოეულმა სამ-სამში ივაჟკაცა. ისიც გემახსოვრებათ, რომ დუდუ დადიანის მემორიალში პოლიტექნიკოსებმა იმარჯვეს, ასე რომ, ვერის ბაღში ერთგვარი რევანში შედგა.

თვალსასეირო სანახაობიდან გასული რამდენიმე დღის შემდეგ მის პერიპეტიებზე საუბარი ზედმეტად მიგვაჩნია – მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ გულშემატკივარმა სწორედ ისეთი მატჩი იხილა, სათასო ბატალიებს რომ შეეფერება, სადაც საუკეთესო მოთამაშის პრიზი ირაკლი ხოშტარიას („დინამო“) გადაეცა. იგი მართლაც ღირსეულად გამოიყურებოდა და არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ სპეციალური ჟიურის გადაწყვეტილების საფუძვლიანობაში, მაგრამ არც იმას დავმალავთ, რომ, არანაკლებ ლოგიკური იქნებოდა, ეს ჯილდო ვაკო ბექანიშვილს ან ირაკლი კეიდიას რომ რგებოდათ.

შაბათსვე გამოვლინდა აღდგენილი ქალთა ეროვნული თასის გათამაშების პირველი გამარჯვებული – ესაა ქუთაისის გუნდი, რომელმაც სოლიდური უპირატესობით სძლია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს – 81:56. ამ წარმატებაში ლომის წილი უბერებელმა სნაიპერმა ლიკა ქაჯაიამ შეიტანა, რომელიც, მოგეხსენებათ, ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს მსაჯობს. სხვათა შორის, მასპინძელთაგან იგივე როლს მაკა კუპატაძე ასრულებს, რომელსაც ამჯერად შორეული ტყორცნები არ წაუვიდა.





**სურათებზე: ქველმოქმედის სიხარული; უტევენ ფინალის საუკეთესო მოთამაშეები – ირაკლი ხოშტარია და ლიკა ქაჯაია; ეროვნული თასის მფლობელები – თბილისის „დინამო“ და ქუთაისის გუნდი.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**





ათენში იასპარეზებენ

**ის, რაც 2000 წელს მოხდა „მწვანე კონტინენტზე“, ფილას არბიტრებს დიდხანს ეყოფათ სირცხვილად, თუმცა, ამას ჩვენ გულის მოსაფხანად ვამბობთ, თორემ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მესვეურებსა და მსაჯებს სრულებითაც არ ადარდებთ, რამდენ გულმოკლულ ქართველ ფალავანს გაისტუმრებენ ხალიჩიდან. არადა, სიდნეიში ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე არბიტრებმაც დადეს პატიოსნების ფიცი, მაგრამ საზეიმო აღთქმა დარბაზში მისვლამდე გადაავიწყდათ – ყველაზე მეტად ქართველი „კლასიკოსები“ დააზარალეს.**



# მისი ბოლო შანსი

უსამართლობის სუსხი პირველად აკაკი ჩაჩუამ იწვნია. სამტრედიელმა ფალავანმა ჯერ ჩინელ იუ შანჯუს (11:0) გაუსწორა ანგარიში, მერე, სომეხ ვაჰანიკ გალუსტიანს სძლია (6:5), მეოთხედფინალში – უზბეკ ბაჰოდირ ყურბანოვს მოუგო 6:3 და ნახევარფინალში გავიდა. აქ მისი მეტოქე გახლდათ რუსეთის სპორტული ღირსების დამცველი სომეხი ვარტერეს სამურგაშევი, ყოფილი მოჭიდავისა და უმდიდრესი როსტოველი ბიზნესმენის – რაფიკ სამურგაშევის ძმა.

რუსეთელ მოჭიდავეს სხვაც ბევრი ჰყავდა თანამდგომი, კერძოდ, ჩრდილოელი მეზობლების ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელი, ნავთობისა და გაზის მილსადენების მაგნატი ისაევი და რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ მამიაშვილი, რომელსაც უდიდესი ზეგავლენა აქვს ჭიდაობის სამყაროზე.

– რუმინელმა მსაჯმა კონსტანტინ ბისოლმა, რომელიც უნამუსობით არის ცნობილი, გასაქანი არ მომცა ხალიჩაზე, – გაიხსენა სამი წლისწინანდელი ამბავი აკაკი ჩაჩუამ. დაწინაურების შემდეგ სამურგაშევი ჭიდაობას გაურბოდა. წესისამებრ, ის ჩოქბჯენში უნდა ჩაეყენებინათ, მაგრამ რუმინელმა კარგად იცოდა, რომ სამურგაშევს რამდენჯერაც შევხვდი, ჩოქბჯენიდან ყოველთვის 5-5 ქულა ავართვი. სიდნეიში ამის საშუალება არ მომცეს – რუსეთელი „პარტერს“ არც გააკარეს. ამ შეხვედრის შემდეგ ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარ მწვრთნელს გენადი საპუნოვს ჩვენებისთვის უთქვამს, მიკერძოებული მსაჯობა რომ არ ყოფილიყო, ჩაჩუა 6:3-ს მოიგებდაო.

აკაკის ის ორთაბრძოლა დაათმობინეს – 4:7. მესამე ადგილისთვის პაექრობაში ქართველმა ფალავანმა შვეიცარიელი ბეტ მოზერი დაამარცხა და ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა სამშობლოში.

აკაკი ჩაჩუა დაიბადა 1969 წლის 16 სექტემბერს სამტრედიაში. ჭიდაობა 1980 წელს დაიწყო რეზო გვინცაძის ხელმძღვანელობით. ერთხანს ვლადიმერ აღეიშვილთანაც მეცადინეობდა. 1986 წლიდან ოთარ ტატიშვილი ავარჯიშებს. საქართველოს ექვსგზის ჩემპიონია. ჭაბუკებში ორჯერ გახდა საკავშირო პირველობის პრიზიორი (1987-II, 1988 – III), 1989 წელს სსრ კავშირის ახალგაზრდული თამაშები მოიგო. მომდევნო წელს პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე დაიმსახურა ოქროს მედალი. 1993 წელს ივან პოდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. 1997 წელს ნორვეგიისა და ფინეთის საერთაშორისო ტურნირებში ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ევროპის ჩემპიონატზე მესამე იყო, 1999 წელს კი მეორე ადგილზე გავიდა. 2000 წელს სიდნეის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი ხვდა. შარშან საფრანგეთში მსოფლიო ჩემპიონატზე V ადგილი დაიკავა და ათენის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი – 6 წლის დათო და 4 წლის ნიკა.

**– სიდნეის ოლიმპიადის გარდა, კიდევ რომელი ტურნირი დაგრჩა მწარე მოგონებად?** – ვკითხე 35 წლის ფალავანს.

– იძულებითი „შესვენების“ შემდეგ 1999 წელს განვაახლე ვარჯიში, მაგრამ ბოლო საწვრთნელ შეკრებაზე ნეკნი დავიზიანე. ტრავმირებული მაინც გავემგზავრე ბულგარეთში ევროპის ჩემპიონატზე. ამის მიუხედავად, ზედიზედ ოთხი ორთაბრძოლა მოვიგე. ფინალში ატლანტის ოლიმპიადის გამარჯვებულთან, ხუთგზის ევროპის ჩემპიონ და მსოფლიოს მრავალგზის პრიზიორთან, პოლონელ ვლადიმირ ზავადსკისთან პაექრობისას 4:0 დავწინაურდი. თითქოს ჩემპიონობა ხელის გაწვდენაზე იყო, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე გამოცდილმა მეტოქემ ჩემსავე ილეთზე დამიჭირა. დამატრიალა და 5:4 მომიგო. შარშან იმავე ზავადსკის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში 6:0-ს ვუგებდი. მეორე რაუნდში როგორ „დავუთმე“ 7 ქულა, დღესაც არ ვიცი.

**– ცხადია, სასიამოვნო მოსაგონარიც ბევრი გექნება!**

– მართალია, სიდნეიში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე არ ამიშვეს, მაგრამ არც მესამე ადგილი იყო ურიგო. „ბრინჯაოსთვის“ რომ ვჭიდაობდი, მსაჯებზე გაბრაზებულმა შვეიცარიელ მოზერზე ვიყავრე ჯავრი – წუთნახევარში სუფთად დავამარცხე.

1989 წელს საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ფინალში მარტინოვთან 2:9 ვაგებდი. ბოლო 25 წამში 9 ქულა „ავართვი“ და 11:9 გავიმარჯვე. ძლიერი მოჭიდავე იყო მარტინოვი. მერე, მგონი, ხუთჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

**– სამომავლოდ რას აპირებ?**

– ჩემს მწვრთნელებთან – ოთარ ტატიშვილთან და ბეგი დარჩიასთან ერთად საგულდაგულოდ მოვემზადები ათენის თამაშებისთვის. ეს ხომ ჩემთვის ბოლო შანსი იქნება ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად.

**– 25 წელიწადია, ჭიდაობ, არ დაიღალე?**

– მეოთხედი საუკუნე, მართლაც, ხალიჩაზე გავატარე, რაც საკმაოდ დიდი დროა. ისე შევეჩვიე, რომ გაფიქრებაც მაშინებს, როგორ უნდა შეველიო ჩემს საყვარელ საქმეს?! არც ვიცი, სხვაგან რა უნდა ვაკეთო. არადა, ათენის შემდეგ აქტიური სპორტისთვის თავის დანებება მომიწევს. არ მსურს უმედლოდ წავიდე. ამჯერადაც არბიტრებმა თუ არ დამჩაგრეს, შეიძლება, ოცნებაც ავისრულო. შარშან საფრანგეთში მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში ბულგარეთის სახელით მოასპარეზე არმენ ნაზარიანს შევხვდი. მსაჯებმა I რაუნდში სამჯერ თუ ოთხჯერ ჩამაყენეს ჩოქბჯენში, მეტოქე კი ერთხელაც არ გაუფრთხილებიათ, არადა, არმენს, ხუთი ქულა რომ ამართვა, მერე აღარც უჭიდავია. ამის მიუხედავად, მეორე რაუნდში მოგვერდითა და ტრიალით ანგარიში გავათანაბრე. ბოლო წამებზე ქულა მაინც დავკარგე და სანუგეშოდ მხოლოდ ათენის ლიცენზია მერგო. ელადაში ვეცდები, მსგავსი შეცდომები არ გავიმეორო.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**

**სურათზე: აკაკი ჩაჩუას მორიგი გამარჯვება.**

თაობა

# სკოლაში თასით დაბრუნდნენ

**„ქარიშხალას“ სპორტკომპლექსში ბავშვთა 8 გუნდმა გაითამაშა ეროვნული თასი ფუტზალში (დარბაზბურთი).**

ფინალში 35-ე სკოლამ (მწვრთნელი – **ვახტანგ ბაქანიძე**) ფუტზალის ასოციაციის ნაკრებს (პეტრე თაბუკაშვილი) სძლია და I ადგილი დაიკავა.

ასპარეზობის საუკეთესო მოთამაშედ გამარჯვებულთა წარმომადგენელი დათო მღებრიშვილი მიიჩნიეს, საუკეთესო მეკარედ კი – მისი პარტნიორი დათო ნადირაშვილი. ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა ლაშა მაჩიტაძემ (ასოციაციის ნაკრები) მეტოქეთა კარში 11 გოლი გაიტანა.

**სურათზე: ეროვნული თასის მფლობელი – 35-ე სკოლის გუნდი: სხედან (მარცხნიდან) ბექა ბარნოვი, დათო მღებრიშვილი, ჯაბა ოქიტაშვილი, ზაზა გურული; დგანან – მწვრთნელი ვახტანგ ბაქანიძე, ბაჩო ქუთათელაძე, დათო ნადირაშვილი, დათო ოქიტაშვილი, გიორგი ძებისაშვილი.**

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

რაგბი

# მესამე ადგილიც სათუოა

**გასულ უქმეებზე მორაგბეთა რამდენიმე საინტერესო შეჯიბრება გაიმართა. ჩვენთვის, ცხადია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს და რუმინეთის ეროვნული გუნდების შეხვედრა ბუქარესტში. ბორჯღალოსნები, მოგების შემთხვევაში, სამეულში იმკვიდრებდნენ ადგილს და, რაც მთავარია, ბოლოს და ბოლოს ასე ნანატრ ანთიმოზ ივერიელის თასსაც დაეუფლებოდნენ.** საქართველოს მორაგბეები ახლოს იყვნენ მიზანთან. მართალია, მე-15 წუთისთვის მასპინძლები 6:0-ს იგებდნენ შეხვედრას, თუმცა სტუმრებმა მალევე შეძლეს მატჩში გარდატეხის შეტანა და 46-ე წუთისთვის 18:11 დაწინაურდნენ. სამწუხაროდ, ბორჯღალოსნებმა ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლეს – რუმინელებმა 25:18 დაამარცხეს საქართველოს ნაკრები და ერთწლიანი შესვენების შემდეგ 8 ქულით ევროპის 2004 წლის ერთა თასი მოიპოვეს. მართალია, ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა პორტუგალიამ შინ რუსეთს სძლია 19:18 და მანაც 8 ქულა მოაგროვა, ოღონდ დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩა რუმინეთს. 5 ქულით გათამაშების ცხრილის მესამე საფეხურზეა საქართველოს ნაკრები, თუმცა მას გაუჭირდება ამ ადგილის შენარჩუნება, რადგან ოთხქულიანი რუსები 12 ივნისს შინ გამართავენ ჩეხებთან გამოტოვებულ მატს და ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები საპრიზო ადგილზე გასვლის შანს ხელიდან არ გაუშვებენ.

**დღეისთვის სატურნირო მდგომარეობა ასეთია:**

| | მ. | ფ. | წ. | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| **რუმინეთი** | 4 | 0 | 1 | 190:78 | 8 |
| **პორტუგალია** | 4 | 0 | 1 | 92:95 | 8 |
| **საქართველო** | 2 | 1 | 2 | 70:60 | 5 |
| **რუსეთი** | 2 | 0 | 2 | 90:58 | 4 |
| **ჩეხეთი** | 1 | 0 | 3 | 42:97 | 2 |
| **ესპანეთი** | 0 | 1 | 4 | 47:143 | 1 |

ორი წლის შედეგებით პირველ ადგილზეა პორტუგალია (18 ქულა), მეორეზე – რუმინეთი (16 ქულა), მესამეზე – საქართველო (11 ქულა).

## იაშვილმა ფრანგები გააჩემპიონა

**დამთავრდა ექვსი ერის პირველობა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთისა და მსოფლიო ჩემპიონის – ინგლისის ნაკრები გუნდების შეხვედრას. ფრანგებმა შინ ეს ორთაბრძოლა 24:21 მოიგეს.** მასპინძლებს 19 ქულა ცნობილი მორაგბის – მიშელ იაშვილის ვაჟმა – დიმიტრიმ მოუტანა. საგულისხმოა, რომ მიშელმა „ხუთი ერის“ მთავარი პრიზი ფრანგებთან ერთად 1968 წელს მოიპოვა. 35 წლის შემდეგ კი ანალოგიურ წარმატებას მისმა შვილმა მიაღწია – ფრანგებმა 10 შესაძლებლიდან 10 ქულა მოაგროვეს და მთავარ პრიზს დაეუფლნენ. 6 ქულით მეორე ადგილზე გავიდნენ ირლანდიელები, რომლებმაც ბოლო ტურში შინ შოტლანდიელები დაამარცხეს 37:16. ასევე, 6 ქულით, მაგრამ უარესი დამატებითი მაჩვენებლებით, მესამე ადგილი ინგლისელებს ხვდათ. მათ ორი ქულით ჩამორჩნენ მე-5 ტურში იტალიელთა მძლეველი (44:10) უელსელები. V-VI ადგილებზე, შესაბამისად, იტალიელები და შოტლანდიელები გავიდნენ.



## წარუმატებელი დებიუტი

**ჰონგკონგში IRB-ის „შვიდკაცას“ მე-5 ეტაპის ტურნირზე წარუმატებლად იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა, რომელმაც შარშან ევროპაში მე-3 ადგილი დაიკავა.** ჩვენები B ჯგუფში გამოდიოდნენ. პირველი შეხვედრა მათ შოტლანდიელებთან დათმეს – 0:26, მერე ჩინელებს სძლიეს – 22:17, ხოლო ინგლისელებთან დიდი ანგარიშით (0:42) დამარცხდნენ, ჯგუფში მე-3 ადგილი დაიკავეს და მხოლოდ ლარნაკისთვის თამაშის უფლება შეინარჩუნეს. საქართველოს ნაკრებმა გზად ტაივანი ჩამოიცილა (19:17), მაგრამ იაპონელებთან ვერაფერს გახდა (21:26) და საბოლოოდ პორტუგალიასთან XIX-XX ადგილები გაიყო.

რაც შეეხება მთავარი პრიზისთვის ბრძოლას, ნახევარფინალში არგენტინელებმა ზელანდიელები დაამარცხეს – 19:17, ინგლისელებმა კი სამხრეთაფრიკელებს მოუგეს 15:8. მთავარ ფინალში ბრიტანელებმა ოკეანისგაღმელებს მოუგეს 22:12 და, ცხადია, პირველ ადგილზე გავიდნენ. სინის ფინალში (IX ადგილი) შოტლანდიელებმა გაიმარჯვეს ფრანგებთან 28:22, ხოლო ლარნაკის ფინალში (მე-17 ადგილი) კუკის კუნძულების წარმომადგენლებმა იაპონელებს სძლიეს – 31:19.

ხუთი ეტაპის შემდეგ 86 ქულით ზელანდია ლიდერობს. მას 6 ქულით ინგლისი ჩამორჩება. 66 ქულით სამხრეთ აფრიკა მესამეა.

**გიორგი გაგუა.**

ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**იტალია. XXVII ტური.** „მილანი“ – „კიევო“ 2:2, „რომა“ – „ბოლონია“ 1:2, „იუვენტუსი“ – „მოდენა“ 3:1, „რეჯინა“ – „ინტერი“ 0:2, „პარმა“ – „ემპოლი“ 4:0, „სიენა“ – „უდინეზე“ 1:0, „პერუჯა“ – „ლაციო“ 1:2, „სამპდორია“ – „ლეჩე“ 2:2, „ბრეშია“ – „ანკონა“ 5:2.

ლიდერთა ჯგუფი: „მილანი“ – 68, „იუვენტუსი“ – 59, „რომა“ – 57, „ლაციო“, „პარმა“ – 44-44, „ინტერი“ – 43 ქულა.

ბომბარდირი: შევჩენკო („მილანი“) – 20 გოლი.

შემდეგ ტურში ითამაშებენ: „უდინეზე“ – „ბრეშია“, „ანკონა“ – „სამპდორია“, „ბოლონია“ – „რეჯინა“, „კიევო“ – „პარმა“, „ემპოლი“ – „პერუჯა“, „ლაციო“ – „სიენა“, „ლეჩე“ – „რომა“, „მოდენა“ – „მილანი“, „ინტერი“ – „იუვენტუსი“.

**ესპანეთი: XXX ტური.** „სოსიედადი“ – „დეპორტივო“ 1:2, „ესპანიოლი“ – „ბილბაო“ 2:1, „სელტა“ – „სარაგოსა“ 0:2, „ვალიადოლიდი“ – „ოსასუნა“ 1:1, „მურსია“ – „მალიოკა“ 2:0, „რასინგი“ – „ვალენსია“ 0:3, „ვილიარეალი“ – „ატლეტიკო“ 0:0, „რეალი“ – „სევილია“ 5:1, „მალაგა“ – „ალბასეტე“ 1:1, „ბეტისი“ – „ბარსელონა“ (გადაიდო).

ლიდერთა ჯგუფი: „რეალი“ – 64, „ვალენსია“ – 63, „დეპორტივო“ – 56, „ბარსელონა“ – 55, „ატლეტიკო“ – 45 ქულა.

ბომბარდირი: რონალდო („რეალი“) – 24 გოლი.

შემდეგ ტურში ითამაშებენ: „ალბასეტე“ – „რეალი“, „ბილბაო“ – „სელტა“, „ატლეტიკო“ – „ვალიადოლიდი“, „ბარსელონა“ – „ვილიარეალი“, „დეპორტივო“ – „ბეტისი“, „სევილია“ – „ესპანიოლი“, „ვალენსია“ – „მურსია“, „სარაგოსა“ – „რასინგი“, „მალიორკა“ – „სოსიედადი“, „ოსასუნა“ – „მალაგა“.



**ინგლისი. XXX ტური.** „ჩელსი“ – „ვულვზი“ 5:2, „არსენალი“ – „მანჩესტერი“ 1:1, „ბირმინგემი“ – „ლიდსი“ 4:1, „ბლექბერნი“ – „პორტსმუთი“ 1:2, „ევერტონი“ – „მიდლსბრო“ 1:1, „ჩარლტონი“ – „ასტონ ვილა“ 1:2, „სიტი“ – „ფულჰემი“ 0:0, „საუთჰემპტონი“ – „ტოტენჰემი“ 1:0, „ლესტერი“ – „ლივერპული“ 0:0, „ბოლტონი“ – „ნიუკასლი“ 1:0.

ლიდერთა ჯგუფი: „არსენალი“ – 74, „ჩელსი“ – 67, „მანჩესტერი“ – 62, „ლივერპული“ – 46, „ნიუკასლი“, „ბირმინგემი“ – 45-45 ქულა.

**ბომბარდირი:** ანრი („არსენალი“) – 22 გოლი.

შემდეგ ტურში ითამაშებენ: „ასტონ ვილა“ – „სიტი“, „ფულჰემი“ – „ბირმინგემი“, „მიდლსბრო“ – „ბოლტონი“, „ლიდსი“ – „ლესტერი“, „ნიუკასლი“ – „ევერტონი“, „ტოტენჰემი“ – „ჩელსი“, „ვულვზი“ – „საუთჰემპტონი“, „ლივერპული“ – „ბლექბერნი“, „მანჩესტერი“ – „ჩარლტონი“, „პორტსმუთი“ – „არსენლი“.

**გერმანია. XXVI ტური.** „ბაიერნი“ – „გლადბახი“ 5:2, „ბოხუმი“ – „შალკე“ 1:2, „ლევერკუზენი“ – „ჰერტა“ 4:1, „აინტრახტი“ – „მიუნხენი“ 0:3, „ფრაიბურგი“ – „კიოლნი“ 3:0 (ანგარიში **ალექსანდრე იაშვილმა** გახსნა), „ჰანოვერი“ – „ბორუსია“ 1:1, „ჰანზა“ – „ვოლფსბურგი“ 3:1, „შტუტგარტი“ – „ვერდერი“ 4:4, „ჰამბურგი“ – „კაიზერი“ 3:2.

ლიდერთა ჯგუფი: „ვერდერი“ – 62, „ბაიერნი“ – 53, „შტუტგარტი“ – 48, „ლევეკუზენი“ – 45, „ბოხუმი“ – 42, „შალკე“ – 40 ქულა.

ბომბარდირი: აილტონი („ვერდერი“) – 24 გოლი.

შემდეგ ტურში ითამაშებენ: „ვოლფსბურგი“ – „შტუტგარტი“, „ჰერტა“ – „ჰანზა“, „გლადბახი“ – „ლევერკუზენი“, „მიუნხენი“ – „ჰანოვერი“, „კიოლნი“ – „აინტრახტი“, „კაიზერი“ – „ბაიერნი“, „შალკე“ – „ჰამბურგი“, „ბორუსია“ – „ბოხუმი“, „ვერდერი“ – „ფრაიბურგი“.

**საფრანგეთი. XXX ტური.** „ნიცა“ – „ლიონი“ 0:1, „სოშო“ – „მეცი“ 2:0, „ლე მანი“ – „მონაკო“ 0:1, „ნანტი“ – „მონპელიე“ 3:2, „სტრასბური“ – „რენი“ 0:3, „გენგამი“ – „ლილი“ 2:1, „მარსელი“ – „ბორდო“ 1:1, „აიაჩო“ – „ბასტია“ 1:0, „ოსერი“ – „ტულუზა“ 3:2, „ლანსი“ – „პსჟ“ 1:0.

ლიდერთა ჯგუფი: „ლიონი“, „მონაკო“ – 63-63, „პსჟ – 57, „სოშო“ – 53, „ოსერი“ – 50, „მარსელი“ – 47 ქულა.

**ბომბარდირი:** სისე („ოსერი“) – 20 გოლი.

შემდეგ ტურში ითამაშებენ: „ბასტია“ – „ნიცა“, „ბორდო“ – „სტრასბური“, „გენგამი“ – „ოსერი“, „ლილი“ – „რენი“, „ლიონი“ – „მარსელი“, „მეცი“ – „ლე მანი“, „მონაკო“ – „აიაჩო“, „მონპელიე“ – „ლანსი“, „პსჟ“ – „ნანტი“, „ტულუზა“, – „სოშო“.





ყოველი მხრიდან

## „სისხლისღვრა“ მონაკოში

**კიდევ ორი ტური გაითამაშა 12 დიდოსტატმა მონაკოს ოტელში „მონტე კრისტო“.**

შეიძლება ითქვას, განსაკუთრებით კარგად ითამაშეს უნგრელმა პეტერ ლეკომ და რუსეთელმა ევგენი ბარეევმა. მათ 4-4 შესაძლებლობიდან 3,5-3,5 ქულა დააგროვეს. ამავე დროს აღსანიშნავია რუსეთელი ალექსანდრე მოროზევიჩის ორმაგი გამარჯვება ვიშვანათან ანანდიზე. თუმცა ლიდერობას მაინც კლასიკურ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი ვლადიმერ კრამნიკი ინარჩუნებს ლეკოსთან ერთად. თითოეულ მათგანს 9 ქულა აქვს 14 შესაძლებლობიდან. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ბარეევი და უკრაინელი ვასილი ივანჩუკი.

## სტუდენტები აღარ ხუმრობენ

**ოთხი მსოფლიო რეკორდი დამყარდა „მოკლე წყალზე“ აშშ სტუდენტურ ჩემპიონატზე.**

ჯერ იენ კროკერმა დაამხო ალექსანდრე პოპოვის 1994 წლის რეკორდი 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში – 46,25. შემდეგ კროკერმა 0,7 წამით გააუმჯობესა თავისივე რეკორდი 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში – 49,07.

100 მეტრზე ზურგით ცურვაში თავი ისახელა პიტერ მარშალმა – 50, 33, რითაც გერმანელი ტომას რუპარტის მაჩვენებელი 0,26-ით გააუმჯობესა.

და ბოლოს, „მეზურგემ“ აარონ პირსოლმა თავისივე რეკორდს შეუტია და 200 მეტრი, 1,50,64 წუთში გაცურა და თავის თავს 0,53 წამით „აჯობა“.

## მსოფლიო ჩემპიონების შიშველი სიმბოლო

**ქალზე ორიგინალურ ხერხს მიაგნო რაგბიში თამაშის გამოსაცოცხლებლად მსოფლიო ჩემპიონმა – ინგლისის ნაკრებმა. მოთამაშეების საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად მათ მაისურებს ამიერიდან დაამშვენებს ყბადაღებული მოდელის კეტი პრაისის ფოტოსურათი. მას ხომ ბოლო ხანებში პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. და კიდევ, ქალიშვილის სახელი უწოდეს თავიანთ ერთ-ერთ სავარჯიშო მინდორს.**

„გვინდოდა, ბიჭები როგორღაც შეგვენჯღრია, – თქვა გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა, – კეტის სახელი ხომ ახლა ყველას პირზე აკერია, და ჩვენც გადავწყვიტეთ ჩვენს ფორმებზე მისი აღბეჭდვა. თან არც ის იყო წინააღმდეგი. შემიძლია ვთქვა, რომ მას ძალზე საპასუხისმგებლო მისია ერგო – წინ გაუძღვეს ინგლისის ნაკრებს“.



შეგახსენებთ, რომ ეს ის კეტი პრაისია, მემუარების სკანდალური წიგნის გამოცემით რომ იმუქრება. ამბობენ, რომ წიგნში მრავალრიცხოვანი ინტიმური თავგადასავლების მთავარი გმირები ძალზე ცნობილი ადამიანები იქნებიან. მაგალითად, ერთი თავი მიეძღვნება ფეხბურთის ვარსკვლავთან დევიდ ბექჰემთან მის ჰორიზონტალურ ურთიერთობასო.

მორიგი წიგნის გმირები კი, ალბათ, მისი ახალი მეგობრები, რაგბისტები გახდებიან.

## რეკორდი ცაში

**ბრიტანელმა ჰაეროსანმა დევიდ ჰემპლმინ ადამსმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა ფრენაში ცხელი ჰაერით ან გაზით სავსე ღია გონდოლიანი საჰაერო ბურთით.**

თავისი ბურთით კოლორადოს შტატში ფერმერის მინდვრიდან რომ აფრინდა, ის 12,6 კილომეტრზე ამაღლდა, რითაც თითქმის ერთი კილომეტრით გადააჭარბა ასეთი ტიპის საფრენი აპარატების ადრინდელ რეკორდს. მამაცი ჰაეროსანის ფრენა, რომლის დროსაც ის ჟანგბადის ნიღაბს იყენებდა, სამსაათნახევარი გაგრძელდა.

კოლორადოს შტატში მომხდარმა ამ მოვლენამ დააინტერესა აშშ ავიაციის ფედერალური სამმართველო. მათ მოითხოვეს იმის დადგენა, ჰქონდა თუ არა ბრიტანელს აშშ საჰაერო სივრცეში საფრენი აპარატის მართვის უფლება და შემთხვევით იგი აკრძალულ ზონაში ხომ არ შეფრინდა. თუ ამ უწყების ასეთი ეჭვები დადასტურდება, მაშინ ჰემპლმინ ადამსს ძალზე დიდი ჯარიმა მოელის.

მამაცი ჰაეროსანის გეგმებშია საჰაერო ბურთით ანტარქტიკაზე, აგრეთვე დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე – ევერესტზე გადაფრენა.

## ძვირფასი რელიკვია

**2000 დოლარი – ასე შეაფასეს ლონდონის აუქციონთა სახლის „კრისტის“ ექსპერტებმა ეს ფეხბურთის მაისური 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელს ოტმარ ვალტერს რომ ეცვა ფინალურ მატჩზე უნგრელების წინააღმდეგ. მაშინ გერმანელებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს – 3:2.**



ძიუდო

# 200 ჭაბუკის მონაწილეობით



**სპორტსაზოგადოება „მართვეს“ დარბაზში გაიმართა რესპუბლიკური ტურნირი 1989-1990 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის. შეჯიბრების ორგანიზატორი და მთავარი მსაჯი იყო „მართვეს“ მწვრთნელი ზაზა მახათაძე.**

თბილისში, გარიშვილის ქუჩაზე (№6) მდებარე „მართვეს“ სპორტდარბაზში გამართულ ამ ტურნირში 200 მოჭიდავე ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას.

13 წონით კატეგორიაში გამარჯვებულები გახდნენ: ლევან ომარაშვილი („მართვე“), გიორგი იგნატოვი (ორს), მურად მურადოვი (ისანი), ვალერი შინჯიკაშვილი (მარტყოფი), შალვა ქარდავა („შევარდენი“), შალვა რიკაძე (ორს), შოთა პართენიშვილი („შევარდენი“), გიორგი ტაბლიაშვილი (მარტყოფი), დავით პაპოშვილი (ორს), ზურაბ ოსაძე (ვაკე), თენგიზ მამადაშვილი („მართვე“) ოთარ ტვილდიანი (ორს) და დავით ლორიაშვილი (მარტყოფი).

**ბესიკ გაბრიაძე.**

**სურათზე: ასპარეზობის მომენტი.**

რობერტ ბაგოიანის ფოტო.

**სპორტის რედაქცია**

ალბომში

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი მოსწავლეთა ტრადიციული მე-17 რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეთა შორის. გასული საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისი.

ფოტო მოგვაწოდა მარი სიხარულიძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.*

ღიმილის დოზა



**საკუთარი წარმატება** კარგია, სხვისი წარუმატებლობა — უკეთესი.

* * *

**ორი პენსიონერი** საუბრობს:

— გუშინ პენსია 5-ჯერ გაგვიზარდეს!

— ტყუილია!

— სინდისს გეფიცები! განკარგულება ჩემი თვალით ვნახე სიზმარში.

* * *

**მივიდა** ქალი მკურნალ ექიმთან.

ექიმი:

— ერთი თვე დაგაგვიანდათ მოსვლა. რა მოხდა?

— ავად ვიყავი.

* * *

**ცირკში:**

— მამა, ეს ბიძიები თავზე რატომ დგანან?

— „პახმელიაზე“ არიან, შვილო, და ფეხზე ვერ დგებიან.

* * *

— **რა** არის არაჯანსაღი ინტერესი?

— როცა იმპოტენტი პორნოფილმს უყურებს.

* * *

**შეკითხვა:** მე მაქვს 3 თავი, 10 ხელი, 4 ფეხი, თითოზე ათი-ათი თითი. ვინ ვარ მე?

პასუხი: სიაბანდი.

* * *

**არაყი** მხოლოდ დასაწყისში ღირს ძვირი, შემდეგ ფასს მნიშვნელობა არა აქვს.

კვირეული

## ბიბლიოთეკები ემზადებიან

**საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული დევიზით — „თქვენი ბიბლიოთეკა“, რომელიც წელს უკვე მესამედ ტარდება, კულტურის ამ დარგის ერთგვარი დათვალიერებაა, ბიბლიოთეკებისა და საზოგადოების ურთიერთობის ახალი ფორმების ძიებაა.** კვირეულის ორგანიზატორებია საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია და ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია; კვირეულის მიზანია გაზარდოს საზოგადოების ინტერესი ბიბლიოთეკებისადმი, აამაღლოს ბიბლიოთეკების, როგორც აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო და საინფორმაციო ცენტრების ეფექტურობა.

კვირეულის პროგრამით საქართველოს ყველა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკებში ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები: შეხვედრები კულტურის, ხელოვნების, განათლების, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლებთან, დისკუსიები, პოეზიის საღამოები; ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ ბავშვები, მოსწავლეები, მკითხველთა აქტივი, მთელი საზოგადოებრიობა, რომელთათვისაც ძვირფასია წიგნი, ბიბლიოთეკა.

საბიბლიოთეკო კვირეულებმა ერთგვარად გამოაცოცხლა საზოგადოებრივი აზრი; ბიბლიოთეკები გრძნობენ მათი დამფუძნებლების აქტიურ მხარდაჭერას. კვირეულის დროს მოსახლეობამ გულთან მიიტანა ბიბლიოთეკების დღევანდელი მდგომარეობა, ბევრმა მათგანმა წიგნები გადასცა საკუთარი ბიბლიოთეკიდან, უფრო შეძლებულებმა ბიბლიოთეკები შეაკეთეს. ეს სასიკეთო მოძრაობა იმედის ნაპერწკალს უღვივებს ამ დარგში მოღვაწე ადამიანებს, ბიბლიოთეკარებს, რომლებმაც კულტურის ეს დაწესებულებები დღემდე მოიტანეს დიდი ენთუზიაზმით. პროფესიული ერთგულებითა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით.

მესამე საბიბლიოთეკო კვირეული აპრილის ბოლო კვირას გაიმართება და საზეიმოდ დაიხურება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 30 აპრილს — „საქართველოს ბიბლიოთეკარის დღეს“.

**გურამ თაქნიაშვილი,**
**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე, საბიბლიოთეკო ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.**

Save the Children

კონკურსი სცენარისტებისთვის

## ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტი

„Save the Children“ **(ფედერაცია — გადავარჩინოთ ბავშვები) აცხადებს სცენარისტთა კონკურსს ბავშვთა სატელევიზიო სერიებისათვის.**

**სატელევიზიო სერიები მიზნად ისახავს ბავშვებში ტოლერანტობისა და კრიტიკული აზროვნების უნარის გამომუშავებას პიროვნებათაშორისი და საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის საქმეში, ასევე კულტურათაშორისი ურთიერთობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სერიალი გამიზნულია 5-11 წლის ბავშვებისათვის, რათა ხელი შეუწყოს ისეთი ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორიც არის ადამიანთა პატივისცემა, სწრაფვა მშვიდობისა და დემოკრატიისაკენ.**

**სატელევიზიო სერიებში გამოყენებული იქნება საქართველოში შექმნილი თოჯინები.**

**სცენარის ავტორი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და უნდა ფლობდეს ქართულ და რუსულ ენებს.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტის კოორდინატორს მარინა უშვერიძეს. სატელეფონო ზარები მიიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 15სთ-იდან 17სთ-მდე.**

**ტელ:** 99-64-00; 99-54-54; 93-11-08; 99-65-48.

**მის:** „Save the Children“, **თბილისი, ბარათაშვილის ქ. 8, III სართ.**

**ელ-ფოსტა:** marina@save.org.ge

## როცა ექიმს მუზა სტუმრობს...

**ჩვენი ექიმები, ბოლო ხანს, მშვენიერების სამყაროში აქტიურად წარმოჩნდნენ. ხან მღერიან და ხუმრობენ, ზოგი მხატვრულ სიტყვაში სცდის ძალას და წიგნებსაც კი სცემს. სხვები სახვით ხელოვნებას გაუტაცნია — გამოფენებს მართავენ. მათ ჯერ კიდევ სამი წლის წინათ გამოფინეს თავიანთი ნამუშევრები სურათების ეროვნულ გალერეაში. და, აი, ახლახან მეორე ჯგუფურ გამოფენაზე მიიწვიეს დამთვალიერებელი.**

როგორ ხედავს ექიმი სამყაროს, რა აღელვებს და რა განცდებით ცხოვრობს იგი, ყოველივე ამაზე წარმოდგენას მოგცემთ სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში შესრულებული ნამუშევრები. მათი გამოფენა ითავა სამედიცინო ჟურნალ „ჩვენი ჯანმრთელობის“ რედაქციამ. ამ პოპულარულ ჟურნალს გამოსცემს სამედიცინო ფირმა PSP. ექსპოზიციის სულისჩამდგმელია ჟურნალის მთავარი რედაქტორი მარინა მალაზონია, რომელმაც გამოფენაზე მოსულ სტუმრებს ამ ჟურნალის ნომრებიც წარუდგინა განსახილველად. თუმცა, ჩვენ მთავარს დავუბრუნდეთ.



ეროვნულ გალერეაში საინტერესო და მრავალფეროვანი სანახაობა ელის დამთვალიერებელს. იგი გაეცნობა მედიკოსთა განსხვავებული სტილის, ხედვისა და თემატიკის ნამუშევრებს, როგორც ფერწერის და გრაფიკის, ისე მცირე პლასტიკის დარგში და ფოტოხელოვნებაში.

ექსპოზიციის ორგანიზატორებმა პატივი მიაგეს თვალსაჩინო ქირურგის ზაზა კახიანის ხსოვნას და მისი რამდენიმე ნამუშევრითაც დაამშვენეს დარბაზი.

გალერეის მარცხენა ფლიგელში თვალშისაცემია მარინა მალაზონიას აკვარელში შესრულებული მცირე თუ დიდი ზომის ტილოები. ისინი ყურადღებას იპყრობენ ინტენსიური და ცოცხალ ფერთა ფართო გამით („არავისი“, „ჯამბაზი“, „ალი-ქალი“, „სიცოცხლის კანონი“, „თინანა“ და სხვ.)

აქვეა ნანა მჭედლიშვილის 14 ნამუშევარი — კერამიკის ყვავილები, რომლებიც გიზიდავთ სინაზითა და ჰაეროვნებით. ავტორს არაერთხელ წარმოუდგენია ისინი პერსონალურ გამოფენებზეც. ნაირფერი ყვავილებისა და კაქტუსების ცოცხალი ყვავილებისაგან გარჩევა თითქმის შეუძლებელია.

სატირული ხასიათით გამოირჩევიან ნინო ბაქრაძის ნაწარმოებები. მნახველი გულგრილი არ დაუტოვებია დინარა კასრაძის „ამორძალებს“, „ნესტანს“, „ოტელოს“, მარინა ჯაფარიძის მცენარეულ კომპოზიციებს და პოპარტებს. უჩვეულოა გია ბენაშვილის ავანგარდული ნამუშევრები, რომლებშიც საღებავებთან ერთად ავტორი იყენებს სხვადასხვა მასალას: ხის ქერქს, აპლიკაციას, სარკეს. აქვეა გუგა ქაშიბაძის გრაფიკულ ნამუშევართა ჩინებული ნიმუშები, ქეთევან ჯაფარიძის მცირე პლასტიკის ნიმუშები „ტორეადორი“, „ემბრიონი“, „მრისხანება“...

ნანა გიგოლაშვილს სამსჯავროზე ოქროს ნაკეთობები გამოუტანია. ბეჭდებისა და სამაჯურების გვერდით იხილავთ ტიხრული მინანქრის, ხალასი ფერებითა და სკრუპულოზური დამუშავების გამორჩეულ ნიმუშებს. გიზიდავთ ზურაბ მურვანიძის შესრულებული პორტრეტები და კომპოზიციები „გადარჩენისთვის“, „21-ის თებერვალი“.



ჟურნალის „ჩვენი ჯანმრთელობის“ ფოტოკორესპონდენტ ირინა აბჟანდაძეს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა. „თაობები“ — ასე უწოდებია სერიისათვის, რომელიც სახლის ინტერიერში წარმოგიდგენთ ბებიას, შვილსა და შვილიშვილს, ანუ დროის მიერ ტრანსფორმაციას. გაეცნობით აგრეთვე, ინფექციონისტ მარინა კვიტაშვილის დახმარებით შექმნილ არაორდინარულ ფოტოებსაც.

გამოფენამ დამთვალიერებელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მის გახსნას მიესალმნენ საქართველოს სახალხო მხატვრები თემურ გოცაძე და გივი თოიძე, ხელოვნებათმცოდნე ნინო ზაალიშვილი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი გიგი წერეთელი.

— მიხარია, რომ პრობლემებით სავსე დღეების გარდა არსებობს ასეთი სასიამოვნო დღეები. ექიმებს დიდ პასუხისმგებლობასთან ერთად შემოქმედებითი ნიჭიც აქვთ. დღევანდელ საქართველოში მოღვაწეობა რთულია. ჩვენ შევეცდებით ამ ახალ ეპოქაში მხარი დავუჭიროთ ამ გამოფენის თაოსანს, მაღალ დონეზე გამოცემულ ჟურნალ „ჩვენს ჯანმრთელობას“ და გამოფენის ყველა მონაწილეს. მათ საზოგადოებრიობის თანადგომა სჭირდებათ და შევეცდებით, რომ ჩვენი თანამშრომლობაც ყოველმხრივ შემოქმედებითად განვითარდეს, — თქვა გიგი წერეთელმა.

— ექიმი იგივე მოძღვარია, რომელთანაც ადამიანი მიიჩქარის არა მხოლოდ ფიზიკური ტკივილების დროს, არამედ სულიერი განახლებისთვისაც. თუ ექიმს დიდი სულიერება არა აქვს, ის ცუდი ექიმია. სულიერება კი შემოქმედებაა.

PSP-ს ჯგუფი რომ არა, ეს დღე არ შედგებოდა. მისი წყალობით გამოდის ჟურნალი და მისი წყალობაა ეს გამოფენაც, — აღნიშნა თავის სამადლობელ სიტყვაში ჟურნალ „ჩვენი ჯანმრთელობის“ რედაქტორმა მარინა მალაზონიამ.

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**

**სურათებზე: გამოფენის ექსპონატები.**

**ჯავარ ლომაძის ფოტო.**

გამოფენა

## „ნაბიჯი“ მოყვარულიდან პროფესიონალამდე



**ერთი წლის წინათ აიღო ფოტოაპარატი. ჯერ მოყვარულმა, როგორც წესია, ახლობლებს გადაუღო სურათები. მოეწონა, მოუწონეს და ასე აღმოჩნდა რჩეულისათვის ცნობილ ფოტოხელოვან გივი ჯოლბორდის სტუდიაში. შემდეგ ისე გაიტაცა ფოტოგრაფიამ, რომ თავისი ძირითადი პროფესია — ხატვა ლამის მიივიწყა. ახლა თამუნა ოხიკიანი ცნობილ ფოტოხელოვანთაც არ უდებს ტოლს. მეგობრებიც, თითქოს აიყოლია და... ამის დასტურია ორიოდე დღის წინათ იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელში გახსნილი სტუდენტთა ფოტოგამოფენა „ნაბიჯი“, სადაც გამოფენილია, თამუნა ოხიკიანის, ტატა პაპიტაშვილის, ანა სეხნიაშვილის, სალომე როსტომაშვილის, გვანცა ზაკალაშვილისა და სხვათა ფოტო და ინსტალაციური ნამუშევრები.**

თამუნას და მისი მეგობრების ნამუშევრები — მართლაც პროფესიულ დონეზეა შესრულებული. ისინი ფოტოხელოვნებას სრულიად ახლებური ხედვით წარმოგვიდგენენ. მნახველს დიდხანს დაამახსოვრდება აქ წარმოდგენილი ორიგინალური ნამუშევრები, სივრცის ახლებური ხედვა, აბსტრაქცია, ჩვენი ყოველდღიურობა, რომელიც ნებისმიერი დამთვალიერებლისათვის ინდივიდუალურად აღიქმება თითქოსდა ათასჯერ ნანახი პეიზაჟები თუ საგნები რეალისტურიდან ქვეცნობიერში რომ გადადის.

ბატონი თემურ ჩხურტიშვილი, სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელი და ამ ნიჭიერი ფოტომოყვარულთა დამკვალიანებელი, მართლაც, სიხარულს ვერ მალავს. არცაა გასაკვირი — მისმა შეგირდებმა ხომ ფართო აუდიტორიის გარდა პროფესიონალებიც მოხიბლეს. იგი საიდუმლოსაც გვიმხელს და ჩვენც შეგნებულად მოგვიანებით, გამოფენის დახურვამდე რამდენიმე დღით ადრე ფარდას ვხდით მის საიდუმლოს — თამუნა ოხიკიანის ნამუშევრები საუკეთესოდ ცნეს.

ეს ჩვენთვისაც საამაყოა, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტებისთვის, რადგან თამუნა ფოტოგრაფიით გატაცების პირველი დღიდანვე თანამშრომლობს ჩვენს გაზეთთან. გზა დიდ ხელოვნებაში ჩვენ დავულოცეთ და ახლაც დიდი სიამოვნებით ველით მის ახალ ნამუშევრებს.

**მეგი ლოლობერიძე,**
**მაია შუბითიძე.**





**სურათებზე: ჩაფიქრებული თამუნა ოხიკიანი — როგორ მოეწონებათ მისი ნამუშევრები? გვანცა ზაკალაშვილის ფოტოეტიუდი; თემურ ჩხურტიშვილი სიამაყით უხსნის გამოფენის სტუმრებს თავისი შეგირდების ნამუშევრების შინაარსს.**

**გივი ჯოლბორდის ფოტო.**

მოდა

## სუნამო — სასიამოვნო ურთიერთობის საწინდარი

**მსოფლიო მოდის კანონმდებლები ირწმუნებიან, რომ მომხიბვლელი, სრულფასოვანი მამაკაცისთვის მხოლოდ კლასიკური კოსტიუმი, ძვირფასი ფეხსაცმელი, ქათქათა პერანგი, იდუმალი სვირინგი, ან სხვადასხვა აქსესუარი როდია. ყველაზე მნიშვნელოვანი მისთვის შესაფერისი, გემოვნებით შერჩეული სუნამო გახლავთ.**

**რა თქმა უნდა, რეკლამას ყოველთვის არ უნდა ენდოთ. მაგალითად, შეიძლება შეიძინოთ სასურველი მამაკაცური, „ინტელექტუალური“, პროვოკაციული სუნამო, მაგრამ დაიპკუროთ და ეფექტი არ ჰქონდეს, ანუ ქალები მისი სურნელით ვერ მოხიბლოთ. მოდის წამყვანი ფირმების დიზაინერები ხშირად აღნიშნავენ — შესაძლოა ავტომობილი, ან საოჯახო ტექნიკა გულისყურით არ შეარჩიოთ, სუნამოს შეძენისას კი დიდი დაფიქრება გჭირდებათო. ძვირფასი, ექსკლუზიური არომატი, შეიძლება ითქვას, ხელოვნების ნიმუშია და ფაქტობრივად, არ იყიდება. მამაკაცმა სუნამოს შერჩევისას, უპირველესად, ყურადღება ცხოვრების სტილს უნდა მიაქციოს. მაგალითად, არ შეიძლება სპორტსმენმა კლასიკური ტიპის სუნამო დაიპკუროს.**

ჩვენთან, მაღაზიებში ხშირად არის ფალსიფიცირებული სუნამოები. ცნობილი პარფიუმერული ფირმები თავიანთ პროდუქციას ყველა მაღაზიაში არ ავრცელებენ, მათ სპეციალური, პრესტიჟული, სახელობითი მაღაზია-სალონები აქვთ, სადაც არაესთეტიკურად შეფუთულ, არასწორი წარწერებით წარმოდგენილ დაბალფასიან სუნამოებს ვერ ნახავთ, ბუნებრივია, პარფიუმერია ხომ ფუფუნების საგანია. ახალი არომატის გასინჯვა პირდაპირ ფლაკონიდან არ შეიძლება, ასე მხოლოდ გაურკვეველ, სპირტის მძაფრ სუნს შეიგრძნობთ. არსებობს სპეციალური დასაპკურებელი ქაღალდი, რაზეც სუნამოს დააწვეთებენ და შემდეგ ყნოსავენ. აღსანიშნავია ისიც, რომ სუნამო, ოდეკალონი დროთა განმავლობაში სურნელს იცვლის, ყიდვიდან რამდენიმე საათშიც კი, შეიძლება სხვანაირი მოგეჩვენოთ.






ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მოდურია „უნისექსის“ არომატი და დღეისათვის ასეთ სუნამოებს მხოლოდ ჰომოსექსუალები არ იპკურებენ.

XIX საუკუნემდე ქალისა და მამაკაცის სუნამოებს შორის სხვაობა არ არსებობდა. თურმე, მამაკაცებისთვის ნაზი სურნელი ნაპოლეონს აუკრძალავს. აქვე შეგახსენებთ, რომ ლუდოვიკო XIV-მდე საფრანგეთში ბანაობა მიღებული არ იყო. მაღალი წრის წარმომადგენლები ტანს წელიწადში ერთხელ, ან ორჯერ თუ იბანდნენ, ღარიბები კი, რამდენიმე წელიწადში ერთხელ, ამიტომ ფრანგი ქალები, თურმე, ლიტრობით სუნამოს ისხამდნენ.

როგორც სხვადასხვა ძვირადღირებული პარფიუმერული ფირმის მწარმოებლები გვირჩევენ, ოდეკალონებისა და ტუალეტის წყლის დასხმა სამოსზე არ შეიძლება, ბუნებრივი სურნელის შესაქმნელად, იგი მხოლოდ კანს უნდა შეეხოს. სასურველია, გქონდეთ ორნაირი სუნამო: ერთი — მოკრძალებული, არამძაფრი (სამსახურისთვის) და მეორე — სექსუალური, პირადი ცხოვრებისთვის.

ამჯერად, მამაკაცებისთვის ყველაზე მოდურად ქივენშის „ობლიკს“, ელიზაბეტ არდენის „გრინთის“ და შანელის „ალურს“ მიიჩნევენ.

და ბოლოს, სწორად და გემოვნებით შერჩეული სუნამო ადამიანებთან კარგი, სასიამოვნო ურთიერთობის საწინდარიც ყოფილა.

**ლელა დონაძე.**

**სურათებზე: მამაკაცის სუნამოები.**

ქირავდება საოფისედ ან იყიდება სარემონტო, საერთო ფართობი 200 კვ/მეტრი ვაკეში, ატენის ქუჩა №3. პირველი სართული, ბელეტაჟი. ტელეფონი 23-03-12, გიგი.

ვაიმე, ენავ!

## „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს...“

**ანუ ეკრანული ქართულის „მარგალიტები“**

• მე **გავაკეთებ** იმ **ცვლილებებს... (მინისტრს უნდა შევახსენოთ, რომ „გაკეთება“ ყველაფერს არ უხდება: მოვახდენ, ან მივმართავ ცვლილებებს).**

• მე გავაკეთებ ყველაფერს, რომ **უცხო ენები იყოს სკოლებში პრიორიტეტული (ამის განმცხადებელ მინისტრს ასეთი პრინციპული შენიშვნა უნდა შევკადროთ; ჯობია ჯერ მშობლიური ენა გავხადოთ პრიორიტეტული ისე, როგორც საჭიროა...)**

• შევ-ვიძლია **ვიმუშაოთ** დამცავი მექანიზმების გამართულ **მუშაობაზე (ტავტოლოგიას რომ თავი დავანებეთ, მაინც აბდა-უბდა გამოვა).**

• **ქართული უნივერსიტეტი,** რომელიც არის **განლაგებული, უჩვენებს იმ სახეს... (ასეთია ამ უნივერსიტეტის პროფესორის სამეტყველო სტილი).**

• **ძებნაში დაყენება მოხდებოდა მხოლოდ დროებით (ეს კი პოლიციის ჩინოსნის მეტყველების სტილია).**

სააქციო საზოგადოება „საქპრესა“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების ახმეტის ფილიალის უფროსი

მაია სანდროს ასული ბაზნაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 30 მარტს, 2 სთ-ზე; ახმეტა, ერისთავის 45.



თემურ ანდრიაძე, გია გაგუნაშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლალი ცაზურია-ტყეშელაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე დალი ქიტესაშვილი, შვილები ლევანი, ზაზა, რძლები ნინო გელაშვილი, ლია რუაძე, შვილიშვილები დალი, ლევანი, რამაზი, დიანა, და მერი, დისწულები მაყვალა, ნათელა გოჩიაშვილები, სიდედრი მარიამი, ცოლისძმა ნოდარ მიქელაძე ოჯახით, ცოლისდები ვენერა, ნანული ქიტესაშვილები ოჯახებით, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ ზაალის ძე უტიაშვილი

პანაშვიდი 31. III, 6 სთ. დაკრძალვა 1 IV, 2 სთ.

მისამართი: გურჯაანი, თავისუფლების ქ. №106.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი — ფოპტნეტის“ კოლექტივი სამძიმარს უცხადებს თეიმურაზ კანკაძეს მამის

ვლადიმერ კალისტრატეს ძე კანკაძის

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა ვანის რაიონის სოფ. ზედა ციხესულორში, 1 IV, 5 სთ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი სამძიმარს უცხადებს საქართველოს გეოგრაფიის კათედრის გამგეს, პროფესორ ნოდარ ელიზბარაშვილს მამის

კლიმენტი ელიზბარაშვილის

გარდაცვალების გამო.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბის და გამომცემლობის თანამშრომლები იუწყებიან, რომ სტამბის ეკონომისტს რუსუდან ელიზბარაშვილს გარდაეცვალა მეუღლე

კლიმენტი საზენტის ძე ელიზბარაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ნათესავებს.

მეუღლე კონსტანტინე, შვილები ლალი, როზა ბერიკაშვილები, ძმა გოგი მექვაბიძე, შვილიშვილები ელენე გახარია, ანა ბინდერი, შვილთაშვილები საბა გახარია, ალექსანდრე ხანდოლიშვილი, რძალი თეა ოკუჯავა, სიძე კახა ხანდოლიშვილი, ძმისწულები ნოდარ, პეტრე მექვაბიძეები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეფემია (ფეფო) მექვაბიძე-ბერიკაშვილი

პანაშვიდი 30, 31 III, 5 სთ; გამოსვენება 1 IV, 3 სთ. ალ. ყაზბეგის გამზირი 26, III კორპ. ბინა 4.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირგაბმულობის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ თამაზ კუპატაძის მეუღლე, უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის კათედრის დოცენტი, ქალბატონი

ლამარა ბოზილაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რევაზ სვანიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ლამარა ბოზილაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჯემალ ბერიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ლამარა ბოზილაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი — ფოპტნეტის“ კოლექტივი სამძიმარს უცხადებს თამაზ კუპატაძეს მეუღლის და დათო კუპატაძეს დედის

ლამარა ბოზილაშვილის

გარდაცვალების გამო.

„ახალი ქსელების“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ თამაზ და დათო კუპატაძეებს მეუღლისა და დედის

ლამარა ბოზილაშვილი-კუპატაძის

გარდაცვალების გამო.

გიორგი ბიბილეიშვილი, ვახტანგ ბერია, ზაქარია ბუაჩიძე, ბაკურ გულუა, რამაზ ენუქიძე, გიორგი კვერნაძე, შალვა ლომიძე, დავით ნაკანი, ნოდარ ყაველაშვილი თანაუგრძნობენ დიმიტრი ჭანიას დედის

ნელი ვაშაყმაძე-ჭანიას

გარდაცვალების გამო.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

**სარედაქციო კოლეგია:** ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ გელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

**დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები**

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რაინიგზის რიბი 20.